

1974/4

מכון
המחקר
המרכזי

האינדיקס

7

1974



ქართული საბჭოთა ლიტერატურის ერთ-ერთ გურჯაა და წინამდებოც სერგო კლდიაშვილს 80 წელი შეუსრულდა.

შურნალ „ცისკრის“ სარედაქციო კოლეგია და რედაქცია, მრავალათასიანი მკითხველის სახლით, ულოცავს ჩვენს სასიკადალო მწერალსა და მოღვაწეს ღირსშესანიშნავ თარიღს და უსურვებს ხანგრძლივ სიცოცხლესა და შემოქმედებით წარმატებებს ქართული კულტურისა და ლიტერატურის საკეთილდღეოდ.

სესენი

206

გაგონების მეთვრამეტე წელი

15481

7

ივლისი

1974

თბილისი

საქ. კვ. ცა-ის გამომცემლობა

ლიტერატურულ-მხატვრული და საზოგადოებრივ-პოლიტიკური ჟურნალი

საქართველოს ალკვ ცენტრალური კომიტეტისა და მფარველთა კავშირის ორგანო

ვ. შარკვის სახ. სავ.
სახელმწიფო ბიბლიოთეკა

უინეკრსი

პროზა, პოეზია

3. ელვუჯა ვალბაჟი. გოდობა. ბიოგრაფიული რომანი.
გაგრძელება

- 52.** მთარ მავზორია. ლექსები
- 55.** თამარ ჯავახიშვილი. ლექსები
- 60.** დილარ ივარდავა. ლექსები
- 63.** ნოდარ ჯალალთენი. ლექსები
- 65.** ზაურ მთლახუცია. ლექსები
- 67.** ჯემალ ჩახავა. ლექსები

ფ ა შ ნ ი კ ი

- 68.** ჯემალ დავლიანიძე. მოთხრობები
- 73.** ლიბი ბარათელი. ბრძოლი გზა. მოთხრობა
- 80.** მამუკა დოლიძე. მოლოდინი. მოთხრობა

ნ ა რ კ ვ ე ვ ი

85. პანო თათაროვილი. მიწისძვრა

წ ი რ ი ლ ე ზ ი

- 102.** ველა საითიძე. დიდი ველადის სახელის მით-
ბუღენი
- 107.** ოტია პავსოკია. დრო და სახეობები
- 127.** შალვა ამისულაშვილი. სიჭაბუკე და ლექსი
მისთია
- 134.** თამაზ ჩხენკელი. მათა-ფხაველას ლირიკის წი-
ალში
- 140.** ტომო ბუღავა. კართული სალოცსო სტრიქონის
ამბებულების უმრავლესი საკითხი

ხ ე ლ ო ვ ე ე ზ ა

148. გიორგი ბაჩიანიძე. უმარეხავის მითაგოგო-
ვები

ც ი ს კ რ ი ს ფ ო მ ს ტ ა

159. გიორგი გომრელაშვილი. წიგნი რედაქციას

მთავარი რედაქტორი
ჯანსუღ ჩარკვიანი

ხარედაქციო კოლეგია:

- გურამ ასათიანი,
- ვალერიან ბაქრაძე,
- აკაკი ბაქრაძე,
- გივი გეგეჭკორი,
- გურამ გვირგვინთელი,
- მერაბ ელიოზოვილი,
- კარლო კალაძე,
- კონსტანტინე
- ლორთქიფანიძე,
- ოტია პავსოკია
- (პასუხისმგებელი მდივანი),
- ნოდარ წულუკიანი,
- ტარიელ ვანტურია,
- სერგი შილაია,
- თამაზ შილაია,
- ლავა ჯანაშია.

გ ე ლ ე ბ ა

გულს ქართლის გედი უბრიალებდა

62 წელი გაატარა გურამიშვილმა რუსეთსა და უკრაინაში, მაგრამ წუთითაც არ იგრძნობა საქართველოდან მისი შორს ყოფნა. ეს ერთი ფაქტიც მეტყველებს იმაზე, რაოდენ ძლიერია ქართველი კაცის ეროვნული თვითშეგნების გრძნობა და სიმტკიცე.

გურამიშვილის ფიქრის საგანი, მისი სიცოცხლის აზრი და მთავარი ფიქრი, რამაც ის აცოცხლა და რამაც ის მოკლა — ესაა სამშობლოს ბედი, ქართლის ბედი და უბედობა. მისთვის გაექცა ლეკებს, წავიდა რუსეთს, შეეთვისა მოძმე ხალხს, გაუძლო ქარსა და სუსხს, მისთვის ლოცულობდა, მისთვის ეწამა და წერდა. საქართველო და გურამიშვილი განუყოფელია, როგორც მუხა და ფესვები, გული და სისხლძარღვები, დედა და შვილი.

მძიმე დრო იყო საქართველოს ისტორიაში ის წლები, როცა გურამიშვილს მოუხდა ცხოვრება და მოღვაწეობა. საყოველთაო გაურკვეველობა, დაქსაქსულობა, გაპარტახება და მომავლის გზის ძიება შეიძლება ეწოდოს ამ პერიოდს ერის ცხოვრებაში. ამ იავარყოფილ მიწა-წყალზე დგას რტოებ-შემოძარცვული მუხა და მისი გმინვა-გოდება მთაში თუ ბარად ზეცის თავანამ-

დე აღწევს, მაგრამ ნუგეშის ხმა არსაიდან ისმის, მხოლოდ სუსხიანი ქარი წეწავს ბუმბერაზი მუხის რტოებს და ფანტავს იმედის შტოსა და ფოთლებს, ის კი ახლით იმოსება და არ დაუშვებს ცხოვრების ხის გადახმობას, ვიდრე, ყოვლის მომწყველელის დროის მოცული ძირს არ დაეცემა, მაშინ სხვები წამოიზრდებიან. საქართველო უკვდავთა საბუდარია. ტყუილად კი არ უწოდა ერთმა პოეტმა გურამიშვილს „ქართული მიწის უკვდავი ნერგი“. ის ერთი ყველაზე უფრო კოლორიტული სიმბოლო და ორეულია ქართულ სულის უკვდავებისა. ვერა, გურამიშვილის გულში ეამთა სიძვემ ვერ ჩაკლა მამულის ტრფობა, სიკეთის რწმენა, პოეზიის მადლი, ხმა სიმართლისა.

დავითი კლასიკური თავმდაბლობით „მართლებს“ თავის გატაცებას პოეზიით.

ძნელბედობის ეამს ღვინო არ იშოვება, ხალხს ნუგეშად მხოლოდ პოეზია რჩებაო.

ვენახის ღვინო დაძვირდა, ქართლს დაემტერა რა ქარი...
მოსესხენებლად ჩემდა ყრმათ ღმზადე ტკბილი მაჭარია...

პოეტი განათლებულ შთამომავლობას უანდერძებს წიგნს და ივედრება, „არ შექმნან დასახეველა“.

გავრძელება. დასაწყისი იხ. „ცისკარი“ № 4, 5, 6.



რუსთაველის მიბაძვის გარდა, მეორე საბუთი, რაც საკუთარი პოეტური მემკვიდრეობის რწმენას ნათელჰყოფს ისაა, რომ ჩვენი მგოსანი მას შვილის მავიერობის პატივს ანიჭებს და იმედი აქვს, რომ წუთისოფლის სიავეს, დავიწყების ბურთუს ამითაც შეებრძოლება.

დავითი შთამომავლობას ავედრებს თავის ობოლს მოსავლელად და გასაწრთვენლად:

ბრძენსა ვაცსა ვეხეწები, ეს ობოლი
 მამინათლოს,
 თუ რამ იყოს სხვის სჯელისა, მომიქციოს
 გამიქართლოს.

გურამიშვილის მემკვიდრეს არც მონათვლა ესაჭიროებოდა, არც მოქცევა და „გაქართლება“, საჭირო იყო მხოლოდ მისი შემონახვა, რომ ჟამთა სიავის შემამუსვრელი ხელი არ შეხებოდა. გრძლად ვერ თქვა, მაგრამ რაც თქვა, ისიც სრულად ქმნის ეროვნული პოეტის გამოძერწილ სახეს. მას ჰყვარებია საწუთრო, თუმცა უხნაკვზე მწარე ყოფილა, და მაინც შექმნა მის სიამეთა საგალობელი — „დავითიანი“.

ჩვენი სახელოვანი მეცნიერის კ. კეკელიძის აღიარებით, გურამიშვილის შემოქმედებას განუზომელი მნიშვნელობა აქვს, ის თავდადებითი დამცველი და მქადაგებელია მთლიანი საქართველოს იდეისა, მტკიცე აბსოლუტური ხელისუფლებისა. ამასთან ერთად, ის იმდროინდელ საზოგადოებაში გამეფებული გონებრივი და მორალური დაცემულობის შეურთგებელი მტერია... ნამდვილი პატრიოტია, რომელსაც გული შესტკივა სამშობლოს სავალალო მდგომარეობისათვის, რომელიც ეძებს გზებს ამ მდგომარეობის გამოსასწორებლად*.

გავისენოთ ისევ ვახტანგის გარდაცვალების გურამიშვილისეული გადმოცემა:

ვია, რა ზოძი წაიქცა, სახლ-ჯარი თავს
 დაგმობს დაგმობს
 გაუფხილდი, შენც არ დაგვექცე, ღვთის
 მადლსა, მაგრა დექ ცაო!

ეს მაღალი რანგის პოეტური აზროვნებაა, ღირსი შექსპირის სახელისა.

უსაფუძვლოდ როდი აყენებდა ილია გურამიშვილს ლუქრეციუსის სიმალღეზე!

ქართული მიწის შვილი სხვათა სამკვიდროში სამუდამოდ გადატყორცნილი და უცხო ცის, უცხო ენის, უცხო ხასიათების გარემოცვაში ეტრფის შორეულ სამშობლოს. მისი დარდი მსოფლიოში ცნობილი დიდი პოეტების დარდის თანაბარია, მათებრ უკუდავეყოფილი იმ დიდ პოეტურ საგალობელში „დავითიანი“ რომ უწოდა თვითონ მგოსანმა.

გურამიშვილი თავადიშვილია ჩამომავლობით და „გლეხი“ — თავისი უბრალო, ხალხური ენით, რასაც არასოდეს არ ჰღალატობს. გაძიძვებულის სხვა პოეტებზე ყოფილან, მაგრამ მისი და მომდევნო საუკუნეთა მწერალთა შორის ასეთი დახვეწილი „ქართული გლეხის მადლიანი ენით“ სხვას არავის უწერია და უთქვამს თავისი სათქმელი. ისაა პირველი ქართველი პოეტი, ვინც რუსთაველის ეპიგონობას თავი დააღწია. „მრავალი საუკუნეების განმავლობაში, — წერს საქართველოს სულმნათი მგოსანი აკაკი წერეთელი, — ქართველი პოეტები ისე ბრმათ გატაცებულნი იყვნენ რუსთაველისაგან, ისე ძლიერათ დამონებული, რომ ვეღარც კი წარმოედგინათ, თუ კიდევ შეიძლებოდა სხვა გვარი ლექსების წერა, თუ არა თექვსმეტ მარცვლოვან და ოთხ ტაეპიან შაირისა. მიდიოდნენ რუსთაველისაგან, ერთხელვე გათელილ გზაზე, უდგნენ კვალში, მაგრამ იმოდენი ფეხმარჯვეობა არა ჰქონდათ. და მათი მსვლელობა შედარებით რუსთაველის მსვლელობასთან, კოკლობა იყო“.

პირველი მწერალი, რომელმაც გა-

* კ. კეკელიძე, II, 660.

დაირჩინა თავი ამ მონებას და საკუთარი გზით მოინდომა მსვლელობა იყო დავით გურამიშვილი. ჯერ ისიც დიდხანს მისდევდა რუსთველს, ბოლოს მიხვდა რომ მაჩანჩალა იყო მისი და სხვა არაფერი და მაშინ კი თქვა: რუსთველი სიბრძნის ზღვა არის, მას სხვა ვერ შეედრებაო, იკადრა გადახვევა და დაიწყო იმგვარ ლექსების წერა. როგორც არიან მისი „ქაცვია მწყემსი“ და მისი სახალხო „ეო-მეო“-ები.*

სამართლიანად აღნიშნავს თავის წიგნში გიორგი ნატროშვილი: „დავით გურამიშვილი ეკუთვნის ისეთი პოეტების რიცხვს, რომლებიც თავიანთი შემოქმედებით ებოძებენ ქმნიან ლიტერატურის ისტორიაში. ისინი პირველნი გაიტანენ ხოლმე კვალს ახალ ყამირში და ახალ პორიზონტებსა ხსნიან. პოეტი სიყრმის წლებიდან განშორებული იყო სამშობლოს, მიუხედავად ამისა, მეთვრამეტე საუკუნის საქართველო და გურამიშვილი განუყრელი ცნებები არიან.“**

ეს უდავო ეროვნულობაა ის მყარი და მთავარი კვარცხლბეკი, რომელზედაც აღმართულია ხალხთა მეგობრობის ერთ-ერთი დიდი მონუმენტი, რომლის სახელია დავით გურამიშვილი.

„დავითიანი“ — ძმობის სიმღერაა, ადამიანურობის ჰიმნია, სამშობლოს საგალობელია.

დავითიანის პოეტურ შემოქმედებაში გამოირჩევა ისტორიული, ფილოსოფიური, დიდაქტიკური მოტივები, ხოლო მთელს წიგნს აცისკროვნებს მისი ორი ყველაზე დიდი ღირსება: ხალხურობა და ღირსიულობა. მან შემოიტანა ახალი შინაარსი, ახალი სიუჟეტი, ახალი სალექსო საზომები, პოეტური ხერხებისა და სახეების მთელი საუნჯე მოგვცა. ყოველივე ეს თავისთავად მეტყველებს, რომ გურამიშვილი ქართუ-

ლი პოეზიის დიდი ნოვატორია, და ეს იმდენად აშკარაა, რომ საგანგებო მტკიცებასაც არ საჭიროებს.

არაერთხელ აღნიშნულა, რომ გურამიშვილის ცხოვრება და პოეზია ერთი მთლიანი და განუყოფელია. ესაა ერთი ცხოვრების, ერთი განცდა, ერთი დაღადისი, მაგრამ ეს სულაც არ ნიშნავს იმას, რომ ღრმად ინდივიდუალური პოეზია გურამიშვილისა არ ასახავდეს ეპოქის სოციალურ-პოლიტიკურ, საზოგადოებრივ ვითარებას. პოეტის პიროვნება მხოლოდ რთული ფოკუსია, მრავალწახნავოვანი პრიზმა, რომელშიაც თავს იყრის და გადატყდება მისი მღელვარე დროის ყველა ტკივილი და სიხარული, დარდი და იმედი.

პოეტის ლირიკული აღსარება — მისი ეპოქის სურათიცაა, მისი ტანჯული მამულის ჰირ-ვარამიცაა და ამდენად მას ორმაგი მნიშვნელობა ეძლევა.

გურამიშვილი უაღრესად ეროვნული მგოსანია, არც იგარძნობა, რომ მთელი მისი მემკვიდრეობა უცხო მიწაზე შექმნილია. ამის მიუხედავად, თვითონვე ივედრება: „თუ რამ იყოს სხვის სჯულისა, მომიქციოს, გამიქართლოსო“.

დავითის ეროვნულობა იმთავითვე საგარძნობია თუნდაც თავისი პოზიციიდან რუსთაველის მიმართ:

ოდესაც ბრძენმან რიტორმან შოთამ რგო
იგავთ ხეო და,
ფესვ-ღრმა-ყო, შრტონი უჩინა, ზედ ხილი
მოიწეოდა.
ორგზითვე ნაყოფს მისცემდა, ვისგანაც
მოირხეოდა, —
ლექსი რუსთველისებრ ნათქვამი მე სხვისა
ვერ ვნახეო და.

რუსთაველია ის ნათლის სვეტი ცამდე აწვდილი ბუმბერაზი, ქართველი კაცის სულისა და გონების მპყრობელი, რომლის ჩრდილშიც თვითონ დავითი „წკებლასა ზედა ზის“, „ამაოდ კბაძავს დიდ წინაპარს“, „უბრალოდ ამღვრევს წყალს...“ ეს სანაქებო მოკრ-

* აკაკი წერეთელი, თხზ., ტ. XII, გვ. 87.
** გ. ნატროშვილი, დავით გურამიშვილი, 1943, გვ. 3.

ელგუჯა მალრაძე
გომღვა

ძალგზაცაა და თავისი ეროვნულობის დიდი საბუთიც.

მე რუსთველსა ლექსს არ უდრი, ვით მარგალიტს ჩაღის ძირსაო. აცხადებს თავმდაბლურად პოეტი, მაგრამ იმედი აქვს, რომ სადაც სხვა წიგნს „ვერ მიხედებთან“, იქ დავითთანაც „მოიხმარებენ“.

დანამდვილებით არავინ იცის სდევნიდა თუ არა გენიალურ რუსთაველს ქართული ეკლესია. ერთი რამ კი ცხადია, იგი განუყოფლად, მარტოდმარტო ბატონობდა საქართველოს პოეზიის ცის თავანზე, დიდებით გამოვლო საუკუნეთა მრუშე სიღრმეები, გაუძლო, ყველაზე უმკაცრესი მსაჭულის, დროის გამოცდას, ჰირსა და ლხინში მწუდ ედგა ქართველ კაცს, შეუწარჩუნა სულის მხნეობა, სიმტკიცე და ნიდავგ მოძღვრიდა: „ხამს მოყვარე მოყვრისათვისო“. თუ დიდებული რუსთაველის პოეზია მართლაც იდევნებოდა სასულეირო მამების მიერ, აღბათ მხოლოდ იმიტომ, რომ მას მთლიანად ეპყრა ქართველი კაცის სულიერი სამყარო და არსთვამრიგებს იქ ადგილი აღარ რჩებოდა. დიახ, ქართველის გულსა და გონებაში ამ პოეზიას ღვთის ადგილი ჰქონდა მიჩნეული. რუსთაველი ყველა მეფეზე უფრო მორჭმით იჭდა ქართველი კაცის გონებით აღმართულ სულიერ ტახტზე და მის პოეზიას განათებული ჰქონდა საქართველოს ცის ყოველი კუთხე-კუნჭული. გურამიშვილის სიტყვით რუსთველის ლექსი, იყო მარგალიტი-შეუღარებელი, რუსთაველის პოეზიით „განიხვენენ საქანელანი ცისანი“, მისი პოეზია ერთნაირ თანაბრად იყო დახუნძლული სასულეირო და საერო ნაყოფით.

ღვთისგან მაღალი ნიჭით მიმადლებულმა პოეტმა ჭეშმარიტად შეიცირო რუსთაველის პოეზიაში ელვარება აზრისა, მისი პოეზიის განუუმეორებელი მუსიკალური დიდებულება. ეს პოეზია ხომ ნიდავგ ანკვიფრებდა ყველას და იყო გონების სასინჯი ქვა და საღესი. ამ პოეზიამ საუკუნეთა მანძილზე დამო-

ნა ქართველი კაცის „გული, გონება“ და სული“. სულიერ მონობას, გონებას ლად ეგუება ადამის მოღვა. იგი უმხედრდება ყველასა და ყრველივეს, ესიტყვება თვითონ შემოქმედს. ამიტომ სრულიად ბუნებრივია დაბადება სურვილისა, თუნდაც რუსთაველის პოეზიის სასიამოვნო ტყვეობიდან თავდახსნისა. რუსთაველის პოეზიის მონობისაგან თავდახსნის წარმატებული ცდა კი დავით გურამიშვილს ეკუთვნის.

დავით გურამიშვილი ტყვეობიდან მარტო ლეკებს კი არა რუსთაველსაც გაექცა. რუსთაველმა, როგორც ეს გენიოსებს სჩვევიათ რვალივით ნაჭედი ბორკილი დაადო მთელ ქართულ პოეზიას. ხუთას წელზე მეტ ხანს ედრ ეს ბორკილი ჩვენს პოეზიას. გურამიშვილმა სამშობლოში და მის გარეთ კარგა ხანს ატარა, ხეხა და ქლიბა ეს ბორკილი. მისმა თავისუფლებისმოყვარე ამაყმა სულმა ვერც ისეთი გენიოსის მონობა აიტანა როგორც შოთა რუსთაველი იყო და ეცადა თავი დაეხსნა ტყვეობიდან. კარგა ხანმა განელო მას მერე. მერე ის იყო, ერთ მშვენიერ დღეს რიონის ფშანებიდან აფრენილმა არწივმა დაამონა ქართული ლექსის ოსტატები. გალაკტიონიც დამპყრობელივით ჩამოვიდა სატახტო ქალაქში. მან თავი მოუყარა საქართველოს უკეთეს მოღექსეთ, თვითონ თავი პოეტების მეფედ გამოაცხადა, პოეტები კი, უკლებლივ ყველა დაბორკა: ზოგს მარტო ხელბორკილი დაადო, ზოგს — თეხბორკილი, უმეტესობას კი ხელთუხი გაუკოჭა. გურამიშვილი შარავანდილიდან შემოსცქერის ამ სურათს და აღბათ ოდესმე უკარნახებს, მათ როგორ უნდა დააღწიონ თავი ჯაჭვებს — მან ყველაზე კარგად უწყის ეს ამბავი! ბევრსა აქვს ახლა ქლიბი, მავანსა და მავანს „უცხოური ფორმისაც კი“ და ცდილობს რაღაც უნდა დაუჭდეს გაწყვიტოს მანამებელი რკინა. და მანც ეს ცდა გაქცევისა დიდ რისკთან არის დაკავშირებული.

ხომ შეიძლებოდა, გურამიშვილის



გამტაცებელთ გამოსასყიდათ, თქრო კი არა პოეტები ეთხოვათ; ერთი პოეტი თავადის დასახსნელად სამშობლო ალბათ მრავალ მეფე პოეტს შეელოდა! თუ ვინმეს ნათქვამის აზრი დააეჭვებს, ერთხელ კიდევ უნდა გადაიკითხოთ გენიალური ვეა-ფშველას კოლორიტული შედევრი — დავით გურამიშვილისადმი მიძღვნილი ქებათა-ქება!

სამყერ დარხსნა გაქცევით თავი ტყვეობიდან გურამიშვილმა.

ორჯერ ლექებს დაუსხლტა იგი! ერთხელ რუსთაველს!

მისი ჭეშმარიტი სიმაღლისა და დიდოსტატობის საბუთი მისი ბოლო გაქცევა!

1838 წელს ქართული ფილოლოგიის კათედრაზე მარი ბროსემ პირველი სიტყვა გურამიშვილს უძღვნა და თუმცა მისთვის „პირველი რიგის პოეტის“ პატივი არ გაიმეტა, მაგრამ შეუმჩნეველი არ დარჩენია „სალი ფილოსოფია, რითაც მისი თხუზულებები სუნთქავენ“, მისი „კეთილსახიერი მხიარულება, სიტყვის გულუბრყვილო უბრალოება“, და მინც საპატიო ადგილი დაუმკვიდრა „მისი ხალხის მწერალთა შორის“.

ათასჯერ გვსმენია იმ სავალალო საშინაო და საგარეო მდგომარეობის ამბავი, რაც საქართველოში შეიქმნა XV-XVIII საუკუნეებში და რასაც ბოლო არ უჩანდა. მონღოლთა შემოსევების წყევლით მოსაგონებელი წლებიდან ჩვენს ერს ერთი ბედნიერი დილა არ გასთენებია. მუდმივი ომი ან ომის მოლოდინი, ძარცვა-რბევა, ხარკი, სილატაე, დევნა, შინაურთა თუ უცხო თესლთა ზვანჯები, ხანძარი და სიძვირე იყო იმ ქვეყნის ხვედრი, რომელიც თამარის დროს ზღვიდან ზღვამდე გადაჭიმულიყო და რუქნადინებსა და სალადინებს აძრწუნებდა. „სასახლეები დაქცეულან, ნადირთ სადგომად ქცეულან“*.

ბრძოლა სამეფო ხელისუფლებისათ-

ვის და ამ ხელისუფლების წინააღმდეგ ისე ეჯახებოდნენ ერთმეორეს, რთგორც ცეცხლი და წყალი. საყოველთაო დაცემას და სიწამხბრეს მოსდევს სარფისათვის ბრძოლა, შეგნებისა და ზნეობის დაცემა, შუღლი, ძმათა შორის ქიშპი და ბრძოლა. ასე მოხდა ჩვენშიაც. ამ სინამდვილის მატინის შექმნა ბედმა დავით გურამიშვილს არგუნა. პირდაპირ საკვირველია გურამიშვილის ლექსის მომჯადოებელი, განუმეორებელი ინტონაცია, თავისებური, უბრალო და ეფექტური ჟღერადობა:

სახათ სიტყვა მშვენიერო,
სხით მზეთა-მზის სახეო,

ვეძვე და შენი მზგავსო
მე აქ ვერცადა ვნახო;
ვეაჯები, ნუ გამწირავ,
მოვკვედე, შენ კერძ დამმარბეო,
ყოფობეთში ნუ ჩამაედებ,
მიწყალბე სამოთხეო!

ცხადია, გურამიშვილს უდავოდ უნდა გამოსჩენოდა მიმბაძველები და გამოუჩნდნენ კიდევ.

გურამიშვილმა გაბედულად დასძლია თემატური კრიზისი, ტრაფარეტი, ძველი აღმოსავლური შაბლონი, და ახალი, ეროვნული, ნათელი პერსპექტივები გადაუშალა ჩვენს მწერლობას. ეს შენიშნა ვეყამ და ამიტომ გამოარჩია სხვა პოეტებში თავისი „უძვირფასესი პაპა“ ახალი პოეზიის წინამორბედი დავით გურამიშვილი.

გურამიშვილმა ქართულ პოეზიაში შემოიტანა ხალხური, მთის სასიმღერო კილო, აგრეთვე უკრაინული თუ რუსული სასიმღერო მოტივები („ხმები“). ეს დიდი ნაბიჯი იყო, და კიდევ უფრო სამაყო იქნებოდა, რომ ზოგჯერ კონსერვატორული, რელიგიური ან უბიორი შინაარსი არ მიესადაგებინა ამ ახალი საზომებისათვის. პირველ რიგში აქ ისევ რელიგიურ-მიბლიური შინაარსი იჩენს თავს. ასე, „პატარა ქალი თი-

ელგუჯა მადრამე

გოდება

* ფ. გორგიჯანიძის ისტორია.

ნაოს“ ხმით ასეთი ლექსი შემოგვთავაზა:

ვაჭრთ ვადიდოთ ვინაო?
— დმერთი მალალთა შინაო,
ვინცა შეამყო ქვეყანა,
ღამე დღედ განაბრწყინაო...

ლექსის ჯადოქარი დავითისათვის „არავინა არს უფროსი, დვთისაგან უდიდო“, და იმის მაგიერ, რომ საერო პოეზიის მეტი ნიმუში შექმნას, სადავითო წიგნების გალექსევას ახმარს ჯანსა და ნიქს, მაგრამ გურამიშვილთან ამასაც მიზნობრივი დანიშნულება აქვს. ქართული ტომების ურთიერთ თანადგომის თვანჯარა წყაროდ პოეტს ქრისტეს სჯული მიაჩნია, ისევე, როგორც იმავე სჯულს სთვლის ერთმორწმუნე რუსებთან და უკრაინელებთან ძმობის საფუძვლად და ხიდად.

ვარდ-ბულბულიანობა, ვარდისა და ბულბულის უდიდლო ტრფობა, აღმოსავლური ლიტერატურის კარდინალური და მარადიული თემაა. ამაზე დაწერილა აურაცხელი ლექსი და პოემა, ტალღასავით გადასულა დასავლეთში და მისი გამოძახილი დღესაც არ წყდება.

საქართველოში ვარდისა და ბულბულის თემას პირველად თეიმურაზ პირველმა უმღერა მთელი ხმით. ეს მოტივი მან სპარსულიდან გადმოიღო, და ორიგინალური ქდერადობაც მისცა.

ბულბული ეტრფის ვარდს, ვარდი უკადრისობს, თავის ტოლად არ მიაჩნია შეუხედავი ფრინველი. ბულბული დაჰკვენისის, ტირის, ეწამება და კვდება ხოლმე. ასეა უმთავრესად. ესაა სუფისტური, მისტიკური ბოლო სიყვარულისა, რაც დვთაებრივი გრძნობაა და მოკვდავნი ამაოდ ცდილობენ ეზიარონ ამ ციურ სიამეს.

გურამიშვილი სცილდება ტრადიციულ ხაზს და თავისებურად იდილიურად გადააქვს პოეტური ტრფობა ცოლ-ქმრობის სფეროში.

ბულბულს ვარდი შეჰყვარებია. ვარდმა ავი საქმე ქნა, შეიძულა, „იყ-

ვარა ყვავი“. ბულბულიც გაწყვიტა „მთად ქნა ნავარდი“, ასკილზე დასაყრდა, ის შეირთო ცოლად. ახლა ვარდის წყენის დრო დადგა: აკი გიყვარდი, რად განმეშორეო? ბულბულმა მიუგო: თუმცა გაქვს კარგი ფერი, ჩემთვის უფერული ხარ, „შენი კარგი სილამაზე არს ჩემთვის ურგი, გულს საკონლად რომ მიგიკრი, მაქცივი ზურგი!“

ეს საყვედური უკვე კვალუც ქალს ეკუთვნის, ქმრის ორგულსა და მიზეზიანს, ჰეშმარიტ საყვარელს რომ არ კოცნის და სხვისკენ უჭირავს თვალი! ბულბული საყვედურებით ავსებს პირუმტიც სატრფოს. საერთოდ, ეს ლექსი („სიმღერა“) ვერაა გურამიშვილისებურად გამართული, მაგრამ მას ამშვენებს პოეტური მარგალიტი, ეს ოთხი სტრიქონი:

მე გაჰმევი, მე ვასმევი, მე გაემევი ტანთ,
შენ დახარბდი მცირეს ძღვენთა, სხვისგან
მონატანთ...
რადგან ასე მომივგავ მე, შენს შესართავს,
ის თუ ვინდა, ქრშად შეართვე, ნება
დამართავს...

ამრიგად, ვარდ-ბულბულიანობის პრობლემას გურამიშვილი თავისებურ, პრაქტიკულ, მაგრამ თანაც არაპოეტურ ასპექტში წყევტს: ლამაზი ქალი ოჯახისათვის არ გამოდგება, თვალად ნასი ასკილი კი მნახველს ვერ მოხიბლავს, მაგრამ ერთგული მეუღლე იქნებაო. ამ უხერხულობას თვით პოეტი გრძნობს და ლექსს ასეთი დასკვნით ამთავრებს:

ფუ შე, ცრუო საწუთროო, ხარ არაფერი!
ვარდს ყვავს შერთავ, ასკილს ბულბულს,
არს რა საფერი?!

მართალია, დავითი პრინციპულად არ გმობს უფროს-უმცროსობას, პატრონ-ყმობის ინსტიტუტს, და ვერც მოვთხოვდით ამას XVIII საუკუნის მესიტყვეს, მაგრამ გმობს ამ ინსტიტუტის მახინჯ მხარეებს, კიცხავს უგულო, სასტიკ მებატონეებს, მოითხოვს ჰუმანურ მოპყრობას ყმისადმი. ეს სიყვარული მდამბო, მართალი, სალი მშრომელი-



სადმი აღრევე ჩაენერგა, ბავშვობაში, ალბათ ძიძისთან, და ღრმა სიბერემდე გაჰყვა.

გურამიშვილი ლექსის ოსტატია ამ სიტყვის მაღალი გაგებით. მშრალ ქრონიკას ის ჯადოქაროვნით აცოცხლებს, დარბაისლურსა და სასიმღერო კილოებს სათანადო გემოვნებით ურჩევს შესაფერის შინაარსს, ძალდაუტანებლად იყენებს ლირიკულსა და საგმირო კილოებს სათანადო აზრისა და გრძნობის გამოსახატავად. ბუნების მოვლენების აღწერა „ქაცვია მწყემსში“ და იქვე უფაქიზესი განცდების გადმოცემა ისე ხდება, რომ სურათი სრულია და ნათელი, ინტონაციაშივე იგრძნობა ფერი, ქუხილი, ფოთოლთა შრიალი და გულთა თრთოლა.

ჯერ კიდევ გიორგი წერეთელმა სალი გონებით შენიშნა: „არჩილიანი“ და „დიდმოურავიანი“ უფრო ისტორიულ ქრონიკებს გვანან, ვიდრემც ნამდვილს პოემებს, რადგან აკლიათ ღრმა გრძნობა და ის სიცოცხლე, რომელიც ჰბადებს მაღალს და ნამდვილს პოეზიას“.

გურამიშვილს დიდი დამსახურება აქვს ქართული ვერსიფიკაციის ისტორიასში. მან შემოიღო და დაამკვიდრა მრავალი ახალი საზომი, გააძლიერა ხალხურ კილოთა ჟღერადობა, განავრცო პოეტურ საზომთა არე. ბევრი მისი კილო დღეს მოქალაქეობრივი უფლებით სარგებლობს.

გურამიშვილი ყველგან აღიარებს დიდ წინამორბედთა და თანამედროვეთა ძალას. ეს კეთილშობილური მოკრძალება ბოლომდე გასდევს გურამიშვილის ცხოვრებისა და შემოქმედების გზას. თუ ის საკმაოდ გულწრფელია და ნამდვილი ქართველი პატიოტი, თავისთვის ესეც დიდ პატივად მიიჩნია. ამიტომ შემწვობას სხვასა სთხოვს, უშვილოს ეს შვილი მაინც შეუხანოს, და შეუსწოროს, თუ რამე დააკლო:

თუ რამ იყოს სხვის სკულისა, მომიქციოს

„გაქართლება“ დავით გურამიშვილს ცხადია, არ ესაჭიროება. ის ერთიანად საქართველოა, ქართლის მფეთქავი გულია და რუსთაველის ღირსეული მემკვიდრე...

გურამიშვილი ხშირად იყენებს მხატვრულ სახეებსა და შედარებებს მეტადრე ბიბლიიდან ძველი და ახალი აღთქმიდან. ეს შედარება მუდამ ემოციურია და დროული.

მაგალითად, ვახტანგ მეფის ასტრახანს დარჩენა და ამაღლის მოსკოვს წასვლა განცდილია, როგორც ეროვნული ტრაგედია, გათიშვა, დასუსტება, და ეს ამბავი ცხადლივ წარმოგვესახება ბაბილონის გოდოლთან შედარებით: „ვითა გოდოლთ მშენებელნი, ვავხდით ენა შარეულნი“.

სრულიად თავისებური, აღმოსავლურად მახვილგონიერული და ნათელია გურამიშვილის ხატოვანი მსჯელობა, შედარება, მოვლენის ცოცხლად დახატვის მიუბაძავი უნარი:

ცხოვრების წყაროს ვუხსენე
ხე ცხოვრებისა დარადო,
ამად ვსთქვი ჭვარზედ ვნებული,
ცრემლი იღინით დვარადო...

იშვიათად შობილა ეგზომ ორიგინალური ხმის პოეტი. ისე, როგორც ქვიშის მარცვალშიც საცნაურია ოქრო, ყოველ ცალკე სტრიქონში, ფრაზაში და სიტყვაშიც კი ვცნობთ გურამიშვილის ლექსს, მის ენას, მის სტილს, პოეტურ ხელოვნებას. მას უყვარს ზუსტი რითმები, მაჯამები, და ისე იმარჯვენს ერთნაირი შინაარსისა და ჟღერადობის სიტყვებსაც კი, რომ განმეორების განცდა ქრება, რითმა ედრება მაჯამას. (მეწადა — მეცადა — მეცადა, მიბოძეო — მიბოძეო; აღარცადაო — აღარც ცადაო; მისრისა, ე. ი. ეგვიპტური — მისრისა, ე. ი. გამისრისა —

ბრძენსა ვაცსა ვეხევეწები, ეს ობოლი
მაინათლოს;

ელგუჟა მალრამი
გოდება:

მის სრისა, ე. ი. ამ სასახლეზე მოსხია—
მის ხისა...).

დავითი მაჯამის დიდოსტატია. თუ
მკაცრად განვსჯით, მას აქვს მიღრე-
კილება საერთოდ სრული, მაჯამურო-
ბამდე ზუსტი რითმა იპოვოს, მაგრამ თუ
ეს სავსებით განუხორციელებელია, ყო-
ველ შესაძლებელ შემთხვევაში მაინც
მაჯამას გვაძლევს.

მოკლეა ესე სოფელი,
კაცს არ შერჩების წამ ერთო,
რაც მომეპოა თავიდან,
ბოლო — ეამ ისევ წამერთო!
მან დამიკანაძა მუხთაღმა,
მე რაცა მეხვეწა — მერთო,
მის გამო სველით მე გული,
ვით შემა, ცეცხლზე წამერთო.

ანბანთქების ტრადიცია ისე ძლიერი
იყო, რომ მას ვერც ნოვატორმა გუ-
რამიშვილმა დააღწია თავი. გავისხენოთ
თუნდაც „ანბანზედ თქმული დავითისა-
გან, პირველი თავიდან და მეორე ბო-
ლოდან“:

იღამ ბრმა გველით და ვაა ვერა ზოგვენ,
იმ კრულმან ლახვრად მიაგო ნებით ორ-პირი
ქლარასა...

გურამიშვილის მთელი პოეზია ხომ
სიბრძნის ზღვაა და იმავე დროს
სიოსავით მსუბუქი, მელოდიური, სა-
სიმღერო. ის იყო თვითონ მგრძობიარე
ქნარი, რომლის ყოველი სიმე-
ლოდიური ხმებს იჭერდა და თავისებუ-
რად გადმოსცემდა. ქართული ხალხუ-
რი სიმღერების, უკრაინული სიმღე-
რების ხმა, ადგილს პოულობს მის მრავ-
ალ სიმღერაში, და ესეც აძლევს მას
თავისებურ მომხიბლაობას. „ხმების“
მიბაძვა არ გამოირჩხავს განმაახლებ-
ლობას, მით უმეტეს რომ გურამიშვილ-
მა მრავალი საზომი შექმნა და უბად-
ლო ნოვატორიცაა ქართული ლექსის
ვერსიფიკაციის საქმეში.

ჯერ კიდევ დიდმა აკაკიმ შენიშნა:
გურამიშვილმა ქართულ პოეზიაში სა-
კუთარი გზა აირჩიათ. ეს გზა თავისუ-
ფალია სპარსული ზეგავლენებისაგან—
თემატურადაც და შინაარსითაც. კე-

თილხმოვანებით ხომ მისი პოეზია
საერთოდ გამორჩეული და უმეტესად
ქართული კილო, რაც მის ყოველ
ლექსში იცნობა, მხოლოდ კოლორიტს
ქმნის და მელოდიურობას ბუნებრივ
მდინარებას ანიჭებს, ის არ ეხამუშება
არც ერთი ქართველის სმენას და არ
ქმნის დიალექტიზმის ტყვეობის შთა-
ბეჭდილებას.

დავითის ლექსთა უმრავლესობა —
სიმღერაა, სხვადასხვა ხმაზე გამართუ-
ლი. უდავოა, პოეტი კარგად მღერო-
და. ამას თვითონაც ამბობს:

ვინც რომე სახლში შემიშვა, გამათხო,
დამიშვა კარგი სადელი, წინ ღვინით სავსე
შეშაო,
მან შემიკეთა: იმღერე, დავით, ის
„ჩემო ყურშია!“
— კვლე შენ მე რასაც შემიკეთე ვიქნები
შენი მეშაო.

პირდაპირი ასოციაციით გვაგონდე-
ბა შუა საუკუნეების ტრუბადურები,
მესტვირეები... ცხადია გურამიშვილი
თავმდაბლურად აუბრალოებს თავის
როლს, მაგრამ ჩვენ გვაინტერესებს არა
მისი კარის მგონობა, არამედ გასაო-
ცარი გულახდილობა და თავისებური
პოეტური ავტობორტრეტი, რაც ქარ-
თულ სინამდვილეში განუშეორებელია.
მთელ სიცოცხლეში ქმნიდა დავითი ამ
ავტობორტრეტს და ბოლოს კალმით
დახატულსაც შიგ ურთავს.

გურამიშვილი ლექსის ფორმებისა
და ინტონაციების სიუხვით გვხიბლავს
და გვოცებს. მას წინ უდევს უფროსი
თანამედროვის მამუკა ბარათაშვილის
„ქაშნიკი“, მაგრამ თავის მხრივ ამ-
დიღრებს მას რუსული, უკრაინული,
პოლონური და ქართული ხალხური
ფორმებით: „აგერ მიღმარ ახოს“. „პა-
ტარა ქალო თინაოს“, „ეო, მეო, ქალო,
ქალო მზეოს“. „ქართლ-კახეთის ჯარ-
თა სასიმღეროს“, ხმებზე აწყობს თავის
ლექსებს და უმატებს „ქაცვია მწყემ-
სის“ სრულიად თავისებურ, ორიგინალურ
საზომს.

გურამიშვილი პელიკანივით საკუთარ

მერდს იფლეთს, გრძობს, განიცდის, ზედავს პოეტური სიტყვის ძალას; და უმჯობესად თვლის წეროს ლექსად. მას, როგორც პორაციუსს, თითქოს ყველაფერი სათქმელი ქნარზე სამღერად, ლექსად ულაგდება ცნობიერებაში. პროზად ამბობს და ლექსად გამოსდის.. ტკბილად სასმელი პოეზიაა, მისი მამაც, ძმაც, თანამებრძოლიც, და მემკვიდრეც. ერთი სიტყვით, მიმართვის პოეზიაა წარსულიც, აწყობიც, მომავალიც და უკვდავებაც.

პოეტი თვითონვე ხსნის თავის გატაცებას:

მე ლექსად სიტყვებს ამაღ ვაწყობდი, უფრო ტკბილად ჩნდა, იმას ვატყობდი არ მაქვსა იმედი, შენ ამაღ ისმენდი მოუწყენელად...

„დავითიანის“ ბოლო სიმღერია — რამდენიმე დასკვნითი ლექსი — ღრმად მოხუცი პოეტის უკანასკნელი აკორდია. თავმდაბალი მგოსანი გრძობს თავისი ნოვატორული ნაშრომის წონას:

ესე სიტყვანი მე მაქვს ასე შეტყობილი მწყობრი არსო სიტყვანი ლექსად შეწყობილი; ამისთვის კანუნად არ მიჩანს თქმა ლექსისა, და მოძიება რიტორთ საზომი ექსისა.

თანადროულობის კვალობაზე გუარამიშვილის ენა იმდენად ხალხურია, რომ მცირე ლექსიკონიც საქმარისია მის გასაგებად, მის თანამედროვე სხვა პოეტებს (მაგალითად, ვახტანგ შექქესეს საერთოდ ბევრად ვრცელი ლექსიკონის დაუხმარებლად მკითხველი ძნელად გაიგებს. მეტსაც ვიტყვით, „დავითიანის“ გაგებას საერთოდ არც კი სჭირდება ლექსიკონი, თუმცა მის ორი გრძელი ავბედიითი საუკუნე გავშორებს.

გუარამიშვილმა თითქმის სრული მეთვრამეტე საუკუნე განვლო ძლივით და მთელი საუკუნის სევდა აზიდა. მისი ცხოვრების ვარაში და კაემანი მისი ქვეყნის ჭირვარამია.

ყოველივე ეს საგანგებოდ დაუსაბუთებლადაც დამაჩერებლად ცხადსკოფს დავით გუარამიშვილის განსაკუთ-

რებულ როლს ქართული მწერლობის ისტორიაში.

მთავარი ღირსება კი მისი შემოქმედებისა ისაა, რომ პოეტს გულს ქართლის ბედი უტრიალებდა, „ქართლის წყლული მიიჩნდა წყლულად და სამშობლოს ბედითა და უბედობით ეჩაგრებოდა გული“.

ქართლის პირის მოზარდ

ყრმათ შევავედრე ეს წიგნი, არ შექმნან დასახვევლად.

დავით გუარამიშვილი

„ქართლის ჭირი“ XVIII საუკუნის პირველი ნახევრის საქართველოს მკაცრი პოეტური მატიანა, ერთნაირად საინტერესო ისტორიკოსისა და პოეზიის მკვლევარისათვის. პოეტი დაუნდობლად აშიშვლებს საშინელ სინამდვილეს — შინაურ აშლილობას, გარეშე მტრის თარეშს, ძმათა შორის ატეხილ დავას, კინკლაობას, ორპირობას, გაუტანლობას, დალატსა და მუხანათობას. არ ინდობს არც ერს, არც ბერს, არც დიდებულს, არც მდაბიოს. არ ინდობს თვით თავის სათაყვანებელ ვახტანგ მეფეს, რომელსაც ბრალს სდებს სამშობლო ქვეყნის უპატრონოდ, „უშამლოდ“ მიტოვებაში, ნებისყოფის უჭონლობაში, საქართველოს დაკნინებადასუსტებაში... „რაზედაც მიღვა, არ დარჩა ის საქმე წაუხლომარო“, — სასტიკი ბრალდებაა, და ვახტანგ მეფე ნაწილობრივ იმსახურებდა კიდევ ასეთ საყვედურს. ეს მისი პოლიტიკის შედეგად მოხდა, რომ „მოისრა ხშირი ქვეყანა, ვახდა ვერანად, ტრამლდა. აღარავინ დარჩა ფარსავი. პატრონად, ქვეყნის მამლადა“.

„ქართლის ჭირი“ მხატვრულდაც და ისტორიული მნიშვნელობითაც საუკუნის უდიდესი ნაწარმოებია. ამ თვალსაზრისით მთელს ქართულ ლიტერატურაში არ მოიძებნება მსგავსი რამ.

ელგუჯა მალრამი
გოშაბაზ

ამით მთელი სიმართლეა თქმული მოკლედ და ნათლად. სწორედ ამიტომ-
მა ერთ პოეტურ მოთხრობად შედუ-
ღაბებული მამულის ბედი და პოეტის
ბედი.

„ქართლის ჭირში“ ორგანულადაა
ჩართული პოეტის ოდისეაც, მთელი
მისი ჭირ-ვარამი, ლექების ტყვეობი-
დან დაწყებული. იმავე ისტორიულ
პოემამა ჩართული ვახტანგ მეფისა და
მისი კარის თავგადასავალი რუსეთში,
ქართველ ჰუსართა პოლკის ამბავი.
გულწრფელ აღსარებაში პოეტი და
მეომარი მაინც ვახტანგის შორს-
მჭვრეტელურ საგარეო პოლიტიკას თა-
ნაუფრძნობს. თითქოს წინასწარ ჭვრეტს
საქართველოს მომავალ ბედს. იმთავით-
ვე რუსეთისაკენ მიეშურება, ლექების
ტყვეობით გაწამებული კაცი რუსი
კაცის ქოხში პოულობს ხსნას, პურ-
სა და სიმშვიდეს. მერე ჩადის თავის
მეფესთან, შედის რუსეთის არმიის
ვაკაცურად იბრძვის ოსმალებისა და
პრუსთა მრისხანე არმიების წინააღ-
მდეგ ბრუნდება თავის გაპარტახებულ
მამულში, იღწვის ხალხის კეთილდღეო-
ბისათვის და კვდება როგორც რუსე-
თის არმიის ოფიცერი.

გურამიშვილი ცხოვრებაშიც ისევე
აღალი, სპეტაკი და უანგაროა, რო-
გორც პოეზიაში. გულწრფელია მისი
ერთგულუბაც და გულსაკლავი წამოძა-
ხილიც: „ვამე, ტყვილო სიცოცხლეო,
რომ შენ ასე გამიმწარდი!“ მისი ადა-
მიანური ღირსეზაც იმაშია, რომ „მე-
ფეთა სამსახურმა“ სიმწრის მეტი არა-
ფერი მოუტანა, საფლავეში გოდებით
ჩადის, და მაინც არაფერს ნანობს,
მშობლიურ ქართველ და რუს ხალხთა
ერთგულუბის სულსკვეთებით გალია
ცხოვრების დღენი, როგორც უანგარო
კაცმა და მამულიშვილმა.

გულწრფელობა, პირში მთქმელობა,
პირდაპირობაა გურამიშვილის მთავარი
პიროვნული თვისება. ბოროტების მხი-
ლებაში ის ხედავს სიკეთის წყაროს.
ქვეყნის თავისუფლების დაკარგვით გა-

მოწვეულ დარდს თავს ატეხს, ცდილობს
ამ უბედურების მიზეზთა მიზეზს, ხე-
დავს აწმყოს უკეთურობას, გზისკენ
ველი მომავლით დაღდასმული პოეტი
ვერადფერს ხედავს სანუგეშოს და ნების
უნებურად გადადის წუთისოფლის
წყევლაში, გაუტანელი საწუთროს საყო-
ველთათო უკუღმართობის გმობაში, კა-
ცის ბედის სამედურავში.

ქართლის ჭირის პოეტურ მატრიანეს
ეპიგრაფად დამშვენდებოდა პატრიოტი
პოეტის სიტყვები:

მართლს ვიტყვი, შევიკნები, ტყუილისა
მომბე რად?
ვერას უქმე საძაგელთა, უფურულთა
პირ-სადერად.
მე, თუ გინდა თავიც მომპრან, ტანი გახდეს
გასაბერად,
ვინც არა ჰგავს კახაბერსა, მე ვერ ვიტყვი
კახაბერად.

დავითი იმდენად კეთილი და ლმობი-
ერიკა, რომ მეშურნე თავადებს, რო-
მელთაც არც თვითონ პოეტი დაინდეს,
ძმებს უწოდებს და ყველას მიმართ
ერთგულ ჭირისუფლად რჩება. მისი სი-
მართლის მომთხოვნელობა ცხადია,
არ გულისხმობს საყოველთაო თანას-
წორობას და რეველუციას, გულუბრ-
ყვილობაც იქნებოდა მისგან ამისი მო-
თხოვნა! აკი თვითონვე ამბობს, რაც
უნდოდა:

მე მინდოდა ყოფილიყო ჩვენში
სიყვარული ძმური,
ჩამომეგდო რიგი — წესი, სამართალი
ბატონ-ყმური.

ცხადია, დავითი ბატონყმური წყო-
ბილების, უფროს-უმცროსობის მცვე-
ლია და ამას არც ფარავს:

უმწყემსოდ ცხვარსა ბაღახი, უნებლად არ
უძოვნია,
დავით თქვა: დაემორჩილე, ვინც შენი
მებატონეა.

მისი პრინციპი ძველია და ძლიერთა
თვალსაზრისით ასევე გამართლებული:
მხენელთა და მთესველთა შეუსვენებლივ
უნდა იმუშაონ:

ცხელის ოფლითა დამწვართა, ჩრდილთა
ქვეშ მიუქარავთა,
რაც იმუშაონ, ჰამონ და აჰამონ ქვეყნის
მფარავთა.

სხვა სიტყვით, რომ ვთქვათ, დავით თითქოს მომხრეა ბიბლიური, იდილიური „თანასწორობისა“, რომ თხა და მგელი ერთად ძივდეს.

როგორც ადრევე ვარკვევით აღინიშნა ჩვენს ლიტერატურათმცოდნეობაში, დ. გუგუშვილი გაბატონებული კლასის ერთგული მცველია, არსებული ჩავვის სისტემის მომხრე, ბატონყმური სამართლის გამაზიარებელი, მაგრამ ობიექტურად მან გულწრფელად ამხილა ამავე მჩაგვრელთა ზნეობრივი დაკნინება, დეგრადირება, და ამით მიგვითითა მათი დასასრულის დასაწყისზე.

დავითი მძიმე, შინაგან წინააღმდეგობაში ვარდება. ერთი მხრივ, მან უნდა განკიცხოს თავმოთნე, თავკერძა თავადები, რომელთაც თავიანთი ქიშობით ქვეყანა დაღუპეს, მეორე მხრივ, უნდა შეიბრალოს ისინი, როგორც კლასობრივი ძმები, და თანაც საკუთარი წრის მანკიერებათა მხილებით თავისი ფაქიზი სულიც ჯვარზე გააკრას.

აი, ამ მძიმე განცდების ჭიდილში იჩენს თავს პოეტის გულის ურვა, და მისი აღსარება მოგვაგონებს კეთილგონიერი მშობლის მდგომარეობას, რომელიც იძულებულია საყვარელი შვილის დანაშაული აღიაროს და საჭაროდ ვაკიცხოს:

მე კი ვფარავ, მაგრამ ჩემი სატივიარი არა
 ჰფარავს,
 მეტად მწარედ გული მტკიავ, მაყრყოლებს
 და ტანში მზარავს:
 ვერ მოვითმენ, რომ არ დავეგმო აღმა
 მხვნელს და დაღმა მზარავს,
 ჩემი ცოდვაც მისცემია ჩემს ამამობრელს,
 ამამზარავს!

პოეტის წარმოდგენით საქართველო ერთიანი იავარქმნილი მელია, სადაც ზოგი აღმა ხნავს, ზოგი დაღმა ფარცხავს...

დავითი მეტისმეტად სამართლიანია და აღიარებს, კახელების აღმა ხნული ქართლებმა დაღმა ფარცხესო, მაგრამ ამავე დროს იგი საყ-

მაოდ გულჩვილიცაა ძმათა მიმართ და მათს უაზრო შუღლზე ზიზღით აღიარებს ლაპარაკობს. თუ ძმამ ძმას სახრე გარდუქირა, ყისტი მოსდო, ეს სამწუხაროა, მაგრამ მინც ძმები არიან, გამოსწორებისაკენ უნდა მოვუწოდოთ, ლმობიერად უნდა მოვექცეთ გზას ამცდარ მეშურნეებს.

დავითი საქართველოს თავს დატეხილ უბედურებას ჯერ განზოგადოებულ მიზეზებს უქებნის, ბიბლიურ ცოდვათა განკითხვას, ღვთისაგან განდგომას და ღვთის წყრომას ჩამოთვლის, მაგრამ ეს ზოგადი თეოლოგიური ახსნაა, რაც არ შეესაბამება მისი პოემის მთელს შინაარსს. საბოლოოდ პოეტი, როგორც სავანთა და მოვლენათა რეალურად მჭვრეტი, ჭეშმარიტად მიდის მოვლენების რეალისტურ ახსნამდე. ის დაქუცმაცებულობას, ერთობრობის უქონლობას, ძმათა შორის გაუთავებელ დავასა და უთანხმოებას თვლის ქართლის ჭირის ნამდვილ მიზეზად.

დავითი თავად აღიარებს: ქართლის ჭირის გადმოცემა დიდად მიჭირს რადგან ქართველების ბევრი ცუდი გამოაშკარავდება, მტერს გაუხარდებაო.

პოეტი ზოგადად ლაპარაკობს, ბევრ კერძო და სამარცხვინო ფაქტს ფარავს, რათა მოყვარეს არ აწყენინოს და მტერს არ ამოს. ისტორიულ მოვლენებს ის არჩევს, განაზოგადებს და ფრთხილად ააშკარავებს, ოღონდ, ცხადია, საკუთარი თვალთახედვის ასპექტში.

როგორც სხვაგანაც აღნიშნული გვაქვს, პოეტი ქართლ-კახელთა ძნელბედობის მიზეზად უფალთან შეორგულებას აცხადებს და ამით იმეორებს ბიბლიის მარადიულ მოტივს — იელოვას რწმენისაგან განდგომას, რომ უსასრულო უბედურებანი მოაქვს ისრაელი ხალხისათვის. ამ ახსნაში ახალი

ელგუჯა მალრაძე
 გიმუბა



რაფერი არაა: ახალი თვით ფაქტის
გადმოცემის დავითისეული ხერხი და
ხელოვნება. რომელი ხალხიც ტემპა-
რიტად ღმერთს განუდგება დვთისაგან
აუცილებელი სასჯელი მოეღოს. ამი-
ტომ იხსენებს ამ ბიბლიურ ამბავს.

დავითი თანმიმდევრობით ხატავს
ქართველთა დვთისადმი შეორგულე-
ბის ამბავს, გმობს მათს განდგომას,
შუღლს, გაუტანლობას, ეშმაკის აყო-
ლას, და გულისტივილით დასკვნის:
„რაც თესეს, ბოლოს მოიგვეს თავიანთ
ნამუშაისა“. ქვეყანა დაცემულა და
დაქცეულა უმსგავსი და თვითნებური
ქცევით.

დაჰბნდენ კვლად მამაცნი, მძლეუნი
გუბროლთა მძლეუნი,
ნებით შეიქმნენ უბროლად თავისა
მტერთა მძლეუნი;
ცხე განუღეს შეუშვეს, დამქავეთ,
დამამძლეუნი.
მტერი სამკვიდროთ მომშლენი,
ტრფილთა წამართმეველნი.

პოეტი გვარებს არ ასახელებს, მაგ-
რამ ვხედავთ, რა საძაგლები არიან ეს
უცნობნი, ნამდვილ სატრფოს რომ
უღალატეს და „წუთს მოყვარესა და-
მოყვარდნენ“.

გვირგვინის ცოლი გაუშვეს, ხარკსთან
შექმნეს რბოლანი,
ყმად წაუვიდნენ ისასა, იქმნენ მამადის
ქოლანი!

ამას უნდა მოჰყოლოდა და მოჰყვა
კიდევ უარესი:

შეიქმნა დიდი მტერობა, თქმა ერთმანეთის
ძვირისა,
ამართავნობა და შერი, ურცხვად გატეხა
პირისა,
იგზავნობა, ქურდობა, გზებზე დასხლობა
მხირისა,
ტყვეობა, მოკლა, ტაცება, ქვრივთა
ობოლთა, მწირისა...

როცა მთელი ეს უმსგავსობა „მან
ბრძენთა ბრძენმან“ ღმერთმან ცნა,
ბრძანა აღება ხელისა, „რისხვით გაშვე-
ბა“ ქართველთა და საფუძვლიანად
მოსპობა ერისა. ეს ტიპიური ბიბლიუ-
რი რისხვაა!

რაკი ქართველებმა ღმერთსა
დღეს, ღმერთმაც საწყაული მსჯელობა
პასუხი უყო ცოდვისა.

ცა რისხვით შევა განიბოს, ქვეყანა...
შეიძროღისა,
ვენახთ უწვიმის სეტყვანი, მზავსი ნახეთქი
ლოღისა,
მკალი დასცის ყანებსა, ქარი უტროღის
ოღისა...

მოკლედ, ეგვიპტური ჭირი გვაგონ-
დება, ან ის რისხვა, რაც ღმერთმა სო-
დომს და გომორს დაატეხა... უფალმა
„შებუსრა ძალი პურისა“, დაიწყო „დი-
დი სიყმილი“, დაიშრიტა ღვინო, შემ-
ცირდა ნახნავი, „მოსწყდის ნაწველი
ფურისა“. უეტრად მეხი, დაცვა, „იყ-
ვეს ეღვა და ქუხილი“, მოიწვა ბალახი
და ხილი... აქვე ვხედავთ იმ საზარელ
ნადირს, რომელიც აღამიანებს ისე
გლეჯდა და ნთქავდა, როგორც მგელი
ბატკებს. ამდაგვარი ზღაპრული, სა-
შინელი ამბების შემდეგ თითქოს თავ-
დება ბიბლიური დავითის წინასწარმე-
ტყველებაზე მსჯელობა და იწყება
ქართველ პოეტ დავითის მხატვრული
მატიანე ქართლისა:

ქორიონის ქრისტეს აქეთ ათას შეიღას
ოცდა ერთსა
ცოდეა მათი უმეტესად, ესმა, მოესენა
ღმერთსა;
აღმოსავლით მტერი აღძრა, მოუწოდა კვლა
სამხრეთსა,
ღმერთმან მტერსა მოუვლინოს, რაც
ქართლს უყვეს, ან კახეთსა!

აქ იწყება უკვდავი სტრიქონები, რო-
მლებიც მილალმხატვრული რეალის-
ტური ფერებით გვიხატავენ საქართვე-
ლოს ძნელბედობის სურათს:

ქართლის ქირსა ვერვინ მოსთვლის, თუ არ
ბრძენი ენა-მგებრი!
იფქლო ღვარძლად გარდაიქცა, ზედ
მობრუნდა ცეცხლის კვარი.
ერთმან მტერმან ათს მათსა-სცის ორმან
წარიქცივის ბევრი,
მცირედ დარჩა ცოდვისაგან, კაცი
ღვთისგან შენაწევრი.
თურქი, სპარსი, ლეკი, ოსი, ჩერქეზ,
ღლიღვი, დიღო ქისტო,
სრულად ქართლის მტერნი იყვნენ... ყველამ
წყარო თვითო ქაშტი!

მერმე შენათ ვიშლენენ, ძამ მითღვა ძასა
ყისტი;
თავის თავსა ხმალი იცეს,
გულთა მოიხვედრეს ხიშტი.

დავითი უკვე დაეშვა ციდან ღე-
ღამიწაზე. აქ ის დიდი რეალისტია. სა-
კუთარი პოეტური ხერხებით, მეტაფო-
რებით, შედარებებით ასურათხატებს
იმ მწარე ისტორიულ სინამდვილეს,
რომლის მოწმეც თვითონ იყო.

ჯერ კიდევ სკოლის მერხიდან გვახ-
სოვს დავით გურამიშვილისათვის დამა-
ხასიათებელი მკვეთრი შედარებებით
წარმოსახული საქართველოს მაშინდე-
ლი ვითარების ზუსტი სურათი:

ვით მამალი სხვის მამალსა,
დაჰმტერღეს და წაეიღოს,
მას სცემოს და თვით იცემოს,
დაქორროს და დაეიღოს,
რა ორნივე დაღალულნი, ძაღლმა ნახოს,
პირი ჰკიდოს, —
ეგრეთ ქართლი და კახეთი დარჩა თურქთა,
ღკთა, ღიღოს!

პოეტს ერცხვინება, იცის, „ბევრი
ავი გამოჩნდების“, „მტერს შესმის,
იამებს“. ისედაც გრძნობს თავისი
გულახდილობის მოსალოდნელ სამძიმო
შედეგს: „რასაც ახლა ვამბობ, ვგონებ,
ამაზედაც მხვდეს ვინება“, „ვა, თუ
გავხდე დასაკარგო“, მაგრამ რა გაე-
წყობა, სათქმელი უნდა ითქვას, ამას
მოითხოვს ქვეყნის ინტერესები.

აწ რომ ავი არ ვაძაგო,
კარგი როგორ უნდა ვაქო?
ავს თუ ავი არ უწოდო,
კარგს სახელად რა დაეაქო?“

პირს-ფარობა, უკან ძრახვა არა თქმულა
საფარსავო
სჯობს ტყელით ქვე-ყოფნასა ზე
სიმატლით ავიბარვო.

აქ მთელი თეორიაა სიმატლით სნე-
ბის განკურნებისა და გულახდილობის
საჭიროებისა.

ამისთანა მტერნალს ვაქებ; მიღესკვლეს
დახარ-ხუთოს,
არ თუ მასა, უწამლობით პირში სწლი
ამომხუთოს...

საქართველო და გურამიშვილი გა-
ნუყოფელნი არიან. პოეტის გულში
ღრმად ჰქონია ფესვები გადგმული მა-
მულის სიყვარულს, ენას, ზნესა და ის-
ტორიას. მსოფლიო ლიტერატურის
ისტორიაში, ცოტაა მსგავსი მაგალი-
თი, რომ სიჭაბუკეშივე სამშობლო ქვე-
ყანას სამუდამოდ მოცილებული შე-
მოქმედი ღრმა სიბერემდე, გარდაცვა-
ლების დღემდე თავისი ხალხის, ქვეყ-
ნის ბედთან ასე სისხლხორცეულად
იყოს დაკავშირებული. სამშობლოდან
ბევრი პოეტი ყოფილა დევნილი. თავი-
სი ქვეყნის დატოვება ვიქტორ ჰიუგო-
საც მოუხდა, მაგრამ მისი ხვედრი
მაინც უფრო მსუბუქი ყოფილა, რად-
გან ჯერ ერთი, დიდი შემოქმედი
ოჯახთან ერთად იყო გადახვეწილი და
მეორეც, იგი მეზობელ ქვეყანაში საფ-
რანგეთის ახლოს ცხოვრობდა და თა-
ვისი საცხოვრებელი კოშიციდან საყვა-
რელ სამშობლოს სანახებს ყოველ-
დღე უმზერდა. დავითი კი სიჭაბუკე-
შივე და ძალიან მძიმე პირობებში ჩა-
მოაცილეს სანუკუარ სამშობლოს. მან
კარგად იცოდა ისიც, რომ მის ქვეყა-
ნას ათასი ჯურის მომხდური ჯიჯნი-
და, იგი თან დაატარებდა მამულის სევ-
დას რუსეთში და უკრაინაში, იგი თა-
ვისი ქვეყნისათვის იბრძოდა შორს,
ფინეთის, თურქეთისა და პრუსიის
ფრონტებზე.

სამშობლოს ინტერესები უტრიალებს
დავითს გულსა და გონებას, მისთვის
მთავარია არა პირადი ...სარგებლობა,
არამედ ის, თუ რა „მოუხდების“ შმო-
ბელ ქვეყანას, თანაც ამ ამბებს ისე
აღწერს, თითქოს საქართველოში იმ-
ყოფებოდეს; მკითხველი ვერ გრძნობს,
რომ „ქართლის ჰირი“ ქართლივით წა-
მებულ უკრაინაში — მალოროსიაში
იწერება. საქმეს ის აძნელებს, რომ
პოეტმა არა მარტო უნდა აღიღოს სა-
ქართველო, არამედ უნდა ძრახოს კი-
დეც, მისი მოშურნე, ინტრიგანი, უღირ-

ულაშუა მადრამძ
გოდება



სი შვილები, უნდა გაანაწყენოს გავლენიანი თანამემამულენი:

მხილებას გარკვეული სარგებლობა მოაქვს, ამიტომ არის პოეტი მოუბრუნებელი.

დავით ძრახვს იმ ავსა და მზაკვარ დიდებულებს, რომლებიც ავს „თვით იქმენ და სხვას კი სძრახვენ“. მათი საქმე გმობისა და კიცხვის ღირსია „რაც ვინდ რომე კაცმან მალოს, ჳირი თავსა არ დამალავს“.

ვახტანგ მეფის შემდგომ თავგადასავალს წინ უძღვის ამნაირი წუხილი და თავის მართლება იმის გამო, რომ სიმართლის თქმა უხდება...

პოეტს არ სურს იმ პურის ჳამა, რაც აღმა მხენელს და დაღმა მფარცხველს მოუყვანია და გამოუცხვია. ვინაა ასეთი, მრუდე? ისევ ქართველები: კახელების აღმა ხნული ქართლებმა დაღმა ფარცხეს. ასეთმა „ერთიანი“ სულისკვეთებით მუშაობამ საქართველო იავარქმნა და გააპარტახა.

აქაც უნდა შევნიშნოთ, რომ გურამიშვილის რელიგიურ-მისტიკური ქადაგება ერთია და საქართველოს ცხოვრების რეალისტური აღწერა მეორე. თუმცა კვლავ ისიც, ხანვასმით უნდა ითქვას, რომ ქრისტეს რჯულიც პოეტს სამშობლოს ერთიანობის სიმშვილედ ესახება და ამიტომ ჳადაგებს მის განუხრელ დაცვას... თუ დასაწყისში ქართველთა ამოთხრის მიზეზად ბიბლიურ ცოდვას თვლის, აქ გარკვევით ლაპარაკობს სინამდვილეს: საქართველო არაა ცენტრალიზებული სამეფო, დაქუცმაცებულ სამთავრო-საბატონოებს შორის გაუთავებელი დავაა, კახეთი აღმა ხნავს, ქარლი — დაღმა ფარცხავს და ამან ამოთხარა, დაამხო, გააპარტახა ქვეყანა!

ამრიგად ნება-უნებლიედ ირღვევა ის რელიგიური სარჩული, რომელშიაც პოეტმა პირველად სცადა „ქართლის ჳირის“ გახვევა.

იწყება სიბრძნით სრული ხელმწიფის ვახტანგისა და თვით პოეტის, „დაკარ-

გულ, დაბარული“ დავითის ამბავი, ორივე მტკიცეაა დაკავშირებული „მტერთაგან გაბასრულ“ ქართლის ბედთან.

ყავნად შაჳ-თამაზი ივღა, შაჳ-ბაზის ძე, ლოთი, მექალთანე და ბოროტი, გარყენილი და უსაქმური. ვერ შესძლო ქვეყნის პატრონობა, „სამხრეთით აღძრა ოსმალო, აღმოსავლეთით ავღანი“ მანვე დაქცია სიონის ბჳენი, შეარყია მეტეხი, ლევანის ძე ვახტანგი შეიპყრო, შეიდ წელიწადს ტყვედ ჳყავდა, საქართველო უპატრონოდ დატოვა...

იმ დროს რუსეთში პეტრე პირველი მეფობდა. პოეტი საღებავებს არ იშურებს ამ მირონცხოვნებული მეფის საღიდებლად. ნამდვილი ამაღლებული ჳიმნი უძღვნა პოეტმა რუსეთის დიდ რეფორმატორს და გაანმახლებელს. ეს სტრიქონები, „ქართლის ჳირშია“ ჩართული.

ვიღრმდის იყო ცოცხალი,
რუსეთზე გარდამწვდარია;
ბრძენ, უხვი, მართალ, მოწყალე,
სამართალ დაუმცდარია;
მტერთა მებრძოლთა ყოველთა მან
ყველას ხელი დარია,
მოკვდა და თვისის ანდერძით აწ ისევ
საქმობს მკვდარია.

პეტრეს ანდერძის მნიშვნელობა მართლაც დიდია და, პოეტის აზრით, მისი მემკვიდრეები ყოველ ნაბიჯს ამ ანდერძის მიხედვით დგამენ — სამხედრო, სავაჭრო თუ საზოგადოებრივ სარბიელზე. ცხადია, ეს პოეტური გაზვიადებაა.

პეტრეს დუხჳირი მემკვიდრეები ვერ დადიოდნენ დიდი გარდამქმნელის გიგანტური ნაბიჯებით, და ეს საქართველოს ბედსაც დაეტყო.

პეტრემ რომ ვახტანგის საქმე ცნა, „მისი შველა ენება“, ავღანებს დაჳკრა, სოლალს დაუწყო შენება, „დალისტანს მიჳხვდა ლეთის რისხვა, მრავალგზით განაწყენება“. არც სპარსეთს დაადგაკარგი დღე:

ხრმლის სიფოლადეს სპარსთასა ეჰამი რამ
მიხვდა ლობობისა;
ხმა დაემდებლდათ, მოუღბათ სიტყვის
თქმა ამაყობისა,
რა ნახეს ცეცხლი ნაწვიში ყუმბარისა თუ
ბომბისა...

თუ დავითს ვერწმუნებით, პეტრე
ყველაფერს აკეთებდა ქართველთა
სახსნელად, ვახტანგისაც მზრუნველი
კალთა გადააფარა.

პეტრე პირველმა დროზე შეამჩნია
სპარსეთის დასუსტება და სალაშქრო
სამზადისისაც შეუდგა, მაგრამ შემდ-
გომი ვითარების გათვალისწინება არ
შეეძლო და მოტყუვდა. ჯერ კიდევ
1720 წელს ასტრახანის გუბერნატორს
არტემ ვოლინოკის სპარსეთის ომში
ვახტანგის ჩათრევაც დაავალა და ამით
საფუძველი ჩაუყარა მეფის გაუბედუ-
რებას, საქმე თითქოს წალმა მიდიოდა:

ხელმწიფემ ვახტანგს მოსწერა,
მოდი მივიჩნევ მამადო,
იესოს ქრისტეს მიენდევ,
ნუ მოვატყუებს მამადო;
გოჯობს, მე ზურგი მომიყულო,
გულზედა გული მამადო,
მერმე შენს მტერზე მიმიძღვე,
ვით თოვას ცეცხლებრ მამადო.

გარდა იმისა, რომ მკითხველს ხიბ-
ლავს და აოცებს ასეთი ხელოვნებით
შეკრული მაცამა, სადაც სულ სხვა-
დასხვა შინაარსით ოთხჯერ მეორდება
„მამადო“, ეს სტროფი საგულისხმოა
თავისი შინაარსითაც. პეტრე მამას
ეძახის ქართველთა მეფეს, ქრისტიანუ-
ლი ჩრდილოეთის „თეთრი რუსეთის“
ორიენტაციას უქადაგებს, მაჰმადიანუ-
რი სპარსეთისაგან განდგომას მოი-
თხოვს და სამაგიეროდ საერთო მტერ-
თან ბრძოლაში დახმარებას ჰპირდება.

ყველაფერი რომ ასე წასულიყო, იქ-
ნებ ამდენი აოხრება თავიდან ასცდე-
ნოდა ლეთისმშობლის წილხვედრ ქვე-
ყანას, მაგრამ სამწუხაროდ, ქრისტიან-
ული რუსეთი მუდამ შორს იყო და
ძალიან ჭირდა ამ მანძილის გადალახვა.
რუსეთს ჯერ კიდევ არ ეცალა საქართ-
ველოსათვის, ფუძი დაპირებებით უფ-

რო აღიზიანებდა მაჰმადიანურ ვეშაპს
და ისედაც აოხრებული ქვეყანა ვეშაპს
პარტახების გზით მიდიოდა.

პეტრეს ელჩები ცხენებს მოახტნენ
და ივერიაში არ შეუსვენებიათ. ვახ-
ტანგი ნაადრევად გაახარა რუსეთის
ელჩთა სასიამოვნო სტუმრობამ, ვი-
მართა ლხინი, „ეგონათ სწორედ ტრია-
ლი მრუდის საწუთროს ჩაღვისა“, და
რა იცოდნენ, რომ ქართლის ჭირის მო-
რიგი ფურცელი იშლებოდა!

ვახტანგმა სამეფო საბჭო შეყარა.
ბევრი ივაზირეს. შორსმჭვრეტელმა
კარისკაცებმა „არად გაიხარეს“. „უფ-
რო წავებდებით“, დანარჩენებმა კი
რუსეთთან მეგობრობა არჩიეს: კარგი
ჭკუით ვერა ბრძანეთ ქრისტიან ხელ-
მწიფესთან მოყვრობით „რად წავებდ-
ებით, თუ უფრო არ გავკეთდებით“.

ქართველ დიპლომატთა ნიჭი და აღ-
ლო უღადაო.

შორსმჭვრეტელთა პასუხი გონივ-
რული და გასაგებია, რადგან იციან,
რაც მოჰყვება ორთა უფალთა მონებას:

მათ მოუთხრეს თუ უქო ვართ. ნახეთ,
ბოლოს გამოჩნდების;
არც ჩვენ ვსწუნობთ, კარგი არის,
თუ ეგ საქმე მალ მოხდების.
მაგრამ მტარნი შეგვიტყობენ,
ყველა ჩვენზე წამოდგების.
ვირემ რუსნი ვიშველიან, მანამ ჩვენი
გარდავებდების.

მეფეს ისე სწყუროდა პეტრეს ნახვა,
„ვითარ ირემსა მაშვრალსა წყაროსა
წყალი სწყუროდა“. ყმებმა მართლაც
გონივრული რჩევა ჰკადრეს: ფარუ-
ლად წადი, მცირე ამაღა იახლე, თო-
რემ გარს იმდენი მტერი გვაღვას,
„ასს მთას ეყოფა მკაფრად“, თავს
დაგვესხმიან და ველარაფერს გვიშვე-
ლიო.

მაგრამ ვახტანგმა შორს დიჭირა: ვი-
თარ ვიკადრო მეფემან საქმე ქურდუ-
ლი, დავფარო ქრისტეს კვართი და
ქნარი, დავითის შურდელი, თან არ

ელგუჯა მადრამე
გოდება



ვიახლო სპა-ჯარი, ჩაფრულებერ შევექმნა ძუნძელიო!

შეცდა პოლიტიკაში ბეცი მეფე, დიდს ამბით შეყარა ჯარი, განჯის მომთხრელთა სამაგიეროს მიგება განიზრახა, რუსთა „ფარ-შიმშების“ იმედით აღიძრა, თუმცა ჯერ ცარიელი წერილის გარდა არაფერი ებადა. მეფის ნება აღსრულდა. სიბრძნის ხმას ყური არ ათხოვა. დავითი საესებით სწორ ცნობას გვაწვდის:

ტიროდნენ, ამას იტყოდნენ: ახლა არს ჩვენი დავსება!
...მესამე კიდევ მოიბა, ორი სახელი თავს ება. სამი ვეშაბი ერთ ლომსა, აწ ვითარ მოეთავსება!

ბრწყინვალე პოეტური შედარებაა და ასევე ბრწყინვალე პოლიტიკურ-ლიბლომატიური დასკვნები! ამ დაუფოქრებელმა ნაბიჯმა იმსხვერპლა ვახტანგი და ლამის თვითონ საქართველოც.

პეტრეს წერილმა ვახტანგს ფრთები გამოასხა, ამ ფრთებით აფრინდა, ამოდ იფრინა. ბოლოს ასტრახანში დაეშვა და უთვისტომოსავით მიიცვალა. საქართველო აოხრდა... ცხადია, იმ დროს ყოველივე ამის გათვალისწინება იოლი არ იყო...

ვახტანგი უებარი მწიგნობარი, კარგი პოეტი, კეთილშობილი ადამიანი, მაგრამ პოლიტიკაში ბეცი, უვარვისი მეფე აღმოჩნდა.

გურამიშვილისეულ პოეტურ მატინეში ფერგადაუსვლელი სტრიქონებითაა შემონახული ის საშინელი ისტორიული ბრალდება, რასაც თანამედროვეები ვახტანგ მეფეს უყენებენ:

მეფეს ზრახვიდნენ, იტყოდნენ, გვევითარსა გმობასა: სამს დიდ ხელმწიფეს პირს აღლევს, სამგან იკეთებს ყმობასა! ყვენის სპასალარაჲ, თავს ირკვავს მის რაყმობასა! რუსთ ხელმწიფესთან მამობს, ხვანთქართან ჩემობს ძმობას!

ქართველი სახელმწიფო მოღვაწენი შიშობენ, ეს სამი ბატონის ყმობა ხეირს არ დაგვაყრისო:

ვარს მოგვეპიროს მუხრუქი, არსით ჩნდეს მოსაფრთხილად ვიწებით შვილთა ჩვენთაგან განიებით მოსავლანარი!

ამრიგად, „ქართლის ჭირი“ მარტო ცივი პოეტური მატინე კი არ არის, მისი ავტორი ნათელი პოლიტიკური მხედველობის მოღვაწეა, პატრიოტია, რომელიც დროის ყველა ტკივილს სწვდება, ზომავს, განსჯის, საგნებს თავიანთ სახელებს უწოდებს და აშკარად გმობს თავისი სათაყვანებელი ხელმწიფის წინდაუხედავობას, მაგრამ:

მეფე იყო და ბრძანებდა, იქმოლა, რასაც ენებდა!

ასეა: მეფე იყო და ბრძანებდა! ლაშქარი შეყარა, განჯის მიდამოებში გაილაშქრა, მტერს „სისხლის ღვართი“ მოადინებდა!

სამწუხაროდ, ეს იგივე იყო, რომ მძინარე გველემპაისათვის კული წაეჭრა. შინაური აშლილობის დროს, როცა ერთის ნავაზირევი მეორეს არ მოსწონდა, ასეთი ნაბიჯები საქართველოს პირზე პირს უმატებდა. ვერც რუსთა ხელმწიფე ნახეს, ყვენთანაც „ავად დარჩნენ“ და დაკარგეს ორგანივ პური“. მამას რუსეთისაკენ ეჭირა. თვალი, შვილს — ყვენისკენ, ამიტომ „ვერც მამამ და ვერცა შვილმა მოსახმარი ვერ იხმარა“.

ყვენს მოახსენეს: ვახტანგმა გილალატა, შენს ვეზირს ეთმანდოლეს მისცა პირო. განრისხებულმა ტირანმა ვეზირს „აღმოსთხარა ორივე თვალი“. მცირე ხნის შემდეგ მოხდა ახალი ჯამუშური დასმენა: ვახტანგი რუსეთს მიდის, ზურგი გაქცეო. ამ მეორე დასმენამ ყვენი სრულიად გააცოფა, ქართლის მეფეს ქართლი ჩამოართვა და მისცა ერეკლე პირველის ძეს — კონსტანტინეს.

საქართველოს ისტორიის ფურცლებზე გამაჰმადიანებულ კონსტანტინე, იგივე მაჰმად — ყული-ხანი

ერთ-ერთი შეუსწავლელი და გაურკვეველი თეთრი ლაქაა. შესახებდავად „ვარგი“... იყო, საქმით კი ისპაპანს მჯდომი ღვარძლიანი ხანების რიცხვს ზრდიდა. ქართლი და კახეთი რომ ერთად უბოძა ყაენმა ამით დამტკიცა, რომ ერთგულ კაცად მიაჩნდა და შეუთვალა კიდევ — ვახტანგმა მილალატა და სამაგიერო მიუხსნო.

მაჰმად-ყული-ხანმა კახეთს კარავი დაიდვა, ვეზირები შეყარა და უთხრა: ერთი უძეო ხმელი კაცო ვარ, კახეთის ბატონად დამნიშნეს და მხარში ამომიღეითო. ვახტანგ მეფეს შევეურიგდი, ძმობა შეგფიცე და ქართლს ვერა ვთხოვ, გადამეკიდებაო. ეს გონივრული ნაბიჯი კონსტანტინემ ასე დაასაბუთა:

მე კაცი ვარ ხორციელი, სულ ხომ ეას არ შევბერდები, ვით ვყოფილვარ მიწა-მტვერი, ისრევ ისე გავმტვერდები.
მე მტრად სხვანიც ვეყოფიან, ძმასა რადღა დავმტერდები; იმას ისრევ ქართლი ჰქონდეს, მე ჩემს კახეთს დავსჯარდები!

კონსტანტინე აცხადებს: ვიდრე ლეკების ჯავრს არ ვიყრი, ვერ მოვისვენებო. კახეთს კარგად გავამაგრებ და ძმაზე ხმაღს არ ამოვიღებო. კახელები ეუბნებიან: — „შენ რას გავნებს, რომ გასტეხო ფიცო ხელმწიფის (იგულისხმება შაჰის ბრძანება — ე. მ.) ბრძანებით?“ — მისი სიტყვა საქართველოს საწინააღმდეგოს არაფერს გულისხმობსო. ყაენმა ვაგვაორა, ერთმანეთის პირისპირ დაგვაყენა. „ქართლი მომცა ძმათ საჩხუბრად, ამხანაგთა მრსაშორადო“, — აცხადებს კონსტანტინე. მეტიც:

უკანადა მტერი სცემდეს, წინ მოყვარეს წაეცილოს, — იმისთანას უგუნურსა უნდა ცეცხლო. წაეცილოს.

კონსტანტინეს „სძულს... ტყუილი, სიტყვა მრუდი“, მზადაა. ვახტანგი მამად მოიცილოს, შასთან ერთად შეეხას

სხვადასხვა მტერთა გუნდს, საქართველოს რომ არტყია გარს.

კონსტანტინეს ძლიერ ლოიალურ, ჰკვიან მეფედ გვიხატავს გურამიშვილი. კონსტანტინემ გურგენ მდივანს უხმო.

მისწერა ვახტანგს: „შენ მამა, ჩვენ ვიყვნეთ შენი შეილები; თუმცა მიბოძა ყენმამ, მე ქართსა არ გავილები, გარს მტერთან ცეცხლი გვედების, შევა ჩვენ ვსლნებით ცვილები, სჯობს, რომ ჩვენ ერთნი შეეფქმნათ, აგებ გვეღირსოს ძილება“.

გეახლები და მამაშვილურად დამლოცეო, — ასე ასრულებს კონსტანტინე თავის წერილს.

გურამიშვილი გვამცნობს: წერილში წაღმის ორი კონა იყო დახატული, გარშემო ცეცხლი მოსდებოდათ, წინშენად იმისა, რომ საქართველო გარშემორტყმულ მტერს უნდა ეომებოდა და არა ძმათა შორის ომის ხანძარს აჩალებდესო. ისტორია ასეთ წერილს არ იცნობს, მაგრამ „ქართლის ცირიც“ ხომ ისტორიაა, ამბავთა თანადამსწრის თვალთ მხილველის დაწერილი და ისიც ისეთი მიუდგომელი პიროვნებისა, როგორც დავითი იყო.

ვახტანგის ვეზირებმა წერილის შინაარსი გააუკუღმართეს, ისე ნაშეფარმა ჯავრით წარბი შეიკრა. ეს სალაში და ფეშქაშ-დური რას მიქვიანო! ვახტანგმა კონსტანტინეს მართლება დაიწყო: ცუდი ამაში არაფერია, ფეშქაშ-დური ქართლის მოცემას ნიშნავს, სალაში — მშვიდობასო. ქართლს ჩვენვე გვანებებს და მეტი რა გვინდაო!

ამრიგად, მაჰმად-ყული-ხანს ქართლის მეფე ეპატიყება, მაგრამ პარტიკულიარიზმით დაავადებულებმა მაინც შესძლეს ქართლისა და კახეთის მეფეთა წაჩხუბება.

ვახტანგისა და კონსტანტინეს სამშვიდობო მოლაპარაკება იესე მეფეს

ელაშუჯა მადარამ
გოდავა

გულში ლახვარევით მოხვდა. მოვუს-
მინოთ პოეტს:

იესე თქვა გულსა შინა:
„ჩემი ძმა არს ჩემი მტერი!
პატიმრობით დამაბერა, გამითეთრა თმა და
წვერი;
აგრე როგორ დავბრმავდები, შევიქმნები
გიჟი — სტერი,
მე იგ ორნი შევათვისო, მე კი დაგრი,
ვით ოხერი!“

სამი წელიწადი ბნელში მამყოფა და
ახლა მათი ძმობის სუფრაზე როგორ
დავჯდეთ! — ასე მსჯელობს ეს ეგოის-
ტი „იესე მეფე“.

ასე დაიწყო მორიგი ინტრიგული
ქსელის გაბმა:

იხმო ბერი დიდოველი, ვით მოწაფე,
მოძღვრად ინდობს,
უბრძანა თუ: ჩემო ბერო, ეს ჩემი ძმა
ეშმაკ — ფლიდობს
არას კაცსა არ კადრულობს,
ამპარტავნობს და გულ-დიდობს,
მე ძმა ვიყავ, არ დამინდო,
კახ — ბატონსა ვით დაინდობს!

— ვახტანგს იმ მაჰმად-ყული-ხანის
კახეთში გაბატონებაც დიდად სწყინს,
თორემ აქ ვინ მოუშვებს, მოკლავენ და
მის ქონებას მიითვისებენო! — ჩაასმი-
ნა ბერს ევრაგმა გამთიშველმა.

ბოროტმა თესლმა ნაყოფიც გამოი-
ღო:

რალას ვაგრძელებ? გაგზავნა მან
ეპიფანე ბერია,
მისწერა კახსა ბატონსა:
„შეკვა თუ არ გარდაგერი,
რომ მოხვალ, როდის დავინდობს,
მოკლავს ეს შენი მტერია,
შენ სისხლსა ვინღა მოჰკითხავს,
კაცი ხარ ერთი ღერია.“

...თუ ეგ ყენმა შეგობტყო, წავართ-
მევს ბატონობასა... ასეთი წერილით
დახვდა წინ ბერი ეპიფანე კახთა ბა-
ტონს.

გამაჰმადიანებულ კონსტანტინეს
ჭკუაში დაუჯდა ბერის გამაფრთხილე-
ბელი სიტყვა: „მე დამიჯერე, ნუ მოხ-
ვალ, თორემ გაეგბმი ბადესო“, და
უკან გაბრუნდა. აქეთ ვახტანგის კა-

რისკაცებს გაუჯვირდათ, უწინ თოგო
თონვე გეთხოვდა და ახლა უკან ვაჩოადუღუნი
გაბრუნდა, რად აქცია ზურგი ქართვე-
ლებს კახთა ბატონსაო! „უჯობდა ქარ-
თველთ ბატონსა შეყროდა თავაზი-
ნად!“

ოლონდაც! მაგრამ იუდა მოლა-
ტეებმა თავისი ბნელი საქმე გაჩაღ-
ხეს, და სასიკეთოდ აღძრული კონსტან-
ტინე კახთა მეფე ხმის ამოუღებლად
გააბრუნეს უკან.

კახთ ბატონის გაბრუნებას უარესი
მოჰყვა: ვახტანგის ჯარი დაეწიათ
„დაუცარცვეს კახთ — ბატონსა ჯორ-
აქლემნი კიდებულნი“. იქით კახე-
ლებმა დაგმეს „უღლით ტოლი გამო-
გეშო“, უნუგეშო დარჩიო! „თუ ამ
საქმეს ვერ გაზრდიდი, გიჯობდა, რომ
არც კი გეშო!“

მეფემ საქმე გაიაღვილა: რა ნიშანს
მიგებთ, ყველაფერი აღსრულდება,
რაც გსურთო“, ჯარი შეყარეთ, ვახ-
ტანგს კარი შევუნგრითო. კონსტან-
ტინე უკვე ისე მსჯელობს, როგორც კე-
თილი მაჰმადიანი, რომელიც უსამართ-
ლოდ განარისხეს:

მე მინდოდა ყოფილიყო ჩვენში
სიყვარული ძმური,
ჩამომგვლო რიგი — წესი, სამართალი
ბატონ-ყმური;
არ ინებეთ, არ მოჰშაღეთ,
ერთმანერთში თქვენი შური,
ცოდება-ბრალი თქვენს კისერთა,
თუ რამ მოჰხდეს უწესური!

კონსტანტინეს ქვეშევრდომები რო-
დი ცდებიან:

ძმა ძმისა საზიანოსა თუ არ
მიიჩნევს ზიანად,
ორივე მტერთაგან დაიწვის
სახლ-საბძელ-კალო-ბზიანად.

ვახტანგმა ერთი შეხედვით საზი-
ანოდ არ მიიჩნია ძმის ზიანი, ამიტომ
მისი კალოც დაიწვა.

მალე ვახტანგს კონსტანტინემ ბერე-
ბი მიუგზავნა და მისწერა: ძმობა
მწყურბოდა, არ მინდომე, გაგერიდე, მო-



მონები დამასხი თავს, სიყრმიდან მონავარი წამართვი, ახლა უკანვე გამომიგზავნეო. ვახტანგის პასუხი ასეთია: ჩვენი ბრძანებით არავის გაუძარცვინართ და „რაც თქვენში მგლებმან დაჰამოს, ჩვენ ვითარ გიზღოთ ღორები?“

ასეთი პასუხი რომ მიიღო, კონსტანტინე საშინლად განრისხდა და შეწუხდა კიდევ, მაგრამ მხოლოდ ეს შეუთვალა:

„ჩვენ ერთმანეთსა ნუ ვახდენთ თორემ წაგვახდენს მტერები“.

კონსტანტინეს მოთმინებაც აღტაცების ღირსია. ორგულთ ნუ უსმენ, მათი წერილები დახიე, „თუმცა ღომი ხარ, ვეშაბთა ვერ სძლევი, გრძელი აქვთ კულდებიო!“ — აფრთხილებს. ყვენმა ქართლიც მე მომცა, რა ჩემი ბრალია! თუ არ გაფრთხილდი, ისედაც მტერთაგან მყრალი ქვეყანა მთლად აყროლდებო და ა. შ.

მართლაც, ყვენი იოლად გაუწყრებოდა თავის სატელიტს, ვახტანგს კი ისედაც უწყრებოდა, ასე, რომ, თუ ვახტანგი და კონსტანტინე არ შეთანხმდებოდნენ, ქართლის და კახეთის საქმე წასული იყო; მაჰმად-ყული-ხანი ამტკიცებს, გული მტკივა და ძმობით საქმეს მოვუაროთო, ნემს-მახათს ნუ სცემ მჯიღებსაო!

ამ მეგობრული მიწერილობით გაუშვა კახეთის მეფემ ვახტანგთან დიაკვნები. ქრისტეს მსახურთ უხაროდათ, ქართლში გავმდიდრდებითო, და ის კი არ იცოდნენ, რომ დილეგში ჩაყრიდნენ ხელშეკრულებს.

შეღარების მეორე კლასიკური მაგალითი გვინდა ავიღოთ „ქართლის ჳირის“ იმ ადგილიდან, სადაც კახთა მეფის გაგზავნილ ელჩებს ბერებს ქართლის სამეფოში იჭერენ:

ერთ მდინარე ღვარ-შერთული ჳირის ისერიდეს, სჩქერდეს დიდად, მას ქვეითმან ვერ შებედოს, გაღოს რამე მაზედ ხიდად,

გატყდეს ხიდი, ჳედ მავალნი გახდეს ხავსთა მოსაჳიდედნი, ვერუთ ბერებს მოუედიათ, რაც მოგითხარ მავალითად.

დიაკვნებს მეფე განრისხებული დახვდათ, სიტყვაც ვერ შებედეს, კელლად წიგნი წაიმძღვარეს და მიართვეს.

მეფეს წიგნი როგორღაც „ყიფურ-ამაყური“ ერგენა, განრისხდა, თივას ცეცხლი მოხვდა, ქარმა დაჰქროლა, ვახტანგი ნაკვერცხალივით გახდა, ბერებს შეუტია: რად მოგქონდათ ასეთი წიგნი, რატომ დააწერინეთ, ან წყალში რად არ ჩაცვივდით მაგ წიგნიანდო?

ვახტანგ მეფე წყრომით მიმართავს კახეთიდან მოგზავნილ ბერებს:

რად არა ხართ მონასტერში, არ ილოცავთ, ღმერთს არ ესავთ? გამოსულხართ და დაღიხართ, ენაობთ და ჩხუბსა სთესავთ!

მერე გადადის მეფის გმობაზე. „ჰხედავთ ის ბუში რა სიტყვებს მკადრებსო! მე ვით ორბსა მდევს კირკიტა, დამტრიალებს, დამკისკისებსო!

უსაფუძვლოდ და საკუთარი ძალეზის გაუთვალისწინებლად განრისხებულმა ვახტანგმა:

უბრძანა თავის მოყმეთა: „მე ცეცხლსა ეს მიცილებსა; თვით ვიცი ჳკვას მასწავლის, უსჯულო მე სჯულს მიღებსა! უუბრეთ ცალ-გვერდ ჳინასა, რა სიტყვებს ისერის დიდებსა, აწ ხელი ჳვიდეთ ციქვებსა, მაგ მატყუარა ფლიღებსა!“

სჯულმდებელ მეფეს არ ჳმართებდა ასე წინდაუხედავად განრისხება და მოციქულთა შეპყრობა, მაგრამ სახელმწიფო საქმეთა გადაწყვეტის ეამს ჳკუთით ის მუღამ მოიკოტლებდა.

მოციქულები ხაროში ჩაყარეს, დარაჯი დაუყენეს („არავინ გამოთხაროსაო!) ჳარი შეყარეს და კახეთის აოხრება გადაწყვიტეს.

ელგუჯა მხარაძე
გონივრა

კახთ ბატონს რომ ეს მოახსენეს, წინასწარ გამზადებული ჩარი დაძრა, წამოვიდა, დაიჭირა ავლაბარი, ნარიყალა მიმზამა ჩააბარა და იქ გამაგრდა.

პირველ ცხარე შეტაკებაში ქართულელებმა მაჰმად-ყული-ხანი დაამარცხეს. კახთა მეფემ თავი მუხრან-ქარს შეაფარა, ქარელები შეიპირა, ქართულელებმა გამაწილეს და მათი ჯაგრი არ მაჰამოთო: წამოვიდა ლეკების ჩარით და ისევ თბილისს შემოადგა. მაშინ კი „გაუთენდათ სომეხებსა დღე შაბათი საზარელნი, ზოგი მოკლეს, ზოგი დაჭრეს, ზოგს წაგვარეს საყვარელნი“. დაამარცხეს ქართველთ ჩარი, ვანტანგ მეფე გააქციეს, „თეთრსა მტკვარსა წითლად ღებდა, რაც მათ სისხლი დაქციეს“.

ასე გადაიშალა საქართველოს ისტორიის მორიგი ბნელი, სისხლიანი, უკუღმართი ფურცელი...

ქართლ-კახელებმა რომ უნდოდა მეფეების წყალობით ერთიმეორე დაწყვიტეს, ორივე მხარე ისე დარჩა, „ვით ქორნი გარიალზედა“, გამოეღვიძა არწივსა, გარიელს კლანჭი უკრა, თვითონ კი „სხდენ ორნივ ცარიელზედა“.

საქმეში პოეტი ერევა: ვანა არ ჯობდა მორიგებელიყენენ, თავიანთი წილი ეწიწნათ, მტრისათვის არ მიეცათ თავიანთი ლუქმა? „თუ ამას ავად ვამბობდი, პაღური ამომკარია“.

ამრიგად, გურამიშვილი არა მარტო მთხრობელია, არამედ მსაჯულიც, ულმობელი, მაგრამ ალალი, მკაცრი მსაჯულიც.

ასე გრძელდება მომღვენო გვერდებზეც. ქართლი და კახეთი მტერს უყარა, ვანტანგს კი „ძირმწარის უმწარე ეტკბილა ვითა შაქარი“, მძინარე ხონთქარი ვაღვიძა. ძმა ისევ და შეიშლი ბაქარი მიუგზავნა, ცუდმა ხურათმოდღვრებმა „ძველთაგან კვიდრად ნამენი“ ქართლი სულ დაქციეს და მამული მტერს მისცეს, „თვით დარჩი-

ნენ უმსახურონი...“ და ისევ პოეტურ მეფეთა მსაჯული:

მეტად უზომოდ გაჯერდნენ,
ვერ გასძლეს გულის ჯაჭრნი;
აქაჯდნენ, ველარ ვაშინჯეს,
მათ საქმე საშინჯარნია,
მტერთ ნებით კარნი განუღეს,
მაგრონად დანაჯარნია,
კახთ იხმეს ლენი საშველად,
ქართველთ — ოსმალს ჩარნი!

სარასკარის ჩარი ფუტკრის ნაყარით მოადგა საქართველოს. კახთ ბატონი წინ მიეგება, ციხის კლიტე მიართვა, „ოსმალთ თიფლის შევიდა, კარები დახვდა ღია რა, იესე — მეფე მათ შერჩა, მათს მოძღვარს მან აღიარა“.

ამრიგად, თურქთა ეს ძალღვივით ერთგული მონა, მეფედ წოდებული, დამთხვეული კარიერისტი, იესე, ოსმალს კალთას ამოეფარა, სულთანის მოძღვარი აღიარა, ისევე როგორც კონსტანტინემ სპარსეთის შაჰისა... საბოლოო ანგარიშში ეს ერთი და იგივეა, იესე და კონსტანტინე ერთ ძირზე ამოსული ორი სარეველია, თუმცა კონსტანტინეს დავითი უფრო სიმშაბათურად გვიხატავს.

პოეტი მოკლედ მოჭრის: „ვანტანგ რუსეთსა წაბრძანდა, რაჭაზედ გადაიარა“. ეს წასვლა სამშობლო ქვეყნიდან ფარულად მოხდა, ქვეყანა უპატრონოდ დატოვა (არც მანამდე ჰყოლია დიდი ბედენა პატრონი!) არც კახელებს დაადგათ უკეთესი დღე: „რაც აქვნდათ თვისი საუნჯე, სულ პურ-ღვინოზე ყიდისა“.

შეწუხდა ქართლი და კახეთი. კახთა ბატონი გორის ციხეს მოადგა, ბრძოლა გამართა. იესე მეფემ ოსმალს შეყარა, ნამღვილი ომი ვაჩაღდა:

მოხვდნენ ერთმანეთს; დაიჭვა რაც მამან
სისხლის ღვაჭებო,
აღაბუნჯებო ბევრს წისქვილს,
თემო სდებოდა ღარები!

დავითი ოხვრით მოკვიდხრობს მისი დროის საქართველოს დაქცივებს საზარელ ამბავს:

ვაიმე, ამის სათქმელად პირი გამიზდა
მწკაღრვეით,
არ იმართოდა ლაშქარი ზედაველაზე
ლატევით.
მათ ჩვენთან ჯარმან აჯობა პირველ
მისვლაზე შატევით,
მაგრამ ბოლოს კი დამარცხდა,
შინათვე ნაღალატევით!

ისევე ღალატი! ურჯულო და უჯიშო,
უმეცარი და უმოწყალო გადამთიელი,
ყიზილბაში და სარასკირი ჩვენს მიწა-
ზე იქნევს ხმალს, წყეული მოღალატე-
ნი კი ძმას უთხრიან სამარეს!

სწორედ ქართლის ჭირია, და ამ ჭირს
ღირსეული მემატინე ჰყავს დავითის
სახით, მაგრამ შეეღა არ ძალუძს, სა-
მაგიეროდ უბედური ხალხის სევს ცო-
ცხლად გვიყენებს თვალწინ:

ვათ. იმ დღეს! ოსმალონი,
ბეგრს უბრალოს სისხლსა ღვრიდენ,
საცა შეხვდისთ მუშა-კაცი, გლახა,
მწირსა თავსა სტრიდენ;
გოლორს თავი აკლიათ,
ცხრის ურმისა ზარში ჰყრიდენ,
ტანთ მმარხველი არა ჰყვანდა,
მელა-ტურა გამოხვრიდენ!

ქრისტიანობის ძველი ბურჯი, გა-
ნათლებული, სტუმართმოყვარე, შე-
მოქმედი მამულიშვილნი, ისე დაუწყ-
რით დაბლა-სულთანის ძაღლებს, თით-
ქოს: ცხერის ჯოგის გაწყვეტაზე იყოს
ლაპარაკი; დამმარხველიც არა სჩანდა
თურმე. ქართველ მემომართა გვამებს
მელა-ტურა ხრავდა! რა ნაღვლით ნა-
ღვსი პური უნდა ეჭამა ამის მომსწრე
მემატინეს, სათნო და მგრძნობიარე
გულის პატრონს, ბრძენ დავით გურა-
მიშვილს? ამისი წარმოდგენა ყოველ-
გვარ ფანტაზიას სცილდება!

ვახტანგს რა შეეძლო?

გურამიშვილის შემოქმედებაში ერთ-
ერთი ცენტრალური იდეალი უჭირავს
ვახტანგ მეფის სახეს. პოეტი მაღალ
შეფასებას აძლევს მის ნიჭს, შემოქ-
მედებითს უნარს, განათლებას, კა-
ნონმღებლობის წინ წაწევას. თვლის
მას გამოჩენილ მოღვაწედ, სტრატეგად,
კეთილ მამად, პატრიოტად, ნათელი გო-
ნების აღამიანად, მაგრამ არც მის

სუსტ მხარეებს ფარავს. ის კი არა,
თითქოს კალმის ერთი მოსმით აბაფე-
ლებს ყველა ქებას: „რა ზედაც, მსა-
გა, არ დარჩა ის საქმე. წაუხდომა-
რეო“. ეს კრიტიკა, თითქოს აღშ-
ფოთება და სიძულვილიცაა, მაგრამ
„ქარგი გული მაშინვე ცნობს, ამ სი-
ძულვილში რაოდენი სიყვარულია“. დავითმა ისიც იცის, რომ ვახტანგის
ტრაგედია — ერის ტრაგედიაა, და
თავს ზევით ღონე აღარაა!

ამრიგად, „ქართლის ჭირი“ ფართო
ეპოპეაა, რომლის მსგავსი ნაწარმოე-
ბიც, ალბათ, ქვეყნად ბევრი არ მოი-
ძებნება და მრავალ ერს არ გააჩნია.
არ გააჩნია კი იმიტომ, რომ მათ თავს
ამდაგვარი ტრაგედია არ დატრიალე-
ბულა!

დავით გურამიშვილმა ამ პოემით
ისევე უმღერა საქართველოს, რო-
გორც კამოენომ ლუწიადით“ — პორ-
ტუგალის. თუმცაღა პორტუგალიის
თავზე არ გადაუვლია თურქულ ქა-
რიშხალს, ბედნიერი ქვეყანა თავის დი-
დებას ზეიმობდა და მეხოტბესაც სხვა-
გვარ მასალას აძლევდა, დავითის
ღროის საქართველოს კი სწორედ ის
სიტყვა შეეფერებოდა, რაც მისმა მო-
ზარე მგოსანმა შეარჩია: „ქართლის
ჭირი“.

ქაცვია მწყემსი

სადაც გურამიშვილი უბრალო ხალ-
ხის ცხოვრებას ეხება, მისი ფილოსო-
ფია უფრო ოპტიმისტური და ნათელია.
ამის ნიმუშია „ქაცვია მწყემსი“.

„მხიარული ზაფხული“, ან უფრო
პოეტური ვარიანტის მიხედვით —
„ქაცვია მწყემსი“, როგორც ცნობი-
ლია, პირველი ქართული საყოფაცხოვ-
რებო სიუჟეტური პოემაა. პრინციპუ-
ლად დავითი აქ დიდაქტიკოსია, ქადა-
გებს ჯანსაღ აღამიანთა ჯანსაღ სოყ-
ვარულს, რაც ჯანსაღი ზნეობისა და
შთამომავლობის საწინდარია. ეს ბოე-

ელგუჯა მალრაძე
გონივრად

ტის სიბერის დროინდელი ფართო და საოცარი ტილოა.

სიყვარულთ დაისრული ბუნების ალალი შეილება გულის თრთოლვით ხედვებიან ერთიმეორეს ბუნების წიადში, მზე და მგალობელი ჩიტები არიან ამ შეხვედრის მოწმე.

გაზაფხულის ზეიმის, მშრომელთა იმედიანი შრომის, ხვნა-თესვისა და მის ფონზე ხალასი სიყვარულის, კერძოდ, მწყემსთა გულისთქმის მთელი მომხიბლობა ჩვენში ასეთი სისრულითა და სიფაქიზით გურამიშვილზე ადრე არავის გამოუთქვამს. „ქაცვია მწყემსი“ ბუკოლიკური პოეზიის ხელთუქმნელი ძეგლია მსოფლიო მასშტაბით. ბუკოლიკურმა პოეზიამ უძველეს დროსვე მოგვცა შედეგები საბერძნეთსა და რომში.

ბუკოლიკური პოეზია ანუ პასტორალი, ზოგადი ცნებაა და ფართო შინაარსს იტევს. მაგრამ ვიწრო გაგებით აქ გულისხმობენ მწყემსურ პოეზიას, რაც XVI-XVII საუკუნეებში განვითარდა დასავლეთ ევროპაში და ქალაქის ხმაურთან ცხოვრებას უპირისპირდებოდა. ეს პოეზია მწყემსთა მყუდრო, უმფოთველ, ალაღმართალ ვითომდა პარმონიული ცხოვრების იდეალიზაციას ასდენდა. უარყოფდა ყოველგვარი პროტესტის ხმას, ჩქმაღავდა სოციალურ უთანასწორობას.

ამრიგად, XVII-XVIII საუკუნეებში ეს იყო პოეზია ფეოდალური რეაქციისა, აღმოცენებული რენესანსის დაშლის შედეგად. მას ახასიათებდა პიროვნების ფსიქიკის, პედონიზმის, ინდივიდუალიზმის წინ წამოწევა, რაც წარმართულ კოლორიტს სძენდა მას და სინამდვილეს მითოური სახეებით ცვლიდა. ფაქტიურად ამავე გზით ვითარდებოდა გურამიშვილამდელი ქართული ორიგინალური თუ თარგმნილი ეპოსი თუ ლირიკა. ზოგადობა, განყენებულობა, ზღაპრულობა წითელ ზოლად გასდევდა მას.

ბუკოლიკური პოეზია „ალექსანდრიული პოეზიის მცირე ქანრი“, ამო-

სავალს ფოლკლორში პოულობს. იგი უმეტესად მწყემსთა პექტორალურ ჩვენებურად რომ ვთქვათ კაფია-დილოგებზე იყო აღმოცენებული, მშვიდობიან და თითქოს პარმონიულ (ამდენად პირობით) ცხოვრებას ასახავდა, სიყვარულს უმღეროდა, სოფლის ცხოვრებას აიდიალებდა. ეს ქანრი ჩვენს წელთაღრიცხვამდე მესამე საუკუნეში შეიქმნა, მის დამაარსებლად თეოკრიტე ითვლება. მერე ეს ქანრი რომში განვითარდა. მისი უდიდესი წარმომადგენელია ვერგილიუსი („ბუკოლიკები“).

ახალი პასტორალის („მწყემსურის“) მამამთავრად ითვლება იტალიელი სან ნაზარო, სახელგანთქმული რომანის „არკადიის“ (1504) ავტორი. მის წარმატებას მოჰყვა მოლცის პოემა, არიოსტოს, ალამანის და სხვათა ლირიკული ლექსები, დიალოგები, ტერცინები, ტასოს ცნობილი „ამინტა“, მაგრამ ყოველივე ეს, ისევე როგორც გვიანდელი ესპანური, ფრანგული, ნაწილობრივ ინგლისური, განსაკუთრებით კი გერმანული პასტორალები მეტწილად არისტოკრატთა განწყობილებას ეხმაურებოდნენ, ცხოვრების მოყირუებას, მელანქოლიას, ხელოვნური გრძნობების ასახვას არ სცილდებოდნენ; ყალბი იდილიის ძილისმომგვრელ სამეფოში დაატარებდნენ მკითხველს. XVII-XVIII საუკუნეებში, როცა ბუკოლიკურმა პოეზიამ თითქმის მთელს ევროპაში განვითარების უმაღლეს მწვერვალს მიაღწია, ქართულ მწერლობაში ამ ქანრს ჯერ კიდევ არ ჰყოლია მესიტყვე. ამ მხრივ გურამიშვილი ნამდვილი ნოვატორია. მისი „ქაცვია მწყემსი“ სულ სხვა ხასიათის ნაწარმოებია იმ ნიმუშებთან შედარებით, რაც დასავლეთ ევროპის გამოჩენილ პოეტებს მოუციათ. განებეგრებული არისტოკრატების ნაცვლად პოემაში ვხედავთ ნამდვილ მდამბო გმირებს, ზნეობით სმეტაკ გლეხებს, რომელთაც კანონიერ შეუღლებამდე თანაცხოვრება მიუტევებელ ცოდვად მი-



ანდათ, ფონიც და ყოფითი დეტალებიც რეალისტური, ბუნებრივი და მახლობელია. არავითარი მისტიკა, ზღაპრული ჭინები და დევები, ქაჯები და ეშმაკები. არავითარი უღაბნო და ედემი — მოქმედება ხდება ქართულ სოფელში, ქართლისა თუ კახეთის მთაბარში. მახლობელია ეს ბუნება, თვალნათლივ ხედავთ უბრალო ქართველ მწყემსებს, ჰკვიანსა და სანდომიან ახალგაზრდებს, რომლებიც იმედით შესცქერიან ხვალინდელ დღეს.

„ქაცვია მწყემსი“ პოეტის გვიანდელი, ასაკობრივი მიმწუხრის დროინდელი ნაწარმოებია.

1768 წელს, როცა ახალგაზრდა გოეთემ ბუკოლიკური პოეზიის ნიმუში „შეყვარებულთა ჭირვეულობა“ დაწერა, გურამიშვილი 63 წლისა იყო და შესაძლოა ჯერ კიდევ არ ჰქონდა დაწერილი თავისი მწყემსური პოემა. ყოველ შემთხვევაში, რაიმე შემოქმედებითი გავლენა ევროპული მწერლებისა გამორიცხულია. ამ ქანრში გურამიშვილს არც ქართულ ლიტერატურაში ჰყოლია წინამორბედი.

ამასთან ერთად ანგარიშგასაწევია ის აზრიც, რომ გურამიშვილი იცნობდა თეოკრიტესა და ვერგილიუსის ნაწარმოებებს. თეოკრიტე ხომ ბუკოლიკური პოეზიის მამამთავრად ითვლებოდა. მანამდე მწყემსური თემა მხოლოდ ხალხურ ზეპირსიტყვიერებაში გვხვდება.

რომაელი დიდი პოეტი ვერგილიუსი თეოკრიტეს მიერ გაწაღდულ გზას გაჰყვა. ის განლაგვთ ლათინელ ავტორთაგან პირველი, რომელმაც მწყემსური ცხოვრების იდილიას უძღვნა ამაღლებული სტრიქონები. ვერგილიუსს თვითონ თეოკრიტეს სახელი არსად დანსცდენია, მაგრამ მუხას კი სიცილიურს უწოდებს, რითაც თავის ანკარა წყაროს გვიმხელს.

გურამიშვილის სამშობლოს მომხდურნი ვადამთიელები კალიებივით შესევინან და აუკლიათ. ქვეყანა, პარტახად უქცევიათ, სიწმინდის და ერის ერთიანობის ბურჯი ციხე-ვაღავენები და

ტაძრები იავარუქმნიათ, ხალხი ვადამუნების გზაზე დამდგარა, ზნეობა დაცემულა, მამაპაპური ადათ-წესები შერყვნოლა. ქვეყნის დია ჭრილობებს მოშუშება და მკურნალობა სჭირდება. თვითონ პოეტიც მოძალადეთა თვითნებობის მსხვერპლი შექმნილა. მტრებისაგან რის ვივავალახით თავდასნინილი, უკრაინას შეკედლებული გურამიშვილი თავისი ქვეყნის წახდენის გამო ღრმა სევდას შეუპყრია, თავის სამშობლოზე მოსთქვამს ასე გაბმით. არსთავამრიგეს ავედრებს დაცემულ მამულს და ერის წყლულების მკურნალად ყოფნა სწყურია. პოეტმა კარგად უწყის, რომ ქვეყნის სიმტკიცის საფუძველთა საფუძველია ოჯახი, ზნეობა და მამაპაპათა ტრადიციების უმწიკვლოდ დაცვა. ამიტომ დავითს ამბავი ბუნების წიაღში, წმინდა მწყემსურ ყოფაში გადააქვს და გულმხურვალედ მოძღვრის მკითხველს შეუნარჩუნონ ქართულ ოჯახს სიწმინდე და მწიკვლი თავიდან აირიდონ. მას მტკიცედ სწამს და სჯერა, რომ მისი ქვეყნისა და ხალხის გადარჩენა შეუძლია მხოლოდ ოჯახის სიწმინდეს. ოჯახი მიაჩნია მას იმ უჯრედად, რომელზედაც დაყრდნობილია ერი და ბერი. ამიტომ ჰქადაგებს იგი ქრისტიანული სჯულის მტკიცედ და განუხრელად დაცვას. ქრისტეს სჯული მისთვის სამშობლოს ზნის, ადათ-წესების და მამაპაპური ტრადიციების წმინდად შენახვის სიმბოლოა. ქართველობა და ქრისტიანობა მისთვის ერთიადი გივე ცნებებია და ვინაიდან ქართული ზნის, ქართული ოჯახის, ქართული ადათ-წესების გაფრთხილება, მათი დაცვა, მტკიცედ შენახვა, მოვლა და პატრონობა ეკლესიას და ქრისტეს მსახურთ ევალათ, იგი მათ გაფრთხილებასა და დაცვასაც მოითხოვს. ყოველივე ეს წესები კი თავანკარად შეინახული დავით გურამიშვილს მწყემსურ იდილიურ გარემოში ეგულება და ამიტომ

ელგუჯა მალრაძე
გომეზა

მკითხველს „ქაცვია მწყემსში“ თვალწინ უბრალო, მწყემსური ყოფა გადაუშალა. ასე რომ გურამიშვილის ორიგინალური პოემა მრავალმხრივ არის საყურადღებო.

პოემის სიუჟეტი ოსტატურადაა აგებული და შეკრული. თავისი მოზაიკური ნაირფეროვნებით, ამბავთა ქარავნით, ერთი მოთხრობიდან მეორეზე გადასვლით, ერთი კარიდან მეორე კარში შესვლით და ხალისიანი იუმორით „ქაცვია მწყემსი“ თითქოს ათას ერთ ღამეს მოგვავიწყებს...

გარეგნული ზღაპრული იერი, ფანტასტიკა მხოლოდ გვეხმარება რეალური სინამდვილის უკეთ წარმოდგენაში. ზამთრისა და ზაფხულის ბრძოლა ისეთ ცოცხალ სურათს ქმნის, რომ მკითხველს ცნობიერებაში იშლება მიჯნა რეალურსა და ფანტასტიკურს შორის.

მოქმედ პირთა რაოდენობა თითქოს მცირეა, მაგრამ თუ გავიხსენებთ, რომ ამ პოემაში ხორცშესხული მოქმედი პირები არიან ჩიტები, მადნარი, ტყე, ჭაგები, ფიჩხი და ეკალ-ბარდებიც — ძალაუნებურად აზრი შეგვეცვლებება და მოწყენილობას სულაც არ გვიგრძნობთ.

ჩვენთვის უცნობია ქაცვია მწყემსის პროტოტიპი, მაგრამ პოეტი ყველაფრით მიგვანიშნებს, რომ საქმე გვაქვს სინამდვილეში არსებულ ახალგაზრდებთან, რომელთაც ერთმანეთი უყვართ და სურთ უმწიკვლოდ უყვარდეთ.

„ქაცვია მწყემსი“ ანუ „მხიარული ზაფხული“ ჩვენი აღორძინების ხანის ქართული მწერლობის მშვენიერია. გააზრებისა, მხატვრული ქსოვილის სინატიფითაც და შინაარსითაც ეს პოემა იმ დროისათვის ნამდვილი მოვლენა იყო, ორიგინალურია სიუჟეტიც, განწყობილებაც, ლექსის ზომაც და სახეებიც. მაშინ, როცა ჩვენი გამოჩენილი პოეტები გაუგებარ ენაზე ზოგად

პიონებსა და ვარდბულბულიანობას, ან ბანთქებასა და ზმებს იყენენ ცოდნის უკონო უკონო, გურამიშვილმა მკითხველს ქართული ბუნების წიაღში შეიყვანა და აჩვენა ალალი, შრომისმოყვარე, უბრალო აღამიანები, მწყემსები, გლეხები. მათი სიყვარული უანგაროა, მათი განცდები ხალასი, მიზანი — წმინდა ოჯახი. ბუნების ალაღმართალი შეილებისათვის უცხოა შური, შუღლი, ღალატი და ვერაგობა.

„ქაცვია მწყემსი“ უდავოდ ნოვატორული ნაწარმოებია. და ამიტომ ჩვენ სრულიად მიუღებლად გვეჩვენება ასეთი განცხადება, — გურამიშვილი ბერული და ასკეტური უღმობლობით ამხედრებულა ბუნებრივი მოთხოვნებისა და ლტოლვილების წინააღმდეგო. სიყვარულის, ოჯახური სიწმინდისა და ამდენად, ერის მაღალი ინტერესებისათვის ბრძოლა არ გვაძლევს საფუძველს — ასე ცივად ვილაპარაკოთ „ქაცვია მწყემსის“ ავტორზე. ამ პოემაში ვნებისადმი ლტოლვაც საკმაო სისრულითაა ნაჩვენები და ახალგაზრდული გატაცებაც. მაგრამ პოეტი სისპეტაკის დარაჯად დგას, ველურ ვნებას აღამიანური ზომიერების კალაპოტში აქცევს და დრომდე, შეუღლებამდე თავშეკავებას ქადაგებს, განაამას ატეხილი ენების შიშველი დაცხრომისა და გარყვნილების ქადაგება სჯობია? სწორედ ეს იქნებოდა მრუშობის დაკანონება და ქართული წმინდა ოჯახის სისპეტაკის შელახვა. განა მეორე უკიდურესობა არ არის ყველაფრის „ბერულ-ასკეტური“, „სოფისტური“ და სხვა მკაცრი ტერმინების კორიანტელში გახვევა. ერთ-ერთი სახელოვანი მეცნიერი კატეგორიულად აცხადებდა: „არც ერთი ახალი აზრი, არც ერთი ახალი მოტივი; არც ერთი ახალი გრძნობა, რომელთაც სხვების ნაწერებში არ ჰქონდა ადგილი, დავითს არ მოეპოვებოთ“. პირდაპირ გასაოცარია, რანაირად შეიძლება ქართული ლიტერატურის ისტორიის მკვლევარმა ასე განუყოფხავად მოქმე-

ციოს პროკურისტებს სარეცელზე შე-
სანიშნავი დიდი ორიგინალური პოეტუ-
რი ქმნილება? თუ საკითხი ასე ცივი
პოზიციიდან განვსაჯეთ, მაშინ არც
ერთ მწერალს არ აღმოაჩნდება ახალი
რამა.

გურამიშვილამდე ქართულ პოეზია-
ში, ჩვეულებრივ ზღაპრულ ამბებსა და
უცხოურ მოტივებს აძლევდნენ უპირა-
ტესობას, არჩილ მეფის გამოკლებით,
მიღმაქვეყნიური ძალები და ზოგადი
სახეები შემოჰყავდათ ნაწარმოებში. ეს
ტრადიცია დღევით გურამიშვილმა დაარ-
ღვია.

თა. სხვათა სახეების გამეორებაზე
შეიძლება ლაპარაკი, როცა თვალნათ-
ლივ ვხედავთ არა უცხო ცის ქვეშ
გამოლილ კარებს, ხრიოკ უდაბნოებსა
და უჩვეულო ხელოვნურ წალოტებს,
არამედ ნამდვილ ქართულ ბუნებას,
ქართლ-კახეთის ატეხილ ჭალებს,
ფშავ-ხევსურეთის ტყეებსა და ღრე-
ებს; რომლებშიაც სიყვარულის თამაშს
ნაცნობი ჩიტები დასჰიკვიცებენ! ეს
სულ სხვა, ახალი სურათებია და ჩვენ
მხოლოდ აღტაცება გვმართებს ქართუ-
ლად მწერლობის ციდან დედამიწაზე ჩა-
მოტანისათვის, პოემის ღერძად რეა-
ლური ამბების გამოყენებისათვის.

ბუკოლიკური პოეზიის ეს მშვენიე-
რი ნიმუში მოგვცა გურამიშვილმა და
ეს მოხდა პირველად ჩვენი მწერლო-
ბის ისტორიაში, გარეგნულად თითქოს
შემთხვევით, სტიქიურად ყოველგვარი
ზეგავლენის გარეშე. მის სამშობლოში
მუდამ იყო მითის იდილია. იყვნენ
მწყემსები, ჰქონდათ თავისი მშვენიე-
რი ამაღლებული ცხოვრება, უყვარდათ
და იცოდნენ ერთგულების ფასი. სა-
ჭირო იყო მხოლოდ ისეთი პოეტის
გამოჩენა, რომელიც ამ ხელუხლებელ
და მიმზიდველ თემას ხელს მოჰკი-
დებდა: ასეთი იყო გურამიშვილი, და
უმაღურობა იქნებოდა მისი ნამოღვა-
წარის შეფასება ასეთი ნიპილისტური
ცივი პოზიციებიდან.

„ქაცვია მწყემსის“ იდეური ხაზი
პოეტს ასე უბრალოდ და შემთხვევით

არ შეუტრეგვია. ქვეყნის დაცემისა და
გადაგვარების. ერთ-ერთ მიზეზად
როგორც აღნიშნეთ, სიძვა და სუ-
ლიერი ქორწინების ხშირი დარღვევა
მიაჩნია. ზნეობის ამაღლებას, ოჯახუ-
რი სიწმინდისა და ერთგულების დაც-
ვას სთვლის იგი ერის სულიერი აღორ-
ძინების ქვაკუთხედად, და ამით, თუ
გნებავთ, თანამედროვე მეცნიერულ-
მორალურ დონეზე დგას.

პოეტის სიმპათია უბრალო ადამი-
ანების მხარეზეა, მას ხიზლავს „მარ-
თალნი, ღვთიანნი, კაცნი კეთილნი“ და
მით მიჰყვება კვალდაკვალ, დარაჯად
უდგას მათს სამაგალითო ზნეობას,
რომ უფესკრულში არ გადაიჩეხონ. რა
დიდი საქმე იყო გოგო-ბიჭის წამოწვე-
ნა საღმე ბუჩქებში და რას მოიგებდა
პოემა ამით?

პოეტი ამაღლებული, ჯანსაღი ზნეო-
ბის მქადაგებელია და არა წამიერი
ვნებების მესიტიყვე.

გურამიშვილი ქართლ-კახეთის სოფ-
ლებში პოულობს სამაგალითო ზნეო-
ბას, პატოსან შრომას, სპეტაკ ოჯახს,
და ძალაუხნებურად აძლევს მას უპირა-
ტესობას მეშურნე უსაქმურთა, კუდაბ-
ზიკა თავადაზნაურთა, „ვარჯოვან ხე-
თა“ ქედმაღლობის წინაშე. ეს, არის-
ტოკრატი პოეტის მხრით, დიდი აღ-
ლოც იყო და დიდი მსხვერპლიც.

პოეტი ბატონყმური ინსტიტუტის
ერთგულია, მაგრამ სულაც არ ურ-
ჩევს თავადებს გლეხის რბევას. მანა
შვილს ასე არიგებს:

„მა მოგვცს ბევრი, გლეხი, მღაბიო,
გამონის ნებით, რომ არ არბიო...“

● პოემის დასაწყისი უდავოდ ორიგი-
ნალურია და ამასთან დამახასიათებელ
კლასიკურ სტილშია გადაწყვეტილი.
თავისთავად საინტერესოა თვით სა-
თაური ზამთარ-ზაფხულისა და ქარე-
ბის ბრძოლა. ამ მითიურ ბრძოლა-
ში იქედება გაზაფხული, რომლის

ელგაჯა მალრამე
გომდვან

ფონზედაც აყვავებული ბუნების წი-
ალში იშლება ჩვენი პოეტური ქალვა-
უიანი...

მაგრამ პოემის დაწერის საბაზი
მინც სხვა რამაა: ვიღაც უცნობ რუს
მგოსან ქალს „ვესელა ვესნა“ (მხი-
არული ზაფხული) უმღერია, პოეტი
აუღელვებია და შთაუგონებია სატრ-
ფილო პოემა დაეწერა.

ერთს ქალს რუსული „ვესელა ვესნა“
ჩემთვის სახმილად ჩამოკვენესა.

იმით ჩემი გული
იქნა დადაგული,
მედების ალი!

გულდამწვარი პოეტი ღმერთსა
სთხოვს შეწევნას:

ვიწვი, ვიდავვი მწარედ საწყალი,
არავინა მყავს, დამასხას წყალი.
ღმერთო, გეაჩვებ
წყლით სავსე გეჯები
შენ მომაშველე!

გავიხსენოთ, რომ ღმერთი „წყლით
სავსე გეჯების“ დაცლაში დახელოვ-
ნებულა. ბიბლიაში რამდენჯერ მომხ-
დარა, რომ „გამოელნეს წყარონი
უფსკრულისანი და საქანელანი ცისანი
განეხვნეს!“ ამრიგად, ეს წყლით სავსე
გეჯების ამბავი შემთხვევითი არაა,
არც რითმისა და კეთილშობიანები-
სათვისაა მოშველებული, როგორც
ზოგიერთი აუბრალოებს ამ დიდი
ეროვნული შემოქმედის პოეზიას.

ამის შემდეგ დავითი ისევ ტრადი-
ციული ხერხით მიმართავს შემწეობი-
სათვის უზენაესს, რომ შეადლებინოს
სიტყვის შეწყობა, და უშუალოდ გადა-
დის თხრობაზე:

იჭდა ზამთარი ბროლის ტახტზედა,
ხელი ზედ ეღვა ფარ-ხმალ-ლახტზედა.
მზად ყვანდა ლაშქარი —
თოვლ-ყინვა მას ქარი —
მოსწონდა თავი.

ეს მოქანდაკის ხელით გამოძერწილი
სახეა ბროლის ტახტზე მჯდომი გაპი-
როვნებული თავმომწონე ზამთრისა.
მას თან ახლავს მცველი ქარები:
„ლიფსი, ზეფიროს, ფვინიქსი, ბორია

ლოტოს“. ზაფხულსაც თავისი ძალი
ჰყავს. იმართება ნამდვილი წარმართ-
თულ-მითოლოგიური ომი ზამთრისა
და ზაფხულის სტიქიებს შორის. უნდა
ითქვას, რომ ანტიკური მითოლოგიის
ღრმა ცოდნასთან ერთად პოეტი აქ
ამკლავნებს იუმორის დიდ ნიჭსა და
სახეებით აზროვნების შესანიშნავ
უნარს. თანაც ისე იცნობს სამხრეთის
ქარის ღმერთს ნოტოსსა და მის
ძმებს — ბოროეასს, ზეფიროსს, ევ-
როსსა და სხვებს, თითქოს ბერძენი
პოეტი იყოს ჰესიოდეს დროისა.

დამარცხებულმა ქარებმა გაქცევა
იკადრეს და ზამთარს მიმართეს: „მი-
მართა ზამთარმან, ჯავრით, ვით აფ-
თარმან“, ხმალგალესილ ზაფხულს
შეუტია. გაზაფხულმა სეტყვა დააყა-
რა, „ზაფხულმან თოფხანიდან დაუში-
ნა მომაკვდინებელი ტყვიები, სტყორც-
ნა, თავს მოჰფხანა მეხით ზამთარსა“.
ბოლოს კი „გაიქცა ზამთარი, რაშს
სტაცა ფაფარი“, „კეკია ქარი“ კი დაე-
დევნა და „არ ჩამოეხსნა“, „სანამ არ
ჩაძვრა ქვესკნეთს ზამთარი, აიღო
ალაფი, გარდასხა თავს ლაფი და გა-
მობრუნდა!“

ბრძოლა დასრულდა. დასრულდა
გაზაფხულის გამარჯვებით. მთელი ეს
ანტიკური სახეები პოეტს მხოლოდ
მასალად დასჭირდა, რათა სურათი უფ-
რო ნათლად წარმოედგინა. ამისი უფ-
ლება ყველას აქვს. ზეფიროსი, ბო-
რეასი და სხვანი ოდითგანვე ცნობი-
ლი, ფართოდ განზოგადოებული სახეე-
ბი გახლავთ და ამა თუ იმ ეროვნულ
კოლორიტში მათ დისპარმონია არ
შეაქვთ.

მეორე თავში „ზამთრის დამარცხე-
ბა, ზაფხულის გამარჯვება და მწყემსთ
პირობის დადება“ პოეტი მარჯვედ
ჰქმნის ექსპოზიციას. ესაა წინა თა-
ვის გაგრძელებაც და ახლის დასაწყი-
სიც, და რამდენადაც აქ ბუნება, გა-
რემო თამაშობს მთავარ როლს, ის
შეიძლება პეიზაჟური ექსპოზიციის
ნიმუშად ჩაითვალოს.

ზამთარს წახდია აწ კირანხული,
ზურმუხტის ტახტზედ დაჯდა ზაფხული.
შემოიკრბენ ყოველნი,
შენ სულნი ცხოველნი
და მიულოცეს.

დავითისათვის უცხოა მშრალი, ცი-
ვი აღწერები, ის ერთიანად სახეებში
აზროვნების ოსტატია და ასე ხატავს
გაზაფხულის შემოსვლასაც:

გაცედა, გაძველდა ცივი ზამთარი,
შემოიკრბევა ტანთა საფარი.
ზაფხული განახლდა,
საცემელი თან ახლდა
ფერად-ფერადი.

ზამთრით შეწუხებული შიშველ-
ტიტველი არსნი გაზაფხულმა ახლად
შემოსა, გახადა ძველნი, თავისუფლად
გაუშვა. ბუნების მეჯლისი იწყება.

ამბობს ტორუა, ვალობს ბუღბული,
ტყბილად მოსძახის ოფოფს ვუგულო,
შაშვი ამბობს ზილსა,
მსმენი იკრთობს ძილსა,
ღვრინავს ქედანი,
...გამოვიდა დოლი,
გაიზარდა მოლი,
ხეთა ფოთოლი...

ამ მშვენიერი, ჰაეროვანი ექსპოზი-
ციის შემდეგ ჩვენს წინ ბუნების სცე-
ნაზე გამოდის სამი მშვენიერი მწყემსი
ქალი, ერთად ვაძოვოთო, პირობა და-
დეს. ცხვარი ჩირგვებთან მირეკეს,
დასხდნენ, თავი ყვაილწულეებით
დამშვენეს, „იმღეროდნენ ტყბილად,
კარგ ხმა განწყობილად, შაქცეოდნენ“.

მერე თაიგულებისათვის წავიდნენ სა-
მივე — სამსავე მზარეს, თეთრ ვარდებს
დაძებდნენ, აი, ერთ მშვენიერ ქალიშ-
ვილს ხმა შემოესმა, მეგობრების ხმა
ეგონა, იქით წავიდა ყვაილთა კრე-
ფით, იქ მწყემსი ნახა წყაროსთან.
ქალმა შეჰვივლა, გაქცევა დააპირა.
იწყება მზიარული სცენა:

მალ-მალ შაჰვირა: ვამე, ვამეო!
რა დღე მექნება და რა დამეო!
მას მწყემსს გაუვივრა,
თქვა: „რა ვაუვივრა?“ —
სწრაფად გამოიქცა

მივიდა, ხელი მოჰკიდა, ცრემლი

მოსწმინდა, ჰკითხა რა გაგივივრა?
ნუგეში სცა. ქალმა რომ მწყემსის სკუ-
ხე ნახა, თავისი შიში და გასაწყობი
დაივიწყა, შეუყვარდა, ლამის ფეხ-
ქვეშ ჩაუვარდა: ჩემო საყვარელო,
ჩემო მცველო და მფარველოო, — ასე
დაუწყვო ლაპარაკი, თუმცა დასაცავი
არათფერი ჰქონდა. ყვაილეები შესთავა-
ზა: „მე ვარდი შემქმენ, იყავ შენ ია“,
ჩემი სახეც იხილე და თუ მოგეწონო,
სიყვარულით მიპასუხეო.

როგორც ვხედავთ, ამბავი მიჯნურო-
ბისა ორიგინალურად იწყება: ქალი
პირველად უცხადებს სიყვარულს, აქ-
ტიურობს, ვაჟი კი გონიერებისაკენ
მიუწოდებს:

მწყემსმა ქალს უთხრა: ნუ აჩქარდები,
ჯერ შენვე გაქნდეს შენი ვარდები;
ცოტა მოიცადე,
საქმე გამოსცადე,
შეიტყვე მართლა.

ვაჟი რუსთაველს იშველიებს:

ჯერ დაივიწყე კენესა და ვიში,
თქმულა: სიყვარულს შეიქსო შიში,
ხარ გულთი შემკრთალი, არ ვიცი
მართალი, გიყვარვარ თუ არა.

მოკლედ, ვაჟი მოთმინებას და ახ-
ლოს გაცნობას ითხოვს, რათა გაირკ-
ვეს, ეს საქმე ღვთიურია თუ ეშმაკუ-
რი. თუმცა შენთან წოლა მსურს, მაგ-
რამ ვინც დაგვინახავს, დაგვძრახავს,
უწესურ საქმეს არ მოგვიწონებსო.

გულუბრყვილო მწყემსი ქალი გაო-
ცებულია, ვინა გენახავსო?

ქალმან მიუთხრა: რამ შეგაშინა?
ჩვენ ორთ ხშირს ტყეში გვიყურებს ვინა?
მწყემსმა რა ისმინა,
გულთი გაეცინა...

ქალს უჯვრის სასაცილო რა ვთქვიო?
ვაჟი უხსნის: კანონიერი ცოლ-ქმრის
საქმე დასაბამიდან ცნობილია, აშკარად
ცხოვრობენ, ხუმრობენ, ხელიხელგა-
დახვეულნი დადიან, თავისუფლად წვე-
ბიან, შვილებს აჩენენ, ხოლო „უშუქუ-

ელგუჯა მალრაჟ

გომდობა



ლოგბით შეეჯარებულნი ტყეში და-
დიან შეპარებულნი, ჯაგებში ძვრე-
ბიან, ავს საქმეს შერებნიან, აქვთ ში-
ში დიდი“. ყველაფრის მათ ეში-
ნიაო, — „ჩხიკე-შაშვე-ელისა ღვთი-
სა...“

მწყემსი ჭაბუკი ჩინებული მორა-
ლისტი გამოდგა. ყველაფრის ისე უხს-
ნის, როგორც სამოძღვრებო წიგნებშია.
ეტყობა, ეს ქალიშვილი ჯერ არავის
დაურთებია, პირველად ესმის ზნეო-
ბის გაკვეთილი. მიამიტი ქალიც დაინ-
ტერესდა და ვაჟს სთხოვა, ვინა ხარ
ამისთანა, შენი თავი გამაცანიო.

აქ იწყება „მწყემსისაგან თავისის
მამისა და დედის ამბვის თქმა და თა-
ვისის სახელის გამოცხადება: ეს თავი
საყურადღებოა იმიტაც, რომ ზნე-
ობრივი სისპეტაკის მაგალითს იძ-
ლევა მდაბიო, გლეხის შვილი:

იყენენ ერთს დამას მოსახლე ორნი
გლახნი — სიმდიდრით, საქონლით სწორნი.
ორნივე ჰყვინა,
მართალნი, ღვთიანი,
კაცნი კეთილნი.

აი ამ გლეხებს „სამძახლოდ ეჭირათ
თვალი“, მოყვრობა სურდათ. ერთ და-
მეს ებოძათ ერთს ვაჟი, მეორეს ასუ-
ლი, და პირობაც დადეს: „თუ დაი-
ზარდნენ, შევერთოთ ერთმანეთსაო“.
„მერე უფალმან ინება“, დაზარდა
დიდნი, დაუახლოვდნენ ერთიმეორეს.
ვაჟმა გოგოსთან დაწოლა ინება, გო-
ვომ შორს დაიპირა, ჯვარდაუწერლად
საწოლის შეგინება როგორ იქნებაო:

რა ბიჟს დაუწყო გულისთქმამ ბრძოლა,
მაიწადინა გოგოსთან წოლა.
გოვომ თქვა უარო;
უთხრა, თუ: ნუ არი
ჯერ შესა გულსა.

გლეხის გოგო საკმაოდ გულახდილიც
ყოფილა:

აჲ რომ დამიწვე და მეტკლად ვიღო,
ქვეანად როგორღა ხმა ამოვიღო?
თუშკა ვარ სიცოლო,
შვილი რომ მაყოლო,
მერმე რაღა ვქნა?

ჩვენ დაგვარქმევენ ბოზთა,
მეძახს, მრეწველნი
და ჩვენ შეიღებსა — ნაბიჭვრებს, მწუწმებს...

აქ უდავოდ ფიქსირებულია ის მა-
ღალი ზნეობრივი კრდექსი, რითაც
ქართველი ქალი უხსოვარი დროიდან
ხელმძღვანელობდა.

გოგოს შესისხლბორცებული ჰქო-
ნია ზნეობრივი სიწმინდის, ოჯახის
სისპეტაკის მთელი ის ათასწლოვანი
კანონი, რასაც მშობლები, პატიოსანი
ქართველი მშრომელები ჩაავონებდ-
ნენ. იცის, რა შედეგსაც მისცემს
„თავდაუქვრლად, ჯვარდაუწერლად
ბუშის ვაგდება“, და ვაჟს ეუბნება:

მე ეს მაქვს ზოთვად და ასე მინდა,
შენ მოგიტანო მე თავი წმინდა...
სჯობს ქალი მოკვდეს და დაიპარხოს, —
ურთივო საქმე არ დაიპარხოს...

ქალიშვილს პოეტი ათქმევინებს
იმას, რაც ხალხს სწამს, რაც თვითონ
უნდა იქადაგოს: პატიოსანი ქალი
„მარგალიტი, ძვირფასი თვალი“, ხო-
ლო „უნამუსო ქალი, ქვა, ფიქალი
მქრქალი“.

ქალიშვილისათვის სირცხვილ-ნამუ-
სი იგივე სიკვდილ-სიცოცხლის საყი-
თბია:

მე შენს საცილოს, შენს შესართავსა,
ნუ იქ სირცხვილით ნუ მაპჭრი თავსა!
სჯობს გამომჭრა უღლა
და არ მახლო ხელი...
თუ შენ მე გამხდი სასაცილოდა,
მე მოგიკვდები უსაცილოდა...

ბიჭი უარზე ყოფილა, ქორწილს ვერ
დაეუცდიო. ბოლოს გაბრაზებულა კი-
დეც: „შენ ქალი ხარ წმინდა, მოლოზ-
ნობა გინდა, მე სხვას მოვნახავო“, და
მოსაჩვენებლად სხვა გოგოსთან წასუ-
ლა, მასთან თამაშით და ხუმრობით
აჩვენა თავი. ცხადია, დაინშნულს
ეწყინა, ლამის სული დალია, მერე
ისევ მსხვერპლის გაღება ამჯობინა და
ბიჟს უთხრა: რაკი ასე სულმოკლე
ხარ, დრომდე ვერ ითმენ, სხვასთან
ცოდვაში ჩავარდნას ისევ ის მიჯობს,
შენს ნებას დავუყვებო:

რადგან არ იშლი, შენ მატან-ძალას,
ხვალ ერთად ცხვარი წავასხათ ქალას.

იქ ნება შენია,
რაც გინდა ქენია!
ღართო ნებაწი.

ღამით გოგომ ილოცა, ცოლ-ქმრო-
ბის გამჩენ ღმერთს შეევედრა, მო-
უთმენლობა შეგვინდე და ჩვენს წმინ-
და ცოლ-ქმრობას ნუ მოშლიათ.

ღილით ჭაბუკი აღრიხანად ადგა, გო-
გოს შეატყობინა, ცხვარი ჭალაში
გარეკეს. „რა რომ დააღირა და ქნა
დააბირა, ჩხიკვმა შეყვირა!“ ასე იწყე-
ბა მახვილგონივრულად გააზრებული
კომიკური სცენა: ჩხიკვის შეშინებულ-
ი გოგო და ბიჭი ალუწილები წამოხ-
ტებიან, სურვილი დაეკარგებათ. მერე
დამშვიდდებიან, ფოთლიან ტყეში შეე-
ლენ, და ვიდრე რამეს გახდებიან,
ხმელრ ფოთლების ფაჩუნი შეაკრ-
თობთ. კაცი ეგონათ, შაშვი გამოდ-
გა. გულგახეთქილები წამოვარდე-
ბიან. მერე „ის გოგო და ბიჭი სა-
დაც იყო ღიჭი, წავიდნენ, შაძვრენ“.
მოთმინებიდან გამოსულმა:

არ დახედა მან ნღმით წინა,
საჩქაროდ გოგო წამოაწვინა,
სადაც ეყარა
მრავლადა ეკალა,
დასცა მახედა.

გოგომ სიმწროსაგან შეჰკვივლა, ბიჭს
წიხლი ჰკრა, შორს გადააგორა, იქ
ბიჭსაც ეკალი დახედა, შეესო და
მანაც ტირილი მოართო.

ამრიგად, გურამიშვილს ჩინებულად
ეხერხება სიუჟეტების შეკვრა და კო-
მიკური თუ სერიოზული თხრობის გან-
ვითარება ისეთ ბუნებრივ სიტუა-
ციებში, რომ მკითხველი თავს სრუ-
ლიად რეალურ სამყაროში გრძნობს,
თითქოს ასეთი რამ მასაც შემთხვე-
ვია, სმენია, განუცდია.

„ქაცვია მწყემსის“ შინაარსი ვის არ
ახსოვს! გოგოს და ბიჭის ტირილი
შეშისმჭრელს სმენია, მოვარდნილა,
რა გატირებთო? მაშინვე ყველაფერს
მიმხედარა, ორივე განუჟიციხაუს: გრაც

მოვიბარავთ, ვერ დაგიფარავთო ქურ-
დობა თქვენნი“: თანაც დამუქრებო!

თქვენს დედ-მამასთან გითხვა მაგასო,
ორთვე ეკალი მანდ რამ დავასო?
თქვენ რადა სძვრებოდით,
მანდ რას შვრებოდით,
იქ გათქვევინებთ.

ბიჭი არც ისეთი გულუბრყვილო ყო-
ფილა, როგორც ეკლებში აბლავლე-
ბული ყმაწვილისაგან იყო მოსალოდ-
ნელი: შეშის მჭრელს ქრთამი აძ-
ლია, ჰედილა დაუკლა, კულა სასმე-
ლი შესთავაზა, ოქრო და ვერცხლი
აღუთქვა, ძღვენით აგავსებო, ჩვენი
შერცხვენით კი რა ხეირს ნახავო? ის
კაცი მახლობელი იყო, ბიჭის მამის
მოყვარე მოდი გამოვცდიო, იფიქრა,
დაჰპირდა, არ გაგცემოთ.

ბიჭმა პირობა შეასრულა. მსუქანი
ცხვარიც დაუკლა და მამას ოქროს
თასიც მოჰპარა, მისცა, ოღონდ არ
გავვთქვაო. გაძლა, დაითრო კაცი,
დალოცა ახალგაზრდები და არც იუ-
მორის ნიჭი დაიშურა, ეკალიც კი
დალოცა:

მე დღეს ეკალმ კარგ ბედს შეწყარა,
მღვდელმან აურთხოს, სადაც ეყარა, —
მას ამოროს ცეცხლი,
მაშოვნინა ვერცხლი;
ღამათრო ღვინით!
ამ ჯამს წავიღებ, ქალაქს გავყიდი,
კარგა გამოვა, თანაა დიდი...

ცხადია, ძნელი დასაყრებელია, რომ
ჟინმორეულ ყმაწვილ კაცს ამდენი
რამ დილითვე გაეთვალისწინებინა,
ტყეში ასეთი სუფრა გაეშალა, მამის
თასიც ასე უცებ მოეპარა და ტყეში-
ვე მიეცა მექრთამე მეზობლისათვის,
მაგრამ პოეტს დაშვების და განზოგა-
დების უფლებას ვინ წაართმევს, რო-
ცა ეს რეალური სინამდვილიდან გა-
მომდინარეობს!

კაცმა თითქოს უსინდისოდ ისარგებ-
ლა თავისი უპირატესობით, რაც შემ-
თხვევამ მისცა, ცხვრის ტყავი და

ელგუჯა მალაქამ
გოგოდა



ნარჩენი ხორციც კი აიღო, სუფრა მოხვეტა, გოზაურიც წაიღო, რათა ბიჭის მამასთვის წინ დაედგა. ბიჭი მიუხვდა, პროტესტის ნიშნად აურზაური აუტეხა:

თუ კი არ გვიდობო,
ემყაობ — ფლიდობო,
გ რად მივაქვსო?

მეტეც:

კაცს წაეიდნენ გოგო და ბიჭი,
რად გაპლექსეთ ნაცი და ღივი?
ამად დაგრქთამეთო,
გასვით, გავამეთო?

ქრთამი, როდესაც და რა სახითაც არ უნდა იყოს, დასავლობია, მაგრამ ასეთ დღეში ჩავარდნილი ქალ-ვაჟისათვის გამოხატვისი დაფუშვით.

კაცმა თასი არ დაანება, ბიჭს და გოგოს ჯოხითა სცემა, შინ მივიდა, დიდი ხარჯი გასწია, საყდარში ხალხი აწვია, ბიჭის მამა დაარწმუნა — შენი ცხვარი მე დავკალი, თასიც მე ავიღე, შენს შეილსა და საძლოს ეკალი გადავკარი, ვატირე, ახლა კი დროა ნადიმზე მეწვით საყდარშიო. ბიჭის მამა, რომელსაც შეიღმა ამბავი სხვაგვარად გადასცა, მოლბა. მღვდელმა კი ისე მოაწყო, რომ მგლოვიარობის მიუხედავად ყმაწვილის მამა მღვდლებმა ჯვარისწერაზე დაიყოლიეს და თანაც მშობლებს უსაყვედურეს: შეიღების ქორწინებას რად აყოვნებთო? მგელს რომ ნანადირევი წინ ედოს, პირს არ დააკარებსო? ცეცხლზე რომ თივა იდოს, არ დაიწვისო?

მინდვრად, მთად, ქალად ერთად დადიან,
ვინ იცის, თუ რას ცოდვას ჩადიან...
ღრთო მისულს ქალ-ვაჟთ რაღას აყოვნებთ,
რად ჯვარს არა სწერთ, აწ რად აღონებთ?

ეს საყურადღებო მსჯელობა და დამოძღვრა, არც ერთი დროის ქართველ მშობლებს არ აწყენდათ, შეიღების დაოჯახებას რომ აკონაურებენ, ქალს აბერებენ და ქვეყნის მომავალზე არ ფიქრობენ! პოეტს ეს გარყვნილების მიზეზად მიაჩნია:

რად ემსგავსებით ქისტა და დიდოს,
კერპთა მსახურთა; სჯულით უწმინდესს
უშინარად, ურცხვად,
გვირგვინთ უკურთხადა
ცოლ-ქმრობის შერებით

ბიჭის მამა თავს იმართლებს: დედა ახლახან მოგვიკვდაო, მამაც სიკვდილის პირზეაო, ვგლოვობთ და ლხინს გული არა შერებაო. მოყვარე კაცმა დაამშვიდა შეყრა მაინც აუცილებელია, აგერ ხარჯით მე შეგეწიეთ, ქორწილი შემდეგ იყოსო! ოღონდ ამ საქმეს ნუ ჩამული, ხარჯის დარდი ნუ გექნებაო!

საქმე ქორწილითა და სიამოვნებით თავდება. ქაცვი გათიბეს, ახალგაზრდებმა სურვილი აისრულეს, ქალმა მაშინვე მუცლად იღო და შვა მწყემსი ბიჭი, რომელსაც „ქაცვია“ უწოდეს.

აქედანაა პოემის სათაური „ქაცვია მწყემსი“. მისი მოთხრობით თავდება მეოთხე თავი.

ეს ჩართული ებიზოდი პოემაში ცალკე დგას და საკმაოდ დიდი ადგილიც უჭირავს.

საკუთარი დედ-მამის ამბის მოთხრობით წყევსმა ჰაბუქმა ქალს აგრძნობინა: უზუნაესი ძალის ჩაურევლად ჩვენი შეერთება არ შეიძლება, ცოლ-ქმრობა ზეცაში წყდებაო: ქრთამიც რომ გავიღოთ, კაცი მოვატყუოთ, ღმერთი მაინც არ მოტყუდებაო:

— შიშითა, ძრწოლითა, შენთანა წოლითა ჯერ ვერ ვიხარებ! — ეუბნება ნამუსიანი ბიჭი. — წადი, შენი ამხანაგები ნახე თუ ჩემი თავი შენ გერგო სჯულიერ ქორწინებით „შეგირთავ ცოლად, გვერდ დასაწოლად“.

გოგო დაფიქრდა, რჩევა ჰკუთავი დაუჯდა და წაივიდა. ახლა ჰაბუქი ქაცვია გონს მოეგო, შეწუხდა: ბედი ხელიდან. გავუშვი, ბედი და წერა ვერ შევიფერე, ჩემის გაყრისა არ იყო მწადი“, მე კი გავაგდე ამ უდაბურ ქალაში მოვლენილი ქალწულიო! ვაი თუ დავისაჯო, აღარც მიკითხოს, ნიშნი მომიგოს, სხვამ იქორწინოს, მე გავწებილდეო! იქნებ ვერც ის დააფასოს,

ბედი გაუმრუდდეს, მეც დავიტანჯო, ცოდვამ მიწიოსო!

საგულსხმოდ ისაა, რომ ამ საოცარი სისპეტაკის ამბავში ჭაბუკი მწყემსი თავის უბედობას აგრერიგად არ ჩივის, როგორც იმას წუხს, ვაი თუ ჩემი საცოლვე შემიწუხდეს და გაუბედურდესო! — და ღმერთსა სთხოვს, თავის საყვარელს ისევ შეჰყაროს „გულითა მართალითა, პირთა ნათლითა, შეურცხვენელად!“

ქალი კი მშვიდობით მივიდა თავის ამხანაგებთან, რომლებიც დაკარგულ მეგობარს ეძებდნენ და დასტიროდნენ. ცხადია, ნახვა გაუხარდათ, „ღიღად უყვარდათ მათ ერთმანეთი“.

მათ ჰქვევს: გვეგონა გვიბინა გველმან,
ანუ შეგვამა დათვმა და მველმან,
ესტიროდით, ესჩიოდით,
ტყუმი დავსდიოდით,
შენ დაგეძებდით.

ვის დარჩება შეუმჩნეველი ის იდილიური თანხმობა, დობა, სიყვარული, ზრუნვა, ურთიერთ გატანა, რაც ალალ მწყემსთა ცხოვრების ამ მხიარულ და ამაღლებებელ ამბავში, მის ყოველ დეტალში ჩანს!

ეს ამბები სულ იუმორისტული ეპიზოდებითაა გამდიდრებული. ქალის ძებნაში მის დობილებს სახედარი ეპოვათ, ახლა ის მიაბეს ჯოხზე, რომელსაც უწოდებს „ქაცვია მწყემსი“, და წილი ჰყარეს, რომელს შეხვდება ჭაბუკი, რომელს მუტრუკიო. ქალიშვილები ღმერთს ეგედრებიან, მუტრუკი არ გვარგუნო ჭაბუკის წილო!

ამ დროს გამოჩნდა წილის მყრელი, კაცი ჰყვათა მყოფელი, და ქალიშვილებმაც მას მიმართეს. იმან ქალადღები გაშალა და საქმე ისე მოაწყო, რომ ქაცვია მწყემსი ისევ მის მპოვნელს ერგო: „ვისაც წილად ეს ძაფი და ნემსი, იმისი იყოს ქაცვია მწყემსი“...

ქაცვია მწყემსმა მამას შეუთვალა: საცოლვე მიპოვნია, დროა, დასტური მომეცით.

მამამ შორს დაიჭირა (ისევ სიძენ-ლეების!) ჯერ ადრეა, ოცი წლისა ხარ, ქორწილს ვერ გადავიხდით! შეიძინე პასუხი ფრიად დროული და მახვილგონივრულია: სწორად განსაჯე, შენი ახალგაზრდობა გაიხსენეთ:

შვილმან დაუწყო მამასა ბუბა,
რად არ ვახსოვნო შენი ბუბობა,
ჩხიკე-შაშვ და ღიჟობა,
ქაცვ-ნაცთა მირჭობა,
წელთ თექვსმეტობა!

მოკლედ შეილი მამას ეუბნება, შენი სიჭაბუკე გაიხსენე, საცოლეს რომ სისხლი ადინე და ეკალზე ხევით ატიროვო! შენ თექვსმეტი წლისამ ეს გააკეთე, მე ოცი წლისამ როგორ ვითმინოთ? ბოლოს ისევ ბოდიში მოუხადა; ზუმრობით მოვახსენე, ნუ მიწყენო, და გავიდა. მამაც მოლბა, ყველაფერი სწორია, რაც მითხარიო, მოინბო აკურთხა:

ღმერთმან ვაკურთხოს დამბადებელმან,
ცათა და ქვეყნის ამაგებელმან;
გიწვიპოს ციერი, არა გქმნას მშვიერი
პურ-ღვინით, ზეთით!

კეთილ სურვილთა შორის — სოლომონივით ბრძენი, მდიდარი და სეებედნიერი იყავით, ძენი მოგცეს და ასულნიო და ა. შ. ერთი „სოციალური შინაარსის“ სურვილიცაა:

ყმა მოგცეს ბევრი, გლეხი მდაბიო,
გამონოს ნებით, რომ არ არბიო;
გექმნას კეთილ მსაჯულად,
არვინ ყოს ტანჯულად
უსამართლობით.

მართალია, ყმების ყოლას უსურვებს, თავად უბრალო მწყემსს, მაგრამ არც იმას ივიწყებს, არავინ დაჩაგრო, სამართლიანი და კეთილი იყავით...

ბოლოს ნება მისცა, წადი, საცოლვე მოძებნე შესაფერისიო.

ამ ნებართვას მოსდევს მთელი თავი დარიგებისა, თუ როგორი ცოლი შეირთოს:

ელგუჯა მალრაჰი
აკოფაბა

შვილო, მონახე ქალი ასეთი,
ჭეშმარიტებით სწამდეს მას ღმერთი...
ერიდუ კახას, ურტხეს, ლოთს და კახას,
თორემ გვიწინებს დედ-მამას, პაპას;
მალ-მალ-გინამს ჩხუბსა, გვიმხავს შუბსა
გაძვრებებს გულსა.

გაქვს თუ არა გაქვს, არ გავიციოხავს
გეტყვის: არ მაქმევე შეიღწით ნიუხავს,
მოგიდებს ყისტებსა, წამოგყრავს ქიშტებსა,
ჩავამტვრევს ცხვირ-პირს.
ანჩხლი და ურტხევი, თუ არის მარტუმი,
ზღუდე შემოგვდების, თუ ხელით უშვი;
მოგიდებს მიწუხებს, შემოგყრავს მით ღეზებს
დაგიჩხვლევს გვერდებს.

ამ თავში მთელი კოდექსია საცოლედ
ქალის შერჩევისა. დავითი ეჭვით უყუ-
რებს ლამაზ ქალებს, არ სწამს მათი
ერთგულება, ათასი მპარავი უთვალთ-
ვალებს, ვერ დაიცავო: ამიტომაც მა-
მა შვილს ურჩევს:

ნუ ვსურს ლამაზი პირ სირინოზი,
არას გააძვებს, თუ არის ბოზი...
რავინდ რომ მცველი იერთობდეს ძილსა,
მაინც ვერ შესძლებს ბევრსა ღვიძილსა.

თვითონ ქალი უნდა იდგეს ისეთ
სიმადლებზე, რომ არ განშორდეს
მფარავს, არ მიეცეს მპარავს. მართა-
ლიც არის:

თუ ქალმან თავი თვითონ არ დაცო,
რამდენიც უნდა შენ იმამაცო,
ვერ შესძლებს დაცვასა,
თუ შეიქს ტაცვასა
თვით თავსა თვისსა.

მოღალატე ცოლების დახასიათება-
ში პოეტის კათალიკოსსაც კი გადასწვ-
დება:

თუმცა შეადგა ლამაზი ბოზი,
ძნელად ვარდურჩეს კათალიკოზი...

ამიტომ გადაჭრით აფრთხილებს ქა-
თებს: „ნუ გინდა ბოზი, ანჩხლი და
ლოთი, თუ არ გინდოდეს შენს სახლში
შფოთი“, და განაგრძობს:

ნუ ვსურს ქალთ ქმრობა შევ
თვალ-წარბისა,
რომლისაც გული სხვასთან წარბისა.

შეგვირის მარაქას, წაგართმევს მარაქას
სახლსა და კარსა.



ქმრის მოღალატე, უღირსი, როსკი-
პი და უგულო ქალი ქმარს იზიზღებს,
თვალი კუროსაკენ მიუწევს:

ქმარს რომ უნდოდეს მასთან მიდება,
ეტყვის: დამხსენ მე არ მინდება;
მაღვითა, ფარვითა, ქურდულად პარვითა
უტხოს კი მისცემს.
თურმე ასეთი დედაკაცი

ქმართან პირზედა წყალს არ შეისხამს,
კუროს რომ ნახავს, ხალხსაც ისხამს,
ქმართან პირს ატარებებს,
მყვართან ლინს გაპირებებს,
ორგულთან ასრე!
ქმარს თავზედ სახანს გარდაფარებებს,
ხელს კუროსაკენ გარდააპარებებს...

ასეთი ქალი „საუწიხისაგან თავის
სახლს დასცლის“, „წახდების შიშვე-
ლი“, „მასწავლებელს ვეღარ ითაე-
სებს“, „სახლს მოსთხრის, დაავსებს“,
„არაყს და ღვინოს წყალსავით ასხამს“,
კუროს კარგ სადილს უმზადებს და გუ-
ლის წადილს აუსრულებს, ქმარს
დააწყულულებს, „მყვართან აქვს გუ-
ლი“, ქმარს ტყეში გაგზავნის, ქვე-
შაგებს გაშლის, მყვარს მოეხვევა, „ჩა-
კოცნის ტკბილად“... პოეტი ასე ამ-
კობს და მთელი ნატურალისტური მო-
ურიდებლობით ხდის ნიღაბს მოღალა-
ტე ცოლებს, ისე რომ თვით სირ-
ცხვილ-ნამუსზე ხელაღებული დედა-
კაციც კი სირცხვილით გაწითლდება.
თავისი ქვეყნის ასეთ სურათს რომ კი-
თხულობს.

ბოლოს მამა შვილს ისევ ურჩევს,
გონივრულად შეარჩიე ქალი, არ მო-
ტყუვდე, პირის სიღამაზეს ნუ უყუ-
რებთ:

ქალს ნუ უარყოფ თვალად ნასობით,
თუ გწაღს სიცოცხლე წელთა ასობით...

თუ ის ერთგულია, არა ანჩხლი და
კაპასი, შენს ბაღსაც გაუფრთხილდე-
ბა, არას მოიპარავს, სახლ-კარს ყურს
მიუგდებს, სხვაზე არ გაგცვლის, ძილ-
ღვიძილი ტკბილად გექნებათო.



პოეტს არ სჯერა ლამაზი ქალის ერთგულება:

ლამაზის ცოლის პატრონი ვატი
არს ფიქრისაგან შორს წარნატავი,
მისთვის შიშნულოვან და მისთვის სნულოვან
შინ არს თუ გარეთ...
იტყვის; ვაი თუ გაფრინდეს შორსა,
თავისის ნებით მიეცეს ქორსა...
მართლაც,

რა არს ლამაზი დედალი ჭრელი,
თუ კი არ უყვარს საყენის მკრელი

ამას სჯობს შეუხედავი, მაგრამ ერთ-
გული ქალი:

შენ გეყოლები შავი დედალი,
შენს საქათმეში კვერცხის მღებალი:
ამას იტყვის ქურდი: შავია და ცუდი,
რად მოვიპარო?

შენს კარ-მიდამო შეიქს კაცანსა,
მოგართმევს კვერცხით სავსეს ზაკანსა,
გიჩეკს წიწილებს, გიზრდის წვრილ
შვილებსა,

სხვა რაღა ვინდა?

კ. კეკელიძე გაცვრით აღნიშნავს
დ. გურამიშვილისა და საადის აზრთა
შეხვედრას სიყვარულისა და ცოლ-
ქმრობის საკითხში. მართლაც, საადის
ლექსი აზრობრივად ჰგავს გურა-
მიშვილის მიერ „ქაცვია მწყემსში“
გატარებულ შეხედულებას („ქალს ნუ
უარყოფ თვალთა ნასობით, თუ
გწადს სიცოცხლე წელთა ასობით...“).
საადი ამბობს: „აჰ, ქვეყნად უბედნიე-
რესია ის, ვინც ცოლთან თანხმობით
ცხოვრობს! თუ დღეთსინიერია და
აღერსიანია ცოლი, გიხაროდეს, თუნ-
დაც სახით ნასი იყოს დაიჭერე, ასეთი
ჯობს ბოროტ ლამაზ ქალს... კაპას
ქალს ერიდე, და თუ სათნოა, გონ-
ჯიც რომ იყოს შეირთე!“ პატ. აკა-
დემიკოსი ვარაუდობს, რომ გურამიშ-
ვილი კი არ იცნობდა საადის პოე-
ზიას, თვით საადი იცნობდა ისუ ზი-
რაქის წიგნს, სადაც ასეთი აზრებია
გამოთქმული. ისუ ზირაქის წიგნი კი,
ცხადია, ცნობილი იყო გურამიშვილი-
სათვისო.

გურამიშვილის სახეებით აზროვნე-
ბის, მეტაფორიკის ხერხი სრულიად
ორიგინალურია და უაღრესი თავის-
თავადობით გამოირჩევა. ამ პრინციპს
არც „ერთგული და მოლაღატე ცო-
ლების“ თავში პლაღატობს.

ზიბლიური მაგალითით (ადამის და
ევას ეპიზოდი), თუ ხალხის გამოც-
დილებითა თუ პირადი დაკვირვებით
პოეტი მამის პირით ქადაგებს იმ კო-
დექსსა და იმ მორალს, რაც მას სწამს.

შვილი ბრძნულად უსმენს და სიტყ-
ვას აძლევს, მეც ისე შევარჩევ სა-
ცოლეს, როგორც მირჩევთ. ამის შემ-
დეგ ქაცვია მწყემსს თავის ამბავს
გულახდილად გაანდობს: მწყემსმა
ქალმა შემეყვარა, ცოლობა შემომთა-
ვაზა, მე კი არა ვქენი, უკან გავუშვი,
იქ სამ ქალს წილი უყრიათ და ბედით
ის ქალიშვილი მაინც მე მრგებიათ.

მამას ასეთი თამაში არ მოსწონს:
რას მიქვიან ბედი? ღმერთს თუ ენდო-
ბი, ბედს რა ხელი აქვსო!

რადგან შენს საქმეს ღმერთზედა აგდებ,
ბედის ხსენებას რად არ განავლებ?
რას ჰქვიან აწ ბედი? — ვრმა ვიყავ,
დავბერდი,—

ჯერ ვერ მიცნია.

მამის რჩევა მარტივია: რაც ღმერთ-
მა მოგცეს, შავია თუ თეთრი იმას დას-
ჯერდიო. ყველაფერი ღმერთის ნებაა,
არა ბედისო: აშლილობა, სიძვირე,
იაფობა და ა. შ. დღეს ვიცით, რომ
სიძვირე და იაფობა არსებული სინამ-
ღვილის სიძველე და სიკეთეზეა დამო-
კიდებული, მაშინ კი გლუხს ასე ეს-
მოდა:

შვილმა ჰკითხა, „თვალთ ლამაზთ
ნდომამ“ წარლენა როგორ გამოიწვიათ.
მამამ მოკლედ მოუჭრა: დაბადება
რომ მოგიხბრო, გავგიგრძელდება,
ქორწილს მოცდებით. შვილი გაჯავრ-
და, — რა შეჩქარება რამე მასწავლე,
მწყემსები უმეცრების გამო დამცი-

— ელგუჯა მადრამე
გოჯება

ნინო. მამა თავს იმართლებს, „არც მე მაქვს, შვილო, ცოდნა მაგდონი, ძლივს მისწავლია ან-ზან-გან-დონი“, ჩემს ყრმობაში სულ თურქ-ყიზილბაში გვადგა ვარშემო, „მით იკლო სწავლა-მა, ჩვენში ლევთ დავლა-მა, წიგნი წარსტყვევნა“.

ამრიგად, ჩვენი პოეტი ქაცვია მწყემსის წმინდა ბუკოლიკურ რომანშიც კი არ უღლის გვერდს ეროვნულ საკითხს, ქვეყნის ძნელბედობას, თურქობასა და ლეკობას.

მამა კმაყოფილებით აღნიშნავს, შვილი ქვეიანი გამომადგა, ქორწილს არ ჩქარობს, გონების საზრდოსაც ითხოვს, ისეთი სულმოკლე არაა, „ვით მე ჭალას შინა ჩხიკვან შემაშინა, შაშვ ქაცვმან, კაცმან... შინა დამაქორწინა, მოლი დამიგო, ცოლთან მაწვინა, მსუსხავდა ჭინჭარი, მიკბენდენ ჭინჭველნი, მჩხვლეტდნენ ეკალნი“. შვილს კი ასე მიმართავს: „შვილო, ყოფილხარ ბიჭი ბიჭური, არა გემთხვა რა ჩხიკე-შაშვ-ლიჭური... ქალთან სურვილისა, წყალთან წყურვილისა გაქვს მოთმინება!“

ამ შესავლის შემდეგ მამა შვილს მოუთხრობს მსოფლიო წარღვნის, ნოეს კიდობნისა და ბაბილონის გოდოლის შენების ამბავს, რაც უდავოდ ხელოვნური, დამამძიმებელი ჩანართია ამ მშვენიერ რეალისტურ ამბავში. თავისთავად ეს ვალექსილი ბიბლიური ეპიზოდები უთუოდ საინტერესო პოეტური ძეგლებია; მაგრამ მწყემსების რომანში, პოემაში მას აზრი აღარა აქვს, მით უმეტეს რომ ამ ამბავს დავითი სხვაგანაც არაერთხელ უბრუნდება.

ხსენებულ ეპიზოდებს მით უფრო არა აქვთ აზრი, რომ მათთან ერთად თავდება „ქაცვია მწყემსი“ და მშვენიერად დაწყებული, ჩინებულად განვითარებული პოემა რჩება ჰაერში გამოკიდებული, დაუგვირგვინებელი, დაუმთავრებელი. ჩვენ გვინტერესებს მწყემსების ამბავი და არა ბიბლიის ცნობილი ლეგენდები. სამწუხაროდ,

ეს საქმე გურამიშვილმა სათანადო სურულითა და ლოგიკით ვერ შეკრა ან მუხთალმა საწუთრომ არ დააგვალაო.

საქმის ჰეროენად გასრულება. ამის მიუხედავად, „ქაცვია მწყემსი“, ცხადია, რჩება მწყემსთა ცხოვრების ამსახველ საუკეთესო პოეტურ ძეგლად, რაც ჩვენი ეროვნული ლიტერატურის სავანატურს ამშვენებს.

დავით გურამიშვილი და ბუკოლიკური პოეზია

გურამიშვილის ბუკოლიკური მოტივების ძლიერი ნაკადი ბუნებრივად აღძრავს ინტერესს ასეთი საკითხისადმი: რა აქვს საერთო მას ანტიკური ხანის, შუა საუკუნეებისა და XVII-XVIII საუკუნეების დასავლეთ ევროპის ლიტერატურაში ასე ძალუმად წარმომდინარე ბუკოლიკურ პოეზიასთან? იცნობდა თუ არა ამ ნაკადს და იგრძნობდა თუ არა რაიმე ზეგავლენის კვალი; ერთი რამ წინასწარ უნდა განვაცხადოთ კატეგორიულად. ასეთი ზეგავლენა თუ გარკვეული დოზით მიბაძვაც კი ანტიკურ მწერლობაში სულაც არ ითვლებოდა ლიტერატურულ სესხებად, როგორც დღეს ითვლება, არც პოეტის სისუსტის ნიშნად. თორემ ასე თვით ვერგილიუსი ბაძავდა ჰომეროსს, თეოკრიტეს; ფლავი ბაძავდა აპოლონიოსს, და თითქმის ყველა რომაელი პოეტი ბაძავდა ბერძენ პოეტებს ისევე როგორც საუკუნეების განმავლობაში სხვები ბაძავდნენ თვით რომაულ მწერლებს — ვერგილიუსს, ჰორაციუსს, ოვიდიუსს, ფლავს, მარციალს, კატულუსს და ა. შ.

არც იმაში იქნებოდა რამე უჩვეულო, რომ რაიმე მოტივი გადმოეღო ჩვენს პოეტს სიტყვის გამოჩენილი უცხოელი ოსტატებისაგან.

მაგრამ აქ მიბაძვა-გადმოღებას ადგილი არა აქვს. დავით გურამიშვილი უაღრესად ეროვნული, მეტად ორიგინალური პოეტი, რომ ვინმესათვის მიეზაძა, ისიც იმ ნაწყვეტებისა და პირ-



ველი თარგმანების მიხედვით, რომლებზედაც ხელი მიუწვედებოდა.

ამასთან, რაღაც საინტერესო შეხვედრები მაინც არის და ამ გარემოებასაც აქ გავკვრით მაინც უნდა შევეხოთ. ნიმუშად ვიღებთ ბუკოლიკური პოეზიის და საერთოდ ანტიკური პოეზიის აღიარებულ, გაღმერთებულ წარმომადგენელს, „ბუკოლიკებისა“ და „გეორგიკების“ ავტორს — პუბლიუს ვერგილიუს მარონს (70-19 წ. ძვ. წ.).

ვერგილიუსის რიგიანი თარგმანები თვით ვეროპაშიც მოგვიანებით XVII საუკუნის 30-იანი წლებიდან დაისტამბა, მაგრამ ნაწყვეტები ადრევე იყო თარგმნილი რუსულ ენაზე, და ვინ არ წერდა ვერგილიუსზე! ტუნისში, ბარდოს მუზეუმში ნაპოვნმა მოზაიკამ შემოუნახა კაცობრიობას ვერგილიუსის ერთადერთი საკმაოდ სარწმუნო პორტრეტი. მანტუის მახლობლად შობილი პოეტი უმეტესად ნეაპოლში ცხოვრობდა უშფოთველად და წყნარად, მხოლოდ როცა კესარმა ოქტავიანემ მიწის კონფისკაციებით შეაშფოთა იმპერია და ვერგილიუსის მამასაც დაემუქრა მიწის წართმევის საფრთხე, პოეტი რომში გაეშურა, იმპერატორს ეახლა და მამული შეინარჩუნა. იმ ხანებში დაუწერია პოეტს „ბუკოლიკები“.

ვერგილიუსსაც უყვარდა მიწა... მასაც ეწადა შეექმნა დიდი ეროვნული ეპოსი, და, აი, იმპერატორმა ოქტავიანემაც მას მიანდო ეს დიდი საქმე, საბერძნეთს, „ენეიდის“ სრულყოფის მიზნით ჩასული და უკან თვით იმპერატორის გემით დაბრუნებული პოეტი გზაში 51 წლის ასაკში გარდაიცვალა.

ვერგილიუსს თავის ეპიტაფიაში აქვს მოხსენიებული საკუთარი სამი მთავარი ნაწარმოები.

მანტუაში შობილი ვარ,
კალაბრიაში მიმიტაცა,

პართენოპიაში დავიმარხე;
ვადიდებდი სამოვრებს,
სოფლებსა და ბელადებს.

ბუკოლიკურ პოეზიას — „პასტორალს“, მარტივი, სოფლური ცხოვრების ამასხველ ლიტერატურას, შორეულ წარსულში აქვს გადგმული ფესვები. ეს ბუნებრივიცაა. ბიბლიიდანაც ვიცით, ჰესიოდეც დავემოწმება, და ანტიკურობის ყველა გამოჩენილი ავტორიტეტიც, რომ ადამიანთა მოდგმის სისხლსაცვე პატრიარქები — მწყემსები, მესაქონლეები, მომთაბარეები მთასა და ბარში სატრფიალო თავგადასავლებით იქცევდნენ თავს, მათი თავისუფალი სიყვარული თუ სპეტაკი ოჯახები იქმნებოდა ინტიმური შეხვედრების, სიღუმლო დიალოგების, სიმღერების, მშფოთუარებისა და სიხარულის ვითარებაში. მერე ეს უძველესი ხალხური საქმე და სიტყვა პოეზიაშიც გარდაისახა, ლიტერატურულ მოვლენად იქცა.

ბუკოლიკური პოეზიის მამამთავრად სიცილიელი თეოკრიტე-სირაკუზელი ითვლებოდა თავისი 30 იდილით. ვეროპის ქვეყნების თითქმის ყველა ხალხის გამოჩენილი პოეტის შემოქმედებაში გავკვრით თუ ფართოდ წარმოსახული მწყემსური იდილია, კაფიობა-გაშიირება, საწყისს თეოკრიტეს „სიტყვა-პასუხში“ იღებს.

ვერგილიუსი თანამედროვეთა თუ მომდევნო თაობის მემბტიანეთა ცნობით, სოფლის მოტრფიალე იყო, ამას მისი კლასიკური „გეორგიკებიც“ მოწმობენ, და რა გასაკვირია, რომ მან აიტაცა თეოკრიტეს ბუკოლიკური მოტივები, რაც საკუთრივ რომაული ლიტერატურისათვის ახალი მოვლენა იყო. აკი ვერგილიუსი თავის მუზას „სიცილიურს“ უწოდებს კიდევ, რითაც თვითონვე მიუთითებს შემოქმედებითს წყაროზე, თუმცა თეოკრიტეს არც ახსენებს. განა ეს მეტყველებს

ელგუჯა მალრაქა
გომება



ვერგილიუსის ბრმა მიმბაძველობაზე? ყოველი დიდი პოეტი აიტაკებს, გამოიყენებს და განავითარებს ხოლმე წინამორბედთა მიღწევას, მოტივს, იდეას და ამით გვაძლევს სრულიად ახალ ხელოვნების ნაწარმოებს. ასევე უნდა შევხედოთ დავით გურამიშვილის ბუკოლიკურ პოეზიასაც. დიდმა ქართველმა პოეტმა, მრავალმხრივ თვით განათლებულმა შემოქმედმა, ენციკლოპედიურად განსწავლულმა კაცმა უდავოდ იცოდა ვერგილიუსი, მაგრამ ასევე კარგად იცოდა სოფლისა და მწყემსთა ცხოვრება.

მან საკუთარი შთაბეჭდილებითა და შთაგონებით შექმნა სრულიად ორიგინალური ქართული ბუკოლიკური პოეზია, რომლის ყოველი ფურცელი ქართული პეიზაჟის სურნელებითაა გაჟღენთილი. გულუბრყვილობა იქნებოდა მისთვის უშუალო მიმბაძველობის დაწამება — ასეთ ბრალს სრულიად უსაფუძვლოდ თვით ვერგილიუსს სდებდნენ მისი დროისა თუ გვიანდელი კრიტიკოსები ლიტერატურისა.

რამდენადაც გურამიშვილი უდავოდ იცნობდა თანადროულ და ოდნავ წინადროინდელ რუს პოეტთა ნაწარმოებებს, მის შემოქმედებაში ბუკოლიკური მოტივები ამ გზითაც შეიძლება შეჭრილიყო, მაგრამ გურამიშვილი თვით ვერგილიუსსაც გაეცნობოდა, რადგან „ბუკოლიკების“ თარგმანი პეტერბურგში უკვე გამოცემულია 1770 წელს, როცა ჩვენი პოეტი 65 წლისა იყო. 1774 წელს პეტერბურგში გამოიცა „გეორგიებიც“, მაგრამ „გეორგიებიც“, ავტორის გენიალობის მიუხედავად, ნაკლებ მაცდუნებელი აღმოჩნდა პოეზიის მიმდევართათვის. ის უმალ ვალექსილ სახელმძღვანელოდ იქნა აღიარებული.

1770 წელს უკვე არსებობდა „ენეიდას“ პირველი წიგნის რუსული თარგმანი ვ. პეტროვისა. მალე პოემა თარგმნა ვ. სანკოვსკიმაც.

გურამიშვილის პოეზიის ზოგიერთი მოტივი და თემა გვარწმუნებს, რომ შიცი, რომ ჩვენი პოეტი იცნობდა ვერგილიუსის პოემას „გეორგიკებსაც“.

„გეორგიკები“ სტილითა და შინაარსით ძალზე რთული, მითოლოგიური სახეებით გაჟღენთილი, ამალღებული პოეტური ქმნილებაა. პოეტი მიმართავს უცნობ მეორე პირს — უთუოდ მიწის მუშაკს, ადიდებს მეცენატს, ღმერთებს, მუზეებს, მიწის ნაყოფის მომტან ძალებს. მერე გადადის ვახაფხულის სამუშაოების აღწერაზე. მოგვითხრობს თუ რომელი კუთხე ქვეყნიერებისა რა სიმდიდრეს იძლევა. საგანგებოდ იხსენიებს მითიური დევკალიონის ამბავს, რომელმაც ზურგს უკან ქვების გასროლით ხელახლა შექმნა კაცთა მოდგმა, და ამრიგად, მიწა და მიწის სამუშაოები გაანაწილა ხალხებს შორის. ძირითადად პოეტი ყურადღებას მიწაზე აჩერებს, მოსავლის მოყვანის ხერხებსა და ვადებზე, ნიადაგის ნაყოფიერების მიზნით ნათესთა მონაცვლეობაზე, სამუშაო იარაღებზე და ა. შ. ყოველ დროსა და სამუშაოს ამა თუ იმ მითოლოგიურ სიუჟეტს, ამბავს უკავშირებს და იძლევა მრავალ სასარგებლო რჩევას. პოეტი „საგანთა ბუნების“ ავტორივით ფართო ცოდნას აქვდავენებს მითოლოგიის, ბუნების მოვლენების, პრაქტიკულ სამუშაოთა პოეტურ აღწერილობაში, განსაკუთრებით პურის მოყვანის საქმეში, გთავაზობს მთვარის მიხედვით ამინდის წინასწარმეტყველების წესებს და ა. შ.

მეორე წიგნს ბაკქისადმი მიმართული იწყებს: ველური ტყეების, ზეთისხილის, ვენახისა და სხვა ხეხილის ამბავს გადმოგვცემს. ყველა ქვეყანაზე წინ, ამ მხრივ, შეუდარებელ იტალიას აყენებს — „სატურნის მიწას, მოსავალთა დიდ დედას!“ საოცრად დეტალურად და სერიოზულად აღწერს ხეხილის მოვლის, მიწის განოყიერების,

ბუნების მოვლენებთან მოსავლიანობის მისადაგების ამბებს.

გაზაუხუდიდან დაწყებული შემოდგომამდე წვიმისა თუ ქარის განაწილება-დანისწულებას, მოახლოებული ზამთრის სიცივეების ხასიათს, თხისა და ძროხის დაბინავენის, ყურძნის მწიფობის, ოჯახის სიწმინდისა და სიუხვის ამბებს რომ ვადმოგვიშლის, უნებლიეთ გვაგონდება ჩვენი გურამიშვილი, რომელიც სულ სხვა დროსა და ვითარებაში, სხვა პოეტური საზომითა და ხერხით დაინტერესებულა იმავე დეტალებით.

მესამე წიგნში ვერგილიუსი იმავე ამაღლებული პათოსით მეტყველებს ტაძარზე, რასაც ის აგებს მწვანე ველზე, პალმის რტოებს მოიტანს, კეისრის ფერხთით დააწყობს, ლაპარაკობს ჯოგებზე, მათს მოვლაზე, მანე მწერებზე, ამინდზე, სიუხვეზე, კეისრის სასახლო ბრძოლებზე... ხარების ბრძოლაზე... ყოველივე ეს ძალზე პოეტური, მაგრამ ძალზე გადატვირთულია მითოლოგიური სახეებით, და მძიმედ იკითხება.

მეოთხე წიგნშიც მეცენატს მიმართავს: ახლა ციურ მუშაკზე ფუტურებზე გეტყვი, და ნამდვილი დაკვირვებულ გლუხის სიბრძნეს ამქადავნებს ამ საქმეშიც. ფუტკარს ქარი უშლის ნექტრის შინ მოზიდვაში. სკა მყუდრო ადგილას უნდა იდგეს, ყვავილოვან ველს საქონელი არ უნდა თელავდეს, ხვლიკი და წიფვივა ჩიტი არ უნდა გააქაჟანოთო.

ერთი სიტყვით „გეორგიკები“ — ესაა პოეტური ენციკლოპედია მოსავალსა და მესაქონლეობაზე, ბუნების მოვლენებსა და მეხილეობაზე, პოემა, რასაც პოტი წერდა „ტოტებგაშლილი წიფლის ჩრდილში“, ისე რომ დიდებას არ დაეძებდა...

პოეტი კარგად იცნობს მცირე აზიის თოვლიან მხარეს — თმოლის მთას, რომლის ეტიმოლოგიას მეცნიერები ქართულ „თოვლში“ ეძებენ; აცნობს

მშობელ ხალხს რკინის მწარმოებელ ხალიბებს, პონტოს (შავი ზღვის) სანაპიროს ე. ი. კოლხურ ტომებს; ასწავნებს მითებს, რომელთაც რაღაც იდუმალებით მოცული კავშირი უნდა ჰქონდეს კოლხეთთან...

ვერგილიუსის „ბუკოლიკები“ ძალზე თვალსაჩინო ნაწარმოებია, ეკლოგებად იყოფა და დიალოგებისაგან შედგება. სულ შეიდას სამოცამდე სტრიქონია. ეს ის ეკლოგებია, რომელთაც მთელს შუა საუკუნეებში ბაძავდნენ დასავლეთ ევროპის პოეტები. ძალზე მნიშვნელოვანია პეტრარკას ეკლოგები და ამასთან დაკავშირებით გურამიშვილის ანალოგიური მრწამსი. ბუკოლიკური პოეზია მჭიდრო კავშირშია ერთის მხრივ საკუთარ სატრფიალო თავგადასავალთან (პეტრარკასი — ლაურასთან, გურამიშვილისა — უცნობ ლამაზთან), მეორე მხრივ პოეზიის, ბუნების მშვენიერების და ღმერთის თაყვანისცემასთან. ესაა თვით მიწის ძახილი, სამშობლოს ტყე-ველის სიყვარული, ცოლ-ქმრობისა და სპეტაკი ოჯახის შექმნით დაინტერესება. ამდენად ბუკოლიკური პოეზია იძენს დიდ სოციალურ მნიშვნელობას.

მოქმედება უმთავრესად მიმდინარეობს ტყეში, ველზე, მთებში, ყანებში. ამ ტყეს ვერგილიუსთანაც ხშირად მთავარი ფონის მნიშვნელობა ეძლევა. აქ ხდება შეყრა, აღფრთოვანება, დამღურება, სენტიმენტალური გასაუბრება, რაინდული თავგადასავლები... ესაა ოცნება ოქროს ხანაზე, ზღაპრულ არკადიაზე, და არსებითად ეს ერთნაირია ყველა დროისა და ხალხის ბუკოლიკურ პოეზიაში. ამავე სტილითაა შექმნილი ვერგილიუსის „ბუკოლიკები“, ბოკაჩოს რომანი — იდილია „კამეტო“, „ნეოპოლიტანელი ვერგილიუსის სანაზაროს „არკადია“, ესპანელ გარსილასო დე ლა ვეგას „ეკლოგები“, ესპანელი პოეტის ხორხე

ელგუჯა ვალრაჰ
გომეზა

დე-მონტემიორის იდილიური რომანი „დიანა“, ტასოს „ამინტა“ (მწყემსისა და ნიმფის სატრფიალო რომანი) ფრანგ კლემან მაროს სიმღერები თუ დიდი ინგლისელი პოეტის ედმუნდ სპენსერის „მწყემსური კალენდარი“, რომლის 12 ეკლოგს უდიდესი რეზონანსი ჰქონდა.

XVII საუკუნიდან ბუკოლიკური პოეზია მოდაში შევიდა გერმანიაში, საფრანგეთში და სხვა ქვეყნებში.

ვერგილიუსის, მეტადრე მისი ბუკოლიკური პოეზიისადმი მიბაძვამ თავისი გავრცელება ჰპოვა XVIII-XIX საუკუნეების რუსულ პოეზიაშიც, თუმცა იდილით ვატაცებას, იქაც, ისევე როგორც საქართველოში, რამდენადმე უფრო თვითმყოფი ხასიათი ჰქონდა. დასავლეთ ევროპის ძველი თუ ახალი იდილიური პოეზიის მსგავსება თუ ცალკეული შეხვედრები ცნობილია პანაფის, კრიაჟინის, სუმაროკოვის, დერჟავინის, ჟუკოვსკის, გენდინის, ტრედიაკოვსკის და ლომონოსოვის პოეზიაში.

ვერგილიუსის პირველ ეკლოგაში ასახულია აქ უკვე მოხსენიებული ავტობიოგრაფიული ამბავი: რომის მეზობლად მდებარე მიწები ოქტავიანემ თავის ერთგულ მოკავშირეებს დაურიგა. ვერგილიუსის მამაც უმიწაწყლოთ დარჩა, პოეტი რომს ჩავიდა და ჯერაც ჭაბუკმა იმპერატორმა მამამისს მიწა დაუბრუნა. პოეტი არ ახსენებს ოქტავიანეს, მაგრამ მას უძღვნის ეკლოგას, რომელშიაც საკუთარი თავი ტიტირის სახით გამოჰყავს. მეღობიერი ეუბნება ტიტირს: ყველა ტოვებს მშობლიურ კერას, შენ კი ტოტებგამოღლი წიფლის ქვეშ დაწოლილხარ და სალამურს ამღერებო. ტიტირი უპასუხებს: „ო, მეღობიერი, ეს სიმწვდევ მეღმერთმა მიბოძაო!“ (ღმერთს ეძახდნენ კეისარ ავგუსტ-ოქტავიანეს). მეღობიერი სევდიანი სახით მიერეკება თავის საქონელს უცხო მხარეში და მაინც არ შურს, უკვირს, როგორ უწყალო-

ბა იმპერატორმა სიმღერებისადგის მწერა ტიტირი მეზობელს. შინ ეპეტეცება; დარჩი დღეს ჩემთან, ხაჰოტა შეგნო მაქვს და ხილიცო.

დანარჩენი ეკლოგები ან საბაქრო საუბრებია მენალკესა და მოპსეს შორის, ან სოფლის იდილიის ქება-დიდება „ღმერთის სწორი პოეტის“ ქება, დაფნისის ხსენება, მითოლოგიური დეტალების გაელვება, სიცოლიის ბუნების შესხმა, პოეტური სტრიქონები დაფნისის სიკვდილსა და გაცოცხლებასზე, პირას ქვევზე, სატურნის სამეფოზე, კავაკიის არწივებზე, პრომეთეზე, ნიმფაზე, ტყეზე, ოქროს საუკუნეზე, რაც იყო და უნდა დაბრუნდეს; აქვეა ლიკიდის მერისის დიალოგი ქალაქსა და სოფელზე, მწველ სიყვარულზე, რასაც პოეტი უმღერის და თან ნელდა ნელდა ლეროებისაგან საფუღეს წნავს...

სოფლის ბუკოლიკური პოეზიის მთავარ ნიმუშთა თუნდაც ერთი თვალის გადავლებით ვრწმუნდებით, რომ თუმცა დავით გურამიშვილი მრავალ მათგანს იცნობდა, ერთი სტრიქონიც არ გვაძლევს საფუძველს ვილაპარაკოთ რაიმე თვალსაჩინო პარალელზე, დამთხვევის, ზეგავლენისა თუ მიბაძვის შესახებ. დავით გურამიშვილი დიდი პოეტური ინტუიციით მივიდა დამოუკიდებლად ამ თემის ასე ღრმად დამუშავებად და შექმნა მისი ნიმუშები, რომელთაც თავიანთი ეროვნულობით, უბრალოებით, დამაჯერებლობით ბევრი საქვეყნოდ ცნობილი ნაწარმოები ვერ შეედრება. მათი ღირსება ისიცაა, რომ არაა ვადატვირთული ზოგადი განყენებული მითოლოგიური სახელებითა და ცნებებით, რომელთა სიუხვე ჰემარიტად აძნელებს თვით ლეგენდარული დიდებით მოსილი ვერგილიუსის კითხვას, ამასთან „ქაცვია მწყემსის“ სარჩულიც უფრო მიწიერი, ბუნებრივი, ადამიანური; თუმცა ბუნების სტიქიათა ვაპროვნებას და ბრძოლას აქაც მითოლოგიის სამყაროში გადაყვართ, მაგრამ ესეც აქ მხოლოდ პოე-

ტური ხერხია, ჰიპერბოლიზაციაა იმი-
სა, რაც ბუნებაში ნამდვილად ხდება.

დ. გურამიშვილისათვის უთუოდ უცხო არაა ეპიკურული კოსმოგონია, ბაკის მხიარული მიმოსვლა, მწყემსუ-
რი პოეზიის ელემენტები, მუშების სა-
ვანის ამბავი, ბუკოლიკური პოეზიის
სიმბოლო-სალამური...

ახლა გავიხსენოთ ნებისმიერი სტრო-
ფი თუნდაც პოემიდან „სწავლა მოს-
წავლეთა“:

უნდა მხენლთა და მთესვლთა,
მწიღნელთა, გინა მბარავთა
მზის აღმოსვლითგან ჩასვლამდე
შიგ არ შეხედონ კარავთა,
ცხელის ოფლითა დამწვართა
ჩირდილთ ქვეშ მიუკარავთა,
რაც იმუშაონ, ჭამონ და
აჭამონ ქვეყნის მფარავთა.

ასევე სტროფი „მწყემსობა უნდა
სიფრთხილით“ და სხვა მრავალი...
ვინც ამის შემდეგ ვერგილიუსის „გე-
ორგიკებს“ გადაიკითხავს, დარწ-
მუნდება, რომ ორივე სულ სხვა-
დასხვა ეპოქის, ხალხის, ხასიათის
პოეტთა დამრიგებლური ლექსები,
სოფლის მეურნეთა საყურადღებოდ
დაწერილები, მაინც ერთნაირ სტილშია
დაწერილი. ერთნაირ შთაბეჭდილებას
ტოვებენ, მაგრამ ორი პოეტი ამ თემას
დამოუკიდებლად ამუშავებს. მაგალი-
თად, „გეორგიკების“ I წიგნის 43-50
სტრიქონებშიც ლაპარაკია იმაზე, რომ
ადრე გაზაფხულზევე, როცა თოვლი
დადნება, მხენლმა და მთესველმა
დაუყოვნებლივ უნდა დაიწყოს ბარვა,
ხენა, გუთანს მოჰკიდოს ხელი, ხარებს
უღელი დაადგას, სახნისი ააბრიალოს,
კვალი გაავლოს, რათა მერე ყანამ
სიუხვით უბასუხოს; არ უნდა მოისვენ-
ოს, გაარკვიოს ამინდი და ა. შ. ეს
ერთი და იგივე ამბებია, ოღონდ სხვადა-
სხვა სახით დამუშავებული, ვერგილიუსს
მთელი დიდი პოემა ასეთ ამბებზე აქვს
მიძღვნილი, გურამიშვილი კი გადადის
აგრეთვე იმაზე, როგორი უნდა იყოს
ხელმწიფე მიჯნური და ა. შ.

ამრიგად, რაიმე უშუალო კონკრე-
ტული სიტუეტური შეხვედრა ვერგე-
ლიუსის „სოფლური პოემებისა“
(„ბუკოლიკები“, „გეორგიკები“) დ.
გურამიშვილის ბუკოლიკურ თუ, სა-
ერთოდ, სოფლურ მოტივებს შორის არ
გვხვდება, მაგრამ უნივერსალური პოე-
ტური გაქანებით და შრომისაკენ მო-
წოდებით ეს ნაწარმოებები მაინც ერთ
დიდ მიზანს ემსახურებიან: მოუწოდე-
ბენ სახელმწიფოს, ხალხს, პატიოსანი
შრომისაკენ, ომების გმობისა და დე-
დამიწაზე სიკეთის დამკვიდრებისაკენ,
ორივე ადიდებს მოსავალს და მიწას —
მოსავლის დედას.

„გეორგიკები“ იშვიათად თუ მიაჩნ-
და ვინმეს „ბუკოლიკებისა“ და „ენეი-
დის“ შესადარ ნაწარმოებად, მაგრამ
მას ბაძადენენ გამოჩენილი პოეტები,
იციობდა შექსპირი, ასწავლიდნენ სკო-
ლებში, იყენებდნენ გამოუცდელი მი-
წის მუშების სახელმძღვანელოდ.

დ. გურამიშვილიც, მსგავსად ვერგი-
ლიუსისა, შრომის სუფევის, იდილიის,
საყოველთაო ჰარმონიის ოქროს ხანა-
ზე ოცნებობს.

თუ „გეორგიკების“ ავტორი კეის-
რის მეუფების, იტალიის დიდების
კლასიკურ დროში მოღვაწეობდა, და-
ვით გურამიშვილი ან უცხო ხალხისა-
გან გაპარტახებულ, ავაზაკთაგან აკლე-
ბულ მამულში ცხოვრობდა, ან შო-
რეულ ჩრდილოეთსა თუ დასავლეთში
ოცნებობდა სამშობლოს ხილვაზე,
რაც ბედმა არ აღირსა. ეს ძნელბედობა
ამაღლებს მისი პოეზიის მნიშვნელო-
ბას.

დ. გურამიშვილს ხომ მეტად ცოტა
დრო ჰქონდა იმისათვის, რომ „ტო-
ტებგამილ წიფლის ჩრდილში“ ეწე-
რა დამწვიდებით! იმპერატორს მის
მიმართ ხომ არ გამოუჩინია ისეთი
ზრუნვა, როგორც ოქტავიანემ გამოი-
ჩინა თავისი კარის პოეტისადმი, რო-
მელსაც მამული დაუბრუნა, და ერთ-

ელავჯაჲ მალრამა
გოდებაჲ

თავად პატივში ჰყავდა? გურამიშვილი კი ერთთავად ტყვეობაში, ბრძოლის ველზე, გაპარტახებული ადგილმამულისათვის ზრუნვასა და მამულის ხილვის ნატვრაში იყო. გურამიშვილმა მინც მოიპოვა თავისი გონითი ნაღვანით გამარჯვება.

სიბრძნისმეტყველი ღვალითი

„სარკის მზის შუქით ცილის ფიოდენ ქართველთაგან“.

ღვალით გზარამიშვილი.

ღვალითის სიბრძნე თამამად შეიძლება საანდაზო ხატოვან თქმად ვინმართთ. არსებითად ამას ყოველი ქართველი ხმარობს უკვე დიდი ხანია, და ხალხი არასოდეს შეძთხვევით არაფერს არ აკეთებს.

თვით „ღვალითიანია“ ამ სიბრძნის უშრეტო სალარო.

არა ყველა დიდი პოეტის შემოქმედებაში მოიპოვება ორი, თუნდაც ერთი ისეთი სტრიქონი, რაც ქვაკუთხედი იქნება მთელი მისი შემოქმედებისა; რაც ყოველი რიგითი მკითხველის ცნობიერებაში შეუფერხებლად ამოტივტივდება, როგორც კი ავტორს ახსენებენ; რაც მთელს ერს შეუსისხლხორცებია და სამუდამოდ დაუნერია გულის ფიცარზე.

დ. გურამიშვილის შემოქმედებაში ასეთი სტრიქონები მრავალია, აი თუნდაც ეს:

ისმინე, სწავლის მძებნელო,

მიჰყევ ღვალითის მცენებას:

ჭერ მწარე ჰამე, კვლავ ტაბილი,

თუ ეძებ გემოვნებასა...

ასე იწყება „ღვალითიანი“.

ამით ღვალითი თითქოს მოუწოდებს მკითხველს ყური მიაპყროს მთელს მის აღმზრდელით მოძღვრებას, აითვისოს ის იდეური მრწამსი, რაც მშვენიერ ლექსებში იქადაგა, რაც მთელი მისი შემოქმედების მიზეზი და მიზანი იყო.

„ღვალითიანის“ პირველსავე სტროფ-

ში პოეტი ტრადიციული წესით მიმართავს „უსჯულოთ მომქმედებულ ღმერთს, რომ „მიახვდინოს: წაიდოსა“ არ აქვანდეს ცუდად ცდომანი“, მერე კი იწყებს სიბრძნის სიტყვას, რაც ქართველთა მეგვარტომობას, სპა-ჯარსა და წყობას ეხება. აქაც იჩენს თავს გურამიშვილის საოცარი მოკრძალება, „ცუდი მოშიარის“ ბოლიში, ეკვი და იმედი, რომ სადაც ყველა მღერის იქ ალბათ მასაც ეთქმის ერთი ქართული. შოთა, თეიმურაზი, არჩილი, ვახტანგი, იაკობი, ბეგათბეგი, ნოდარი, ოთარი, ონანა, მამუკა — ყველანი „მღერენ და მეც ბანს შევაწყობ, დამგობენ ამაზე რასა?“ მართლაც კარგს საქმეზედა. მიბაძვა არა რა დასაძრახია. თუ პოეტი სიცრუისა და ცუდის მოზღაპრე არაა, სიბრძნეს ქადაგებს, ის სასარგებლო საქმეს აკეთებს, თუნდაც ცუდი მოშიარე იყოს. ამრიგად, ღვალითი მაღალ დანიშნულებას ზედაეს პოეზიაში, სწავლა — სიბრძნისა და სიკეთის ქადაგება მიიჩნია მის უპირველეს ვალად. და ისეთი მაღალი წარმოდგენისა მწერლობაზე, რომ თავი ძლივს ეღიბება გამოჩენილ ქართველ პოეტთა შორის გამოსაჩენად.

პოეტი არ მაღავს, რომ სწავლის ძიერი მწარეა, მაგრამ კენწეროში ვატყბილდების, და მაშინ იხარებს მწილნავი, ოდეს მოისთვლის მტევნებსაო.

სწავლა-აღზრდის და მასთან დაკავშირებით სიბრძნის დიდ საკაცობრიო საკითხს ღვალით გურამიშვილი ეხება ძირითადად „ქართველთა მეგვარტომობის იგავსა“ და ცნობილ ლექსში „სწავლა მოსწავლეთა“, მაგრამ ღვალითის სიბრძნე გაბნეულია მთელს „ღვალითიანში“.

გურამიშვილის პოეზიის ფართო დიაპაზონს ქმნიდა არა მარტო მისი ნიჭი და სიბრძნე, არამედ ცხოვრების დიდი გამოცდილებაც, მრავლის მნახველობა. სწორედ შენიშნავს დმიტრო კოსარიკი: „ღვალითიანის“ ავტორმა მოიარა ფართო გეოგრაფიული სივრცეები — გორისუბანი და მირგოროდი,



ლამისყანა და ზუბრკვა, თბილისი და კიევი, არაგვი, დნებარი და ოდერი, გორი და მოსკოვი, მცხეთა და პეტერბურგი, ზედაზნის გორაკები და ვოლგის ტალღები, კასპიისა და ბალტიის ზღვები, ირანი და პრუსია, ოსმალეთი და შვეცია, დაღესტანი და მაგდებურგი, დერბენდი და ხოთინი, ასტრახანი და კიუსტრინი, ცარიცინი და ბერლინი, კავკასიის მთები და კარბატები. დავით გურამიშვილი გახდა დიდი ისტორიული ამბების მოწმეც და მონაწილაც“.

დღეს წარმოდგენაც გვიჭირს, რა ძნელი იყო ამდენის ნახვა იმ დროისათვის! ამ წუთისოფლის უსწორმასწორო გზაზე გამოიწროთ, დადინჯდა და დაბრძენდა მგზნებარე ქართველი ქაბუჯი, „და ვით დაღამდა, ისე გათენდა“. გათენდა და ჩვენს თვალწინ გადაიშალა გურამიშვილის დიდი ცხოვრებისეული სიბრძნის ზღვა. რომლის ტალღების ლივლივი ერაფიანად ხიზლავს დიდსა და პატარას.

დავითი დიდი დიდაქტიკოსია, დიდი მორალისტი, და მისი რჩევა-დარიგებაც მიმართულია ახალგაზრდობისადმი: „ბერს გამოცდილთ არა ვკაცდრებ, მოგახსენებ ახალ ყრმათა“.

ამ მიზნით იწყებს თავის ვრცელ პოემას.

დიდი პოეტი — პედაგოგი მკითხველის საყვედურსაც თავმდაბლურად ითვალისწინებს: „თვით არ გაქვდა ზრდილობა“, ე. ი. არ მივიღია განათლება და ჩვენ რას გვასწავლისო.

ამაზე პოეტს მზალა აქვს მოხდენილი პასუხი.

უცოდინრობა ავია,
მაქვს ამის გამოცდილება,
ჩემსავით სიცხით ნუ იწყით,
მონახეთ ნიავ-ჩრდილობა.

ანალოგიური აზრი სხვაგანაც აქვს: „თუმცა ბრმა ვარ, კიდეც ვხედავ ქვეყნად ჩემგან უფრო ბრმათა“, და მათ არ მიჰბაძითო!

ალბრდას იწყებენ ბავშვის მორჩი-

ლებს; გაგონების, ღვთისადმი მოწიწების ჩანერგვის სულისკვეთებით. სიბერეში სწავლა ძნელია, ყმაწვილი უნდა განიწვართნას, ვიდრე დროა, და განიწვართნას მცოდნე, ბრძენ კეთილ ქრისტიანად.

დავითს სძავს მცონარა და უმეცარი. მისთვის „სწავლაზე ურჩი და მორცხვი“ თვალთ არ დასანახია“, უწვრთნელი შვილის ყოლას უწვრთნელი ძაღლის ყოლა სჯობს, ხოლო „ქკვის უკეთესი საქონლად არარა საქონელია“.

ეს აზრები სხვადასც მრავალს უთქვამს, მაგრამ თქმაც არის და თქმაც. როგორც „ლეკვი ლომისა სწორია“ შოთამ თქვა და აღმოსავლელ პოეტთა ყველა ანალოგიური თქმა დაჩრდილა, ისევე დავითი თავისი სადა, ნათელი და ღრმააზროვანი სტრიქონებით ჩრდილავს სხვა მთქმელებს.

პარალელების მაძიებელი იოლად გაიხსენებს მაგალითად არჩილ მეფის სიტყვებს:

სიბრძნეს ვერ სწორავს ვერარა,
არც ისე მოუხმარია,
მისი ნაყოფი ბევრია, ძირი აქვს არგამზარია,
სად წახვალ, თან გამოგვეყვებათ,
საგძალადც, მგონ, სახმარია,
სხვა დაგრჩება და ის არა,
გვერთ გახლავს ცათა კმარია

დაკვირვებული მოწაფეც მიხვდება, რომ აქ აზრობრივ ანალოგიებთან, თანაც ფორმისა და სტილის მსგავსებასთან გვაქვს საქმე. მაგრამ მოხდა, რომ ხალხს არ ახსოვს მეფე-მგოსნის სტრიქონები, უცხო ცის ქვეშ დაბერებული. და დასამარებელი დავითის სწავლა მოსწავლეთა კი ბავშვობიდანვე შეგვითვისებია და დღესაც გვახსოვს? აი, ესაა საიდუმლო იმ ქვეშაობრივი პოეტური გენიისა, რამაც გურამიშვილის სიტყვას უკვლავების ვიზა უბოძა.

მკვლევარები ბერს წერენ გურამიშვილის მსოფლმხედველობის ქრის-

ელგუჯა მადარბაძე
გოდება

ტიანულ-რელიგიურ ნიადაგზე, რაზე-
დაც არის აღმოცენებული მისი დიდაქ-
ტიკური პრინციპებიც. მაგრამ ეს მსჯე-
ლობა ძალზე მომაბეზრებელია. ცხა-
დია, გურამიშვილი ქრისტიანი პოეტი
და მას მამადიანური რელიგიის დოგ-
მებს ხომ არ იქადაგებდა! ვავიგეთ, ის
არაა მემამბოხე, ქრისტიანულ კდემას
ქადაგებს; მაგრამ ეს არ ამცირებს მისი
პოეზიის არც მხატვრულ, არც აღმზ-
რდელი მნიშვნელობას. თუ ის ყმა-
წვილს ასწავლის, „ხმა მოუღდალენ
ორღანოს, აზოყმაშიყად სტვენასა“, ით-
მინე და ისწავლო, ეს გარკვეულ
დრომდე საერთოდ გონივრული რჩევაა,
რასაც ყმაწვილებს ყოველი ბრძენი
მასწავლებელი აძლევს. ჯერ სწავლა,
მერე გავლაო, ხალხსაც უთქვამს.

სიტყვამ მოიტანა და ეკლესიის მსა-
ხურთა დეაწლზეც უნდა ვილაპარა-
კოთ. ბევრის თქმა არ გვინდა საკმა-
რისია გავიხსენოთ, რომ ქრისტიანული
ეკლესიის მსახურნი იყვნენ იაკობ ხუ-
ცესი, ათონელები, საბა ორბელიანი...
მონასტრის ბერი იყო, ახალგაზრდო-
ბაში ჯორდანი ბრუნო, ეკლესიის რე-
ფორმატორი იყო ლუთერი, რომელ-
მაც „ბიბლიის“ თარგმნით შექმნა
გერმანული კლასიკური პროზის ენა...
ქრისტიანობა ჩვენში იყო ეროვნული
დროშა, რომლითაც ამარცხებდნენ
ურჯულს, რომლისთვისაც ეწამა მრავ-
ალი მამულიშვილი. ქრისტიანობა იყო
გადამთიელი მომხდურებთან ბრძოლის
დროშა. წერა-კითხვა, მწიგნობრობა,
სიბრძნის სიტყვა, სასულიერო და საე-
რო მწერლობის მთელი საგანძური ამ
სარბიელზე იქმნებოდა, აქ ეყრებოდა
საფუძველი სწავლა-განათლებას. ერ-
თი ამბავია ეს და მეორე — ის სქო-
ლასტიკა, დოგმატიკა, ბნელეთის მო-
ციქულობა და სხვა მკაცრი სიტყვები,
რომელთა შემწეობითც რელიგიის
არსს ვამიშველებთ ხოლმე.

ამ თვალსაზრისით დღეს ნამდვილი
შეუგნებელი ჩამორჩენილობა და
ტლანჩი პროვინციალიზმია ეკლესია-
მონასტრებთან დაკავშირებული ძველი

მოღვაწეების ხელაღებით გამოცხადე-
ბა „რაქციონერებად“ და კლერიკა-
ლიზმის მსახურებად, რაც ზოგჯერ
სწავლულმა დღემდე კიდევ ვერ მოი-
შალა.

ასეთი უმცირებიდან ჩვენი საზოგა-
დოება შორსა დგას და ამიტომ არც
გურამიშვილის რელიგიურობა გვაძ-
ლევს საფუძველს ვილაპარაკოთ მის
ასკეტურ ფილოსოფიაზე და საზიანო
ტენდენციაზე. ასეთი გაგება დღეს ის-
ტორიის არქივში ინახება და დღის სი-
ნათლეზე აღარ უნდა გამოვიტანოთ.

არ შეიძლება ყველაფრის გადატანა
რელიგიურ ღირსებაზე. პოეტი „საღე-
თო სიბრძნის“ შესწავლას ითხოვს, მაგ-
რამ ბავშვმა ისიც უნდა იცოდეს, „ვინ
არის, სიღამ მოსულა, სად არის, წავე-
სადაო“, რომ უცოდინარობით საღამე
ხნარცეში არ ჩავარდეს. განა მხოლოდ
ტაძრის გზაზე, — წუთისოფლის მრუ-
ლე გზებზე სასიარულოდ ამზადებს და-
ვითი მოსწავლეთ? მისი სახელგანთქმუ-
ლი „სწავლა მოსწავლეთა“ დღესაც
ისეთივე უცვლელი სასკოლო ლექსია,
როგორც იყო ორასი წლის წინ. არც
დაკარგავს ის მნიშვნელობას, ვიდრე
არსებობს ადამიანი. სწავლაზე, ცოდ-
ნაზე დავითი ისე ლაპარაკობს, რო-
გორც განუსხვისებელ განძზე.

სწავლა სიკვდილზე შენა,
მუღამ შენთანა მყოფელი;
მას გეცილების ვერაინი,
არა არის გასაყოფელი;
სხვას ყველას მახე უგია, თავისა
გასაყოფელი;
თუ კაცსა ცოდნა არა აქვს,
გასტანჯავს წუთისოფელი.

იგივე აზრი მომდევნო სტროფში
სხვა სიტყვით მეორდება („ცოდნა თან
დასდევს მცოდნელსა, რაზომსაც დაე-
ტარების“) და ძლიერდება ახალი აზ-
რით:

ცოდნა თან დასდევს მცოდნელსა,
რაზომსაც დაეტარების,
აქვს უხილავი საუნჯე,
ხელი არ შეეკარების;
არც ცხადის ძალით წაერთმის,
არც მალვით მოიპარების,

ჰკუთვას უხმარ არს ბრძოლათვის,
ჰკავა ცოდნით მოიხმარების!

ეს ნიშნავს, რომ გაუწაფავი, ცოდნით შუქმოუფენელი ბუნებრივი ჰკუთვას და ნიჭი უსარგებლოა, გამოუსადეგარი, ან პოეტისვე სიტყვით რომ ვთქვათ,

ჰკავს უხორთუმო სპილოსა ჰკვიანი
კაცი ბრძოლათ!

ამას მოსდევს გურამიშვილისეული ვრცელი შედარებების რიგი, რაც თვალსაჩინოდ ნათელჰკყოფს ცოდნის სიკეთეს:

ვით უსაქურველოდ მამაცი,
ომშიგან გულად ლომობდეს,
გაციოვებელი გულბრაზად ეფხვი
უკლანჭოდ ომობდეს,
ვერ აღასრულოს საწალი, რაც ნებაეს,
მისთვის ღონობდეს, —
ვერეთ ჰკვიანი უწვრთნელი ვერ მიხვდეს,
რასაც ნლომობდეს.

პოეტი — განმანათლებელი ყველა ხერხს, შედარებას, საბუთს, ინტონაციასაც კი იყენებს სწავლის სადიდებლად:

ესძებნე და ვერა ვპოვერა მკობნი ამ სწავლა
მცნებისა...
ბრძენი სადაც არს, ღარჩების საუნჯე
თან ექნებისა.

„დავითიანის“ შესავალში პოეტი გარკვევით გამოთქვამს თავის მრწამსს ბავშვის აღზრდის საქმეში; პოეტი სიმკაცრის მომხრეა, ყმაწვილი ჰკუთვასში ჩადგება, მშობლებს გამოადგებათ:

ნუ გენადვლების სწავლაზე ყრმის წყების
ცემით კვილი,
მალ გამოთვლების უწამლოდ
მისი წყურბების ტკივილი
რა მოიზარდოს, მოყვინჩლდეს, მამლურებ
შექმნას ყვილი, —
უფთხილი, მისგან წყენითა არაზე შექმნა
ჩივილი.

პოეტი მშობლებს ურჩევს: „რაც არა ჰხამდეს ჩიორას, ნუ უყრი ასაკენკალადა“. მოსთხოვოს, ცემასაც არ დაერიდოს, თუ ყრმა არ ემორჩილება, თანაც ბიბლიას იმოწმებს: თუ აბრამმა თავისი ძე ისაკი დასაკლავად

გაიმეტა, შენ წრთენაზე ბავშვი გასაწყვეპლად როგორ არ გემეტებაო!

შემდეგ ლაპარაკია უწვრთნელ ძალზე: სახლშიაც არვინ შეუშვებს, ლუქმას არავინ აჰმევესო. აღამიანი კი... სჯობს ყოლა უწვრთნის ძაღლისა უწვრთნელის შვილის ყოლასაო. ეს დებულება ასეა დასაბუთებული:

პატრონსა ძაღლი უწვრთნელი მეტს ვერას
ჰკადრებს წყენასა:
ან პურს მოსტაცებს, ან ხორცსა
ან წყალს ამოჰკრავს ენასა;
მშობელთა შვილი უწვრთნელი აროდეს
მისცემს ლხენასა,
სულთა წარწყმენდას და ხორცთა
მიუთხრობს მით შერცხვენასა.

უსწავლელ ძაღლს ერთგვარი სარგებლობა მინც მოაქვს: სახლის გარშემო დარბის, ყეფს, ჰქურდს არ მოუშვებს, უსწავლელი შვილი კი „ღამით კარსაც არ მისჯარავს“, ჰქონებას გაანიალებს და ვერაფერს შექმნის, ხოლო „სიბერეში გაწბილდების, რიყ-ფაინის დრო გარდუა, ვეღარ გაჰკრავს, ჩაჰბილდების“. სწავლა კი ძნელია, მაგრამ ვინ არ იცის დავითის აფორიზმი:

სწავლის ძირი მწარე არის,
კენწეროში გატბილდების!

რა კუთხიდანაც არ უნდა მიუღდეს სწავლა-აღზრდის სავანს, დავითი ყველგან პოულობს შესაფერის სიბრძნის სიტყვას, აფორიზმს, ნათელ აზრს, რაც საუკუნის ნათელი გონებიდან გამოდის: აი, თუ კაცს ცოდნა არა აქვს, მარტო ბუნებრივი ჰკუთვას ვერაფერს უშველის.

ამოუწურავია დავითის ხატოვან შედარებათა სავანძური. ათასნაირი ხერხით ამტკიცებს სწავლის ანუ წვრთნის ღირსებას:

„ესძებნე და ვერა ვპოვე რა მკობნი ამ სწავლა-მცნებისაო, — განაგრძობს პოეტი. ბრძენი სადაც არ უნდა იყოს, საუნჯე თან ექნება, ჩემსავით თხოვნას არ დაიწყებსო.

ელგუჯა მაღრაძე
გომიბა

• აქ დავითი ნაირნაირი საქმიანობის ჩამოთვლაზე გადადის და არჩევანს მკითხველს უტოვებს.

ბრძენი სიტყვითა ღარჩების ოსტატი თავის ხელითა,
ხუცესი წირვით, ვაჰარი შორს წასვლით-
მოსვლით ძნელითა.
მოლაშქრე სისხლის ქვევითა,
მხენელი ოფლითა ცხელითა,
გლახა კარის — კარ ოხოვნითა, — შენა
გწაღს აწ რომელითა?

ამ „შვიდიოდ სარჩოს ძირობას“ პოეტი უმატებს კიდევ სამს: ხელმწიფობას, მწყემსობას და მიჯნურთა სურვილს. შენ რომელს აირჩევო? — ეკითხება მოსწავლეს. უცნაური კია, მაგრამ ამას მოსდევს ათივე „ხელობის“ აღწერილობა. ცხადია, ეს აღწერილობაც საინტერესოა იმით, რომ პოეტი თავისი საკუთარი თვალსაზრისით ახასიათებს ყველა ხელობას, ყველასაგან მოითხოვს თავისი საქმის ცოდნას, ერთგულებას, თავდადებას, სიმამაცეს, სამართლიანობას, პატიოსნობას და ა. შ. ბოლოს კი ბრძენს ახასიათებს: „აწ ბრძენი უნდა სოფელში ეგარეთ, ვით წმინდა ბერიო!“ დასკვნაც ბრძნულია:

ბრძენის ურიგო ქვევითა ბაჰით წახდების ბერიო!

ჯერ მწარის ჭამი. ჭირს ყოფა, ლხინში შესვლა, შრომა, გარჯა, სწავლის სრულყოფა და მერე განსვენება დავითის მოძღვრების ქვაკუთხედით, და ესაა ცხოვრების სიბრძნე.

ყველა ხელობა თავის ადგილზე კარგია და საჭირო, არავის არ ევატიება სიყალბე და ქედმაღლობა... და ისევ ბრძნული აფორიზმი:

სძელს ღმერთსა ამაბრძანება მეტადრე გლახა მწირისა.

ვისაც რა უნდა, ის აირჩიოს, ოღონდ სწავლა უნდა სიყრმეში, თორემ —

ვით ძნიად წნორი ბერ — ფუცი
ღაიგრიხების წნელადა.

აგრეთვე კაცი მსცოვანი განასწავლებას
ძნელად
დავითი მოსწავლეს ღროზე აფრთხილებს: სისულელეებით არ აავსო შენი ღამაში სული, მაგნე სიტყვას ნუ შეისმენო:

ალაბულათი ნუ ავსებ წმინდად
გარცხილსა მენასა,
გაგიჟირდების გარცხვა, შეიქ ოხვრას და
ქენასა;
იტყვი: „რა უყავ ჩემს თავსა, დიწყებ
კბილთა ღრჭენასა:
— დავით რომ კარგად მასწავლა, მე იგი
რასთვის მენასა?

ყმაწვილმა მრავალმხრივი განათლება უნდა მიიღოს, ქვეყნის ავ-კარგი ვაიგოს, ალღო აუღოს, რომ სადმე ხნაც ვეში არ ჩავარდეს. „ულაგმო და უსაღო“, არავინ გაკილოს და „არც სხვისგან ვაიკილოსა“.

მე თუ უსწავლელი ვარ, მით უფრო ვუქადაგებ სხვას სწავლას, რომ ჩემგებრ არ დაიჩაგროსო, მახვილგონივრულად შენიშნავს პოეტი, და მოხერხებულად ამონათებს სწავლის მძებნელს: თუ გნებავს სოლომონ ბრძენსაც ნუ მოუსმენ, „სიტყვა დამირთავს ნებისაო“. მომდევნო სტროფში ჩვეული მახვილი ირონიის მოშველიებით დასცინის უგნურსა და მოუაზრებელ ადამიანებს, ავსა და კარგს რომ ვერ არჩევენ და მშრალზე რჩებიან:

მინახავს ერთი პირუტყვი გორსა თუ
ახალგორსაო,
თავისთვის მუტრუქს აკეთებს,
სხვით კი უკეთებს ჭორასაო!

დავითის დარწმუნების მეთოდი თანმიმდევრული, მრავალწახნაგოვანი და რთულია. რუსთაველის ცნობილი აფორიზმიც გამოუყენებია სხვა ფორმით: კარგი მკურნალი სხვას არგებს, თავს ვერა, მეც ასე ვარ, თავს ვერ ვარგე, თქვენ გარგეთ და „ამით რათ მიზამთ ჯაჯასაო“ — ე. ი. რად მტანჯავთ, რად მემდურითო!

დავით ბუნებით მოკრძალებელი, თავმდაბალი პოეტი, შინაგანი ინტუიციით გრძნობს თავისი მოწოდების სიმალეს, თავისი სიბრძნის ძალას, პოეტურ მასშტაბებს, და სწორედ ბიბლიური დავითის უბრალოებით შეჰყავს საკუთარი თავი მსოფლოს სიბრძნის — მეტყველთა, წინასწარმეტყველთა, მასწავლებელ-დამრიგებელთა პლეადაში: „ისმინე, სწავლის მძებნელო, მიჰყევ დავითის მცნებასა“, „დავითის მცნება ისმინე, განაგე ვასაგონია“. „დავითს რაც უთქვამს, სწორია“...

მისი ზოგიერთი ლექსი თავიდან ბოლომდე გალექსილი აფორიზმების კრებულია. უბრალო და თითქოს ათასჯერ თქმულია ეს აზრები, მაგრამ პოეტური სინატიფისა და აფორისტული ლაკონიურობის წყალობით დამოუკიდებელი არსებობის უფლებას იძენენ: ტყვეობაში მყოფი დავითი ბიბლიურ სეხნადავით თხზავს სიბრძნის წიგნს:

სავარგონია, მგონია, ეს სიტყვა ვასაგონია;
ბაღ-წაღკოტისა მოქმედთა ია დასთესონ,
რგონ ია.
თუ სნეულებას უფთხოდე, ჰამე, სვი,
შესარგონია;
თავს გაუფრთხილდი, არ უყო საქმენი
ურიგონია...
დალივე საბრძნო წამალი დაღვარე
საშმაგონია...

შემდგომი ნაწილი ამ ლექსისა აფორიზმების კრიალოსანია:

ეს არ ჰორია, სწორია, რაც სიტყვა ვითხარ
ორია:
ქვად არა წმინდათ ცონარია, თქმულა,
კამენის სკორია;
უქმად ბერისა მკამელი გაუმადლარა
ლორია:
ყურ-მძიმე, ლაფში ჩაფლული ზანტი
ფლონო ჯორია
...ძალ-მოკლებულ არს მცონარი ვითა
მდინარე მდორია;
მზნებან, ვით ჩქარმან — წყარომან,
განხეთქოს მთა და ვორია;
მზნე იყავნ და განძლიერდი, დავითს რაც
უთქვამს, სწორია!

დავითი შეუკრიგებელი მტერია მზღალთა, ჯაბანთა, მუხთალთა, მოლა-

ლატთა, ზანტთა, უსაქმურთა, მეტყაზორებისა და გაუმადლრეზისა.

დავითი დიდი დიდაქტიკოსია. სოფლის სიმრუდემ, ეპოქის სისასტიკემ, გამწარებულმა ცხოვრებამ იგი რელიგიურ-მისტიკურ სამყაროში გადაისროლა, ოღონდ აქაც შერჩენია ჯანსაღი, პრაქტიკული აზროვნება, დაუბინდავი გონება, დიდაქტიკის მძლავრი იარაღი მოუმარჯვებია და როგორც გამოცდილი ბოცმანი მარჯველ ატარებს გემს, წყალქვეშა შეჩეჩებს არიდებს, ცდილობს გონივრული რჩევებითა და შეგონებებით შეუმსუბუქოს შიშის შევილებს ამქვეყნიური დარდი, გაარიდოს ხიფათს და შეგნებულად შეახვედროს ყველა ძნელბედობას.

აქედან მოდის გურამიშვილის, როგორც სიბრძნისმეტყველის მთელი დიდაქტიკური პოეზია, რასაც საფუძვლად დაედო მისი „სწავლა მოსწავლეთა“. ჩვენში ეს ნაწარმოები ბიბლიურ სოლომონის „იგავთა წიგნზე“ ნაკლებ ცნობილი როდი ყოფილა. ეს ლექსი ისე ოსტატურადაა დაწერილი, იმდენი სიბრძნე და უბრალოებაა შიგ ჩაქსოვილი, რომ დრო ვერას ავნებს, ყოველი დროისა და ასაკის ადამიანისათვის ერთნაირად სასიამოვნო საკითხავი იყო და იქნება.

გურამიშვილი დახელოვებულ მეჩუქურთმეს მოგვაგონებს, მისი უნარი სახეებით აზროვნებისა გვხიბლავს და გვაფიქრებს. გავიხსენოთ თუნდაც „დავითიანის“ დასაწყისი: პოეტმა „ხილად თქვა სიტყვა ღვთისა“ და „ცხოვრების წყაროს უხსენა ზე ცხოვრებისა დაღადი“. აი ამ ცხოვრების ხის დარში მოედინება მისი ცხოვრების წყარო, რათა ადამიანებს ასიამოვნოს და თანაც „ცრემლნი იდინონ ღვარადო“.

ეს იმ დროს ხდება, როცა ქართლს ქარი და ლეკი დაემტერა, „ვენახის ღვინო დაძვირდა“, პოეტი შთამომავ-

ელაგუჯა შალვაძე
გოდება

ლობას მაინც ტყბილ მაქარს უმზადებს. ასეთი ალალ მხენელ-მთესველს რა სარფა ექნება, რა დახლი დაუდგება, რას გამოიჩნება, მაგრამ მისი თანამემამულეები გახარებენ, ადვილად ავიწყლებს მისი ხელით დარგულ იავთ ხეზე“, ნაყოფს მოისთვლიან და შეერგებათ. ყველა მოვალეობა მძიმე და თავისებურად რთულია, მაგრამ ბრძენი სოფელში წმინდა ბერივით უნდა იყოს, ასწავლიდეს, ამალუბდეს ხალხის გონებას და თუ ის უღირსია, მისი „ბაძით წახდების ერი“. მკითხველს ნება ეძლევა მისი სწავლა-მცნებიდან აირჩიოს, რომელიც ნებავეს, პოეტს მისთვის დრო აღარა აქვს. საშური საქმე მაქვს დასამთავრებელი „ყმაწვილის ვალი ჰკილია“.

დავითის სიბრძნისმეტყველება მტკიცე კავშირშია მისი საერთო მრწამსის ქადაგებასთან, მკაცრი რეალიზმის პრინციპთან:

„მჭირს მე საქმე საციცხელი, ვერას ვითმენ გულფიცხელი“, — ესაა თავისებური აფორიზმი, რაც პრინციპული, სამართლიანი, ბუნებით კეთილშობილი და პირდაპირი ადამიანის დევნად გამოდგებოდა. ამ სიტყვებში დიდი სულიერი ტკივილი იფარება. კაცი ვერ ითმენს ძალადობას, უსამართლობას, ქვეყნის წახდენას, აშკარად ამბობს „გულფიცხელი“ და ეს პოეტს მრავალ უსიამოვნებას გადაჰკიდებს ხოლმე.

ხანდაზმულობით დაბრძენებული ჩვენი მკვლევარები გულისხმაყოფილი გურამიშვილის პოეზიის სიბრძნე და სიღრმე — სიბერის ბეჭედი აზი-თო ამ ლექსებს, თქვეს, მაგრამ მართა, სიბერით ვერ ავხსნით დავითის პოეზიის სიბრძნესა და სიღრმეს. ცხოვრებამ მეტად ადრე დასცადა ის, ცაცხლის კეკრი დაუბრიალა თავზე და ბუნებით ფიჭიანს აფორისტული მეტყველების ნიმუშები დააწერინა.

კარგ საქმეზე მიბაძვა „არა რა და-

საძრახია“. უწრთველი რეგენერაციის ვერ პოულობს, დედ-მამას აცრუნებს იწყველება, ლალას ლანძღავს. სწავლული კაცი წყნარია და მშვიდი, ბრძენი და გამგები. სწავლის გზა მძიმეა, მაგრამ ესაა ერთადერთი სწორი გზა.

საინტერესოა დავითის მსჯელობა ჰკუისა და ცოდნის; ბედისა და ჰკუის ურთიერთობის შესახებ. პირველზე უკვე ითქვა. მეორე საკითხს პოეტი ეხება თავში „საქონლის შეკრებისათვის“. მისი აზრით, ჰკუა პურია შესარგებელი, ცოდნა მარტილი დასაწებელი. ბედს აქებენ, და არ ვიცი, რა არის საქებელი. „ბედმა შეკრიბოს, ჰკუამ ფანტოს, მექნების რა სარგებელი?“ ეს მართლაც საგულისხმო კითხვაა. განა ცოტაა ისეთი, ნიჭით და ჯაფით რომ ბევრს შოულობს, მაგრამ ათას უსარგებლო წვრილმანზე ფანტავს და წინ ვერ წაუწევია?

პოეტი სამართლიანად უცხადებს ექვს ცვალებად ბედს, რაც წუთიერი ამბავია: „დღეს მომცემს, ხვალ კი წამართმევს, ამად არა მაქვს მინდობა“. თვალახვეული ქალის სახით დადის ბელი ხელის ცეცებით დაეძებს ქმარს, ვისაც ხელს მოჰკრავს ნახავს და აიყვანს, მერე კი თვალს გაახელს: თუ მოეწონა, დაიჭერს, თუ არა — დასცემს ძირსაო.

ცხოვრების სიბრძნის, გამოცდილების შეძენის ინტერესი ვისაც აქვს, ეს მსჯელობა ნამდვილად ღირსია აღტაცებისა და აქ ყოველივე ისევე მაღალ პოეტურ რანგშია აყვანილი, როგორც აღმოსავლეთის ბრძენ პოეტთა — საადის, ჰაფიზის, ჯამის და სხვათა ქმნილებებში მიმოფანტული ბრძნული აზრები და შეგონებანი ამოგვიკითხავს.

ბელი, ამრიგად, დროებითი, წარმავალი, მუხთალი თანამგზავარია. კაცი ჰკუით დარჩება, ჰკუა და ცოდნა საიმედო მეგზური ცხოვრების გზაზე, მხოლოდ ჰკუა უზრუნველყოფს მტკიცე და

ხანგრძლივ ბედნიერებას. აქ შემთხვევითობა გამოირიცხულია და ადამიანი თანდათან, გვეგმაზომიერად, დაყენებით, აღწევს წარმატებას, რაც მყარი და საამაყოა. ამიტომ გასაგებია:

ჰკეის უკეთესი საქონლად არაა საქონელი, მაგრამ თუ ნდომა გულს აბრამობს, არ ადვილ საშოვნელია...

ასეთი სიბრძნე პარალელს ხალხურ ზეპირსიტყვიერებაშიც პოულ ობს: „ეინც არასაჰირო ნივთს იყიდის, მალე საჰიროსაც გაყიდისო“, „თხა ვიყიდე. თხა გავყიდე, სარგებელი ვერა ვნახეო“. და სხვ.

პოეტი დიდ მნიშვნელობას აძლევს ნდობას, სურვილს, ტყუილ გატაცებას „ნდომა ბნელს ნათლად აჩვენებს“, „მხდალს გახდის მამაცად“. ნდომა სირცხვილს შეამთხვევს ადამიანს. მართლაც აწივების, იაფფასიანი სურვილის აყოლა ყოველ საქმეში მავნე და საზიანოა. მთავარია ჭკუა-გონება, შეერთებული ნებისყოფასთან, რომ ყოველ წვრილმან გატაცებას არ მიეცეს გასაქანი, ადამიანი ჩიხში არ მოექცეს.

ეს საქმე პოემაში გაუმძღვრობის ცნებასაც უკავშირდება. „თუ კაცი ნდომას მიჰყვება მიდღეში არ გამდიდრდება“, რადგან ღობე-ყორეს ედება, სიხარბე შეაცდენს, „როცა პატარას იშოვნის, მერე დიდს მიეკიდება“. ნდომა, სიხარბე კაცს სწორი გზიდან გადააცდენს, მხოლოდ თავის მოსაწონსა ცნობს, სხვას არას მოიწონებს, „ვარდის კონასა დაფუშავს. ენძელას დაიკონებსა“, ერთგულ მიჯნურს ზურგს აქცევს, წუთიერს შეიტკობს და შეისისხლხორცებს.

პოემის მრავალი გვერდი ერთიანი აფორისტული მდინარეა, სიბრძნის სიტყვის ნაკადია, და ეს მით უფრო კარგია, რომ პოეტური სიმალის წყალობით მოსაწყენი არაა, ყოველ ახალ სიტყვას ინტერესით ვეცნობით და ვუფიქრდებით. „საქონლის შეერებისათვის“ საგულისხმოა დავითის მორიგი მსჯელობაც ხარბ და უთავბოლო ადა-

მიანებზე, რომელნიც ლალატობენ სიბრძნეს, საქმეს, ოჯახს:

ერთს კიდევ ვიტყვი იგავსა, თქვენგნით
ღამერთვის თუ ნება:
ზოგს კაცსა საქლმად მოუჩანს თვისი
სიმყარლის სუნება;
რაგინდ ბევრს ავსა შერბობდეს, არა აქვს
მისი წუნება,
ხარკას გულ-ტბილად უყოვებს და ცოლს კი
გებუღუნება.

ეს სიბრძნე ბევრ მოხეტიალე, გარყვნილ ადამიანს გააწითლებს, თუ საერთოდ უსმენს სიბრძნისა და ბუნების ხმას და კითხულობს „დავითის მცნებას“.

სიბრძნის მეტყველმა დავითმა სხვაზე კარგად იცის, რომ „უგვანოდ დიდთა მძებნელსა მცირედიც დაეკარგების“, ამიტომ კრძალვით ამბობს თავის სათქმელს და თუ „მერანთ ჯოგში გარევენ, თუ შესძლო „გაჯაგვაგება“, ესეც წყალობად მიიჩნია, თუმცა არის მომენტები, როცა თავისი სილიადის შეგნება ფრთას შეასხამს „დავითის მცნებით“ ამყოფს, თავისი ძალისა სჯერა და სითამამით აცხადებს „ჩემს თეთრ თულუნს არვინ გაცვლის შენს შავს არაბზეო“.

„ქართლის ჭირი“ ისეა დამშვენებული აფორიზმებით, როგორც სამეფო გვირგვინი — ძვირფასი ქვებით; ყველა მდგომარეობის ადამიანი იპოვის აქ გულის პასუხს:

კაცს მართებს დაბლაც დახედვა,
რაგინდ მაღლამდის არისა.

შენ თუ შენს უფალს არ უსმენ,
ნურც შენს მონას ეჭვს შენასა.

იტყვიან, სარწმუნოებით პეტრეს იღლა
სკობდოა!

თავს ასეთზედ ნუ იხარებ, ბოლოს ინანდო,
ასეთს ნურას მოივარებ, რომ დასზიანდო.
ნუ ზვალ გზასა უკეთურსა, ნუ გარდიქაგეო
რაც გზა დავით წინ დაგიღვა, მაზედ აბიჯეო.
არც მომკალ, არც დამარჩინე,
მატარე ზერე — ქვერეო.

ელგუჯა მაღრაძე
გოვლება

... ამაღ შემძულდი, ყოფილხარ ცუდი.
 ამას ვწყინობ: ავნი ავსა თვით იქმენ და
 სხვას კი სძრახვენ.
 ბრძენის ურავოს ქცევითა ბაძით
 წახლების ერიო.
 გზასა, რომელსა ხვილოდ წინ დაიხედო,
 ერთი დრო არვის შერჩების,
 კარგი სოქვა გინდა ავია.
 ვახის მრგველთან ის არ აქო,
 გინც მის ნაცვლად ძეძვი დარგო.
 გინც რომ ძრახვას ჰსთავილობდეს,
 ნურასა იქმს საძრახავსა.
 ზოგს კაცსა საკლმად მიუჩანს,
 თვისი სიმყარლის სუნება.
 თქმულა: სიბრძნესთან სირვევენ,
 ვითა ცოცხალთან ჰვედარია.
 თუ რომ ავი არ ვაძაგო,
 კარგი როგორ უნდა ვაქო?
 თბილა თუ ცივა, ორივე მტკიავ.
 თვით კარგ — კაცობა არ ძალუძს,
 სხვისა შერს კარგი კაცობა.
 იყავ ერთი-ერთი, იწამე ღმერთი.
 განის აზბის სმენასა სჯობს ყურში თითის
 დაცობა.
 მე ამაღ ვტირი, არა გაქვს პირი.
 მოკვდა და თვისი ანდერძით აწ ისევ
 საქმობს მკვდარიო.
 მე ეს ხიდი საველლად დიახ სწორედ
 გავდო,
 შენ თუ მრუდედ გაივლი მე რა წყალში
 გვირდეთ?

მხნემ, ვით ჩქარმან წყარომან,
 განხეთქოს მთა და გორია.
 მე მტრად სხვანიც მყოფიან,
 ძმისა რადღა დავმტრედებო?
 ნეტარ არს, ვინცა ნაშრომი ნაყოფთა
 თვისთა ჰამოსა
 ნუ ვსურს ქალთ ჰმრობა შევ-თვალ-წარბისა,
 რომლისა გული სხვაგან წარბისა.
 ნამუსიანად მქცეველი ქალი არს მარგალიტი,
 ძვირფასი თვალი.
 რაზომცა ნათობ, სულ მუხანათობ
 სჯობს ტყუილით ქვე ყოფნასა
 ზე სიმართლით ავიბარგო,
 საძაგს საქმეს კაცს ვერ ვუქებ,
 კაცი კარგ საქმით იქება.
 სიტყვათ ანგულობს ემსგავსის,
 გულით კი ემზავ — ფლიდობსო.

სად მაღალი არსად იყოს, მუნ მდებარე
 ამადღვევებსა
 უგვანოდ დიდის მძებნელსა
 სტრატეგ
 დიეკარგების.
 ყველამ იცის, რომ ჯაბანს კაცს გულს
 უკლავს სხვის მიმცობა
 ცუდსა მეთევზეს შერჩება უბრალოდ.
 წყალთა მღვრევიანი.
 წაღმა ბრუნავმა დრო-ჟამმა უკულმა
 შექმნა ტრიალი.
 კაცმან უნდა სიწმინდით თავი
 შიანახოს,
 არაფერი ბოროტი გულს არ
 განიძრახოს,
 თვით ერიდოს საძრახავს, სხვასა არა
 სძრახოსა.
 ვით სწადს სხვამ არ უმარცხოს,
 თვით სხვას არ უმარცხოსა
 რაც თვით ეხსნას — ეთესოს ანუ
 დაეღარცხოსა.
 ის მოიძვოს, გაღწეოს, დაიფქოს და აცხოსა.
 უნდა კაცმან კეთილად სწავლა შეიარცხოსა,
 ათი მცნების სიტყვები გულში
 დაიმარხოსა.
 პოეტმა დავმო სიავე და სიკეთის
 გზაზე სვლა უანდერძა შთამომავლო-
 ბას: „ნუ ხეალ გზა უკეთურსა, ნუ გარ-
 დიქაჯეო! რაც გზა დავით წინ დაგიდო,
 მაზე აბიჯეო!“ ამავე აზრს ადასტუ-
 რებს აფორიზმი
 ავს ნუ იქმ და ავისგან,
 თქმულა, ნულარა გაქვს შიში.

„ქაცვია მწყემსში“ ბრძნულადაა და-
 ხასიათებული ერთგული და მოღალა-
 ტე ცოლები: ორგული ცოლი ქმარს
 ძილს დაუფრთხობს, ხოლო —
 თუ კაცს არა იქვს მართალი ძილი,
 სიკვდილი არის მოსთვის ღვიძილი;
 ვარდების გონებას, დაიწყებს ღონებას,
 წაიღებს ფიქრი.
 ამას შედეგად ის მოსდევს, რომ:
 ჯაგრი უღროთ კაცს დანაბერებს,
 ასეთს ლახვარსა გულს დანაძებერებს
 მასაც არ აჯერებს, მოკლავს, არ აბერებს
 მეტი ნაღველი.
 მთლიანობა, პიროვნული სისრულე,
 ამასთან სრული სილაღე და სრული
 კმაყოფილებაა პოეტის იდეალი.

„თუ კაცს გული არა აქვს მთელი,
ცული მისთვის თვალთა ნათელი“.

კაცს ბევრი ფიქრი და ნაღველი აბე-
ჩივებს, ჩაგრავს, უღროოდ აბერებს:

სიბრძნე უღროოდ კაცს არ აბერებს,
თუ გულს მთლად აქვს, კიდევ ამღერებს.
თუ გულს რამ გწყინა, სატყენი ეტყინა
მალე მოკვდები,
თვალთ სიამოვნე არს ერთი წამი,
გულთ სიამოვნე — მრავალი წამი,
თვალთ ნამუშავენი არს ნაეშმავენი,
გონება ღვთისა.

სიხარბე — ჭირთა მსგავსია. თვალს
მოეწონება, გულს მოუნდება, კაცი
ვერ იშოვნის, ჭაგრს მისცემს გონე-
ბას, „წახედნეს თავსა“, თვალთა
ნდომამ ევა შეაცდინა. ეშმაკის რჩევა
ისმინა. ვიდრე ადამი ბრმა იყო ე. ი.
შემეცნების ხილი არ ჰქონდა ნაგემი,
უღარდელად ეძინა, მერე კი სულის
სიმშვიდე დაკარგა.

ღვთის ისევ ადამის და ევას მავა-
ლითი მოჰყავს. სიბრძნის ხის ნაყოფი
რომ ჰვამა, ადამმა შიში და სირცხვილი
იკრძნო, ღმერთს დაემალა, და რო-
გორც ბიბლიაშია:

უწოდა ღმერთმან: ადამ, ადამო!
სად დამალულხარ, აქ ჩვენთან გამო!
...ჰრქვა ღმერთმან ადამს: რად ხარ შეშველი?
ვინ გიხებრა შენა, რომ ხარ შეშველი?

ადამი ევამ შეაცდინა, ევა — გველ-
მა.

ღმერთმა გველს მუცლით ხოხვა დაა-
წყევლა, ადამის შთამომავალთა და
გველს შორის ბტრობა დააწესა... ცნო-
ბილი ბიბლიური ეპიზოდი ღვთისთა-
ვისი მოძღვრების დასადასტურებლად
აქვს გამოყენებული „ქაცვია მწყემს-
ში“. ქალი ქმარს უნდა უგონებდეს
და არა პირიქით, მაშინ არ მოხდება
ასეთი ამბებიო.

„ბრმა ცალთვალა ხარო, ეგეც არ

მისთხარო, რომლითაც ხედავ“,
ერჩეეს მამის ქაცვია მწყემსი: გრძელ
ნაწერს არავენ წაიკითხავს, მოკლედ
მითხარო.

ღვთისთაც აქვს მძიმე, ზოგჯერ ძნე-
ლად შესათვისებელი სტრიქონები.
მისი ლოცვები „ღვთის შესხმა პირ-
ველი“ „მოიქცა ღვით კაის სდაღვით“,
კისტრინის ომში ჭაობში ცხენითურთ
ჩაფლობის ამბავი, ხარებობის დღის შეს-
ხმა, ანბანთქებანი „ღვთისმშობლის
მიცვალების დღის შესხმა“, თავისის
ცოდვის მოგონება, „ობოლი“ „დიდე-
ბა შენდა, უფალო“, „ეშმაკეულთ ახო-
სა ანგელოზმან მნახოსა“ და სხვ.
ზოგიერთი თვალსაზრისით ვერა დვას
ღვთის სხვა ნაწარმოებთა დონეზე.

მაგრამ გამოჩაყლისები აქაც არის.
მაგალითად, სიტყვა ესე ღვთისა (აეეო,
მეო, ქალო, ქალთა-მზეო) საოცრად
მდიდარია სიბრძნის მარგალიტებით,
აფორიზმებით. მისი ძირითადი ნაწი-
ლი კი მაინც ისევ ბიბლიური თქმუ-
ლებაა: შექმნათა, ადამის და ევას ამ-
ბავი, მერე ისევ ავტობიოგრაფიული
დეტალებია, რჩევა და დარიგება...

ამრიგად, თვით იმ შაბლონურ
სტროფებშიც კი (აშექმნა უმრეტე,
უნაყოფო... 558-560 და სხვ.), გაიღ-
ვებს ხოლმე ავტორის მეტაფორიული
აზროვნების ძალა: „ნუ ენდობი, მო-
გატყუებს, ისარს ისვრის, შვილდს კი
მალავს“ და სხვ.).

სწავლა-განათლების მკვნიებარე ქა-
დაგება საერთო დაჭვეითებისა და სიბ-
ნელის საუკუნეებში — ეს იყო დიდი
პროგრესული. ნათელი მოვლენა, და
ის მომდინარეობდა პოეტის უკვდავი
გულიდან.

სვეგამწარებულმა ბრძენმა გურა-
მიშვილმა მხოლოდ ერთი შეცდომა
დაუშვა:

გაგრძელება იქნება



ოთარ მამფორიას 80 წელი შეუსრულდა.
 იგი არის მეტად საინტერესო შემოქმედი და ასევე მეტად მიზიდველი და გულთბილი ადამიანი. მისი ლექსების, საბავშვო ნაწარმოებების წამკითხველმა და მისი პიესების მნახველმა იცის თუ რა, წრფელი და მდიდარი სული აქვს ოთარ მამფორიას.
 უურნალო „ციცკარი“ უსურვებს მას დიდხანს სიცოცხლეს, ჭანბრთელობას და მრავალ ახალ შემოქმედებით წარმატებას.

შუალღის სიმღერა

არ მყოლია ღმერთი ქვეყნად
 ამ ზეცის და მიწის მეტი.
 ამ მთებიდან დამელგენთა
 ამირანის სისხლის წვეთი.
 მდელო — ვეფხის ტყავს ვადარე,
 ცა — ხოხობის ბრწყინვალეზას.
 გაზაფხული ნაბადივით
 მომასურეს მყინვარებმა.
 განთიადზე ავაჟღერე
 სალამური, მზე და გული.
 მამულისთვის გავაჭენე
 სიჭაბუკის ბედაური.
 შმაგი რაში შუალღისას
 გზაზე აღარ დამელოდა,
 ორმოცდაათ ზარის რეგვა
 ატყდა წელთა სამრეკლოდან.
 არწივებმა ძველი გემით
 ნასესხები დაიბრუნეს
 და წაიღეს ლაფვარდებში
 ნახევარი საუკუნე.
 მე მეგონა ჩინჩხლებს ყრიდა
 ჩემი ლექსის კვესაბედი.

თურმე არც კი ამომითქვამს
 სიყვარულის მესამედი.
 ნაპერწკლობაც არ მეღირსა
 ტატოს მერნის ნალებისა.
 ვერ შემიკრავს წყვილი რითმა
 ვაჟას ჩოხის დილივითა.
 ვერ გავლევწი, ჩემო მხარვე,
 თავთუხიან სიტყვის კალო.
 სიბრძნის კბილი მოვიცვალე,
 ვერ გააკურე სიბრძნის წყარო.
 მაგრამ მაინც თუ გიგალობ,
 ნულარ ჩამთვლი კადნიერად.
 აბა რა ვქნა, რა ვიღონო
 მშობლის კალთის მადლიერმა,
 და შა, უკვე თმებზე ჭირხლი
 მადვეს ღრუბლის ნაფლეთებად.
 მე კი არა, კლდიდან ჯიხვიც
 შენის ეშხით დაფეთდება.
 მაინც გიმღერ, თუმცა წლები
 შორს გარბიან თქარა-თქურით.
 თმებს ზამთარი რას დააკლებს,
 გულში ფეთქავს გაზაფხული.

გალაქანილი

ცისკარი ლურჯად
 ეღვრება თბილისს,
 ნათელი ათოვს
 მთაწმინდის კალთას,

კალმად მიბყრია
 მომავლის სხივი
 და საქართველოს
 სიმღერას ვქარგავ

მე უკვე ვხედავ:
ენტება შორით
ენგურის ტალღა
მამულის ცაზე
და ახალგადაგმულ
ფესვებში კოცნის
ალაზნის არხი
კახეთის ვაზებს.

ვხედავ ვარციხის
ვეება კაშხალს,
წინვალთან მბორგავ
არაგვის რაშსა.
მესმის იმ ღღეთა
მჭეხარე ტაში,
მარხვეს იმ ტყეთა
ფოთლების ვაშა .

ვხედავ ზღვა მიდანს,
აზიდულს ცამდე,
ქშენა მომესმის
აღვსილი ბეღლის,
ვხედავ ხრიოკზე
ბრდღვიალა ვარდებს.
ეწერის ნაცვლად
დახუნძლულ ხეხილს.

ვხედავ და მესმის
ყიჟინა ბრძოლის,
დამწარალ მიწაზე
სიცოცხლის ხმები.
დაზგასთან ბრდღვინვა
ხუთწლეულის ლომის
და მოძახილი
ჭალარა მთების.

ვხედავ კორტოხზე
დასადგმულ ოღუას,
აკვანში ჩვილს და
ბედნიერ დედას.
ვხედავ ფეხადგმულ
ეკლარის ლოდებს,
თვითონ მიდიან
ჩუქურთმისმჭრელთან.

ვხედავ იმ საპეკტაკლს,
გადამლილ ფარდას,
გინირის სახელი
ზეცამდე მიაქვს
და იმ ფუნჯს ვხედავ
კრწანისის კართან,
მტრედებს რომ ხატავს
და არა ტყვიას.

მესმის ღიღების
ზარები ჟღერენ,
მომავლის ძახილს
ბანს აძღვეს შრომა.
შორს მივაჭენებ
ქუთათურ მერნებს,
ჯავშნებად ვაღწობ
რუსთავის ფოლადს.

და საქართველოს
ელვარე ქედებს
ჩანგშემარტული
მარადის ვეტრფი.
ლექსებში ვწურავ
რქაწითლის მტევენებს
და ნაღდ სიმღერას
ვალვინებ თქვენთვის.

აკვანი და თოჯინა

ჩემს პატარა ნინოს

უცებ ზეცის გახსნას ჰგავდა
პირველ კბილის ამოსვლა.
და მაისის ია ვარდმაც
გერიტის ენით დაგლოცა.
მთვარემ ემხი მოაქუნა,
დაგაფრქვია მაღლიდან,
მზე კი სხივებს ბლუჯა-ბლუჯა
მაგ თვალებში გაყრიდა.

არტახებზე ჩამოიწნა
დილის ცვარ-მარგალიტი.
მე მეგონა მიწა იძრა,
როცა ფეხი აიდგი.
შეციებულ მარტის იებს
მოეფერე მორჩილად
და აკვანში შენს მაგიერ
ჩააწვინე თოჯინა.



დღეს — ენა მარცვალ-მარცვალ
 არ აკენკონ მერცხლებმა,
 დილით ადრე მათ დაასწარ,
 სიბრძნე ღვივის ლექსებად.
 შეიყვარე და დანებდი
 სიტყვას — სისხლით ნათესავს,
 მორეული ვარსკვლავები
 უფრო ახლოს გაკვესავს.

წლები მიტომ იფურცლება
 ყვავილების წიგნივით
 რომ დაგადგას ქართლის ძმებმა
 სიყვარულის გვირგვინი.
 და მომავლის ალიონზე
 მზეს შეხედო მორჩილად,
 ჩემს შვილიშვილს დაულოცო
 აკვანი და თოჯინა.

აპა, ეს გულიც...

სიცოცხლე ლექსით გაგფოთლე,
 მამულო, სულ შენ გისმენდი,
 ვერსად ვერ ვბოვე სამოთხე
 ამ მთებისა და მზის მეტი...
 მცირე ვთქვი ხოტბა საშენო,
 ხანი კი დიდი გასულა.
 აპა, ეს გულიც სამშობლოვ,
 მაგ სიყვარულის დასტურად.

უკვლავება

მომღერალ ჩანგის ბოლო სიმი
 როცა გაწყდება,
 სამი იმედი განათდება
 უკანასკნელად.
 იმედი ხალხის, სუნთქვა ლექსის,
 ალერსი ნიწის,
 ბოლოს ეს არი შთაგონება
 და მგოსნის ფიცი.
 ერთი მზე ჩადის და მეორე
 უმაღ ენთება,
 ოდეს ფხვიერი მიწა გულზე
 გადაეყრება.
 თუ საქართველოს ზეცის ეშხიც
 ღვართაფად მოდის,

ახალ ლექსივით იფურცლება
 სამარის ლოდი-
 ჭირისუფალი ცისარტყელაც
 მაშინ განდება,
 ოდეს დაიწყებს უკვლავება
 გამოსარჩლებას.
 ღედის გულივით გადისხნება
 მიწა მშობელი
 და სამარედან ამოხეთქავს
 საგალობელი...
 აპა, სიკვდილი რას დააკლებს
 ანთებულ მგოსანს,
 თუკი საფლავშიც არ თავდება
 მამულზე ლოცვა...



ლ მ ხ ვ ა

ხვალ რომ სამზუოს მზე ემზევება,
ხვალ რომ სიკეთეს დაუჩოქებს შიში ვეება,

ჩემო სამშობლო, კვლავ გისურვებ, გწყალობდეს ბედი,
შენმა სინათლემ ისევ შთანთქას მცირედ-მცირედი,

რქასანთლიანი კვლავ გასწევდეს გავსებულ ურმებს,
შენი სულგრძელობით, შენი მაღლით, შენი მარილით,

ღმერთმა შერისხოს ყველა მომურნე,
კვლავ შეგეწიოს შენ მზეთამზით მზე განბანილი.

1971

ნ მ ნ ა ს ნ მ რ მ ა

შენ რომ შეგიძლია, ის არ შეუძლია
არც მეორეს, არც მე, არც სხვას არავის...

მე რომ შემიძლია, ის არ შეგიძლიათ,
არც შენ, არც მეორეს, არც სხვას არავის...

მას რომ შეუძლია, ის არ შეგიძლია,
არც მე, არც შენ და არც სხვას არავის...

1971

ა რ ა გ ვ ი ღ ა ს ხ ვ ა ვ ი ნ მ ა

იქნებ ფშავისა სჯობია
ხევსურეთისა არაგვსა...
თქვენ ორთა დასავიწყებლად
არა ღონე მაქვს, არაგვსა...

ჩემთა უღაბხო ეჭვებსა
ორივე უნდა რეცხავდეთ,

დაბრუნდით შორიშორები
სიცოცხლედ გამომეცხადეთ,

როს შემოდგომა მიიტანს
ველური შვინდის გემოსა,
დაბრუნდით, ერთადერთობით
ეუწყეთ გარეშემოსა...

1960.

მზე ჩადიოდა და დასავლეთი
მეწამულ სიზმარს ჰგავდა.
იღგა მოხუცი ყოფნის კარებთან,
სიცოცხლის მუხას რგავდა,
იღგა მოხუცი მზით შენაფერი
თავადაც ხეებს ჰგავდა.

ახლოვდებოდა ღამის ნაპირი,
მიწას სიმშვიდით რთავდა,
მაგრამ იმ საზღვარს არავინ გრძნობდა

ასე, მოხუცის გარდა.
ელოდა, თითქოს რაღაცას თმობდა
და თმობა ღიმილს ჰგავდა.

დაღლილ ფრინველებს ცაში ნამყოფთა,
გაჯიბრებულებს ქართან,
სურდათ მუხაზე შემოსვენება
მოხუცის ყოფნის კართან.
იღგა მეწამულ ფერის მშვენება
დასასრულ-დასაბამთა...

1968.

ჭინვალი... თვალი დაღონებულა,
დაღონებულა ფიჭვი და ხელი...
ამ ნაუცბათევე საძმო სუფრაზე
მე მაგონდებით, არა, მე გხედავთ,
გურამ და ნოდარ...

აი, მოდიხართ ღამით ფშავიდან,
ზურგჩანთებს თქვენსას, ქორებს, ტანსაცმელს,
უცებ შემოაქვს დუქანში ქარის,
არაგვისა და მთების სურნელი.

თქვენ გინდათ მხოლოდ წყურვილის მოკვლა,
მაგრამ არა აქვს დახლიდარს ღული
და სტოვებთ დუქანს უხმოდ,
მაგრამ თავაზიანად...

მიწყდა ხმა მიძიმე ფეხსაცმელების...

გარინდებული შვეცქერი კედლებს,
უცხო კაცს, ვისმა შემოსვლამაც ჭრილობა გახსნა...
წითელი ღვინო... ძველი ხელადა...
ხინკლის ლანგარი მსუბუქი ორთქლით,
ქართული ყველი, მწვანილი და კეთილი პური...

ნეტავი, თქვენთან მაზიარა, ძმებო, პურმარილს,
ნეტავი, თქვენი გამაგონა ხმა ან ღუმელი, —
ანდა ეს წამიც გარდასულში ყოფილიყო,
მერე შეამზნა, — გიგონებდით-მეთქი იმ ღამეს,
რანი ხართ-მეთქი,
რომ უთქვენოდ ღუემას ვერა ვტებთ...

1969

თეთრი ოთახი, ფანჯრის სისველე,
ლარნაკში ფიჭვის ტოტი წახრილი...
შემოვირბენდი ათასში ერთხელ,
ხან იყო თოვლი, ხანაც აპრილი...

იქნებ ამიტომ გზაც გქონდა შორი,
ვინ აღარ შეხსნა მაგ გულის კარი,
ყველამ მოგტეხა ტოტები სწორი,
ყველამ წაიღო პატარა კვარი..

მე შენი გულის გვიან შევიტყვე,
იყო ათასჯერ დანაბიჯები,
მაგრამ შენ გქონდა სულში მთელი ტყე,
ტყე გამჭვირვალე, მაღალ ფიჭვების.

და დარჩი მარტო, ასე შიშველი,
თითქოს უიღბლო, თითქოს დაღლილი...
თეთრი ოთახი, ფანჯრის სისველე,
ლარნაკში ფიჭვის ტოტი წახრილი...

1955.

ცხოვრების სცენაზე დადგმული დრამა:

— მეოცე საუკუნე, თბილისი.

რუსთველის პროსპექტი,
დაჭიმული სულის სიმით.

მიედინება ჩვენი ცხოვრება,
ამ სიმის უნაზეს ქიმზე ქანაობს.

ცხოვრება, — წუხილი, ღიმილი, ლოდინი
და ყოველივე — ძველებურად ამაო.

ცხადად, მკაცრად, ღიმილით

მიაქვს დღეების სიჩქარეს

სულის ნაწილი, როგორც მოტეხილი რტოები

და რჩება მოტეხილი სიცოცხლის სამუდამო შეგრძნება...

თბილისურ ქაოსს,

თბილისურ ქარებს,

თბილისურ ღალატს,

დავიწყებას და გულგრილობას

აბათილებენ

სისადავით, პატიოსნებით,

თავდადებით და თავგანწირვით,

აბათილებენ

რადაც ლამაზის,

რადაცის წმინდის, კეთილშობილის ხილვით სავესე

თქვენი თვალები.

მდინარისფერი თვალები თქვენი

მომავონებენ შორეულ ველებს,

ჩამოშვებულებს თითქოსდა ციდან,

ველებს, ღვთისმშობლის ცრემლისგან სველებს.

მომავონებენ რადაც სიმღერას,

რძმელსაც დედა მღეროდა წინათ,

მერე კი სული მოკრძალებული
ღმერთს დაუბრუნა და მიიძინა.

მომავლებს ღრუბლიან დარებს,
მომავლებს ზაფხულის ეზოს,
სადაც ვტიროდით ან ვიცინოდით
სვებედნიერად და უმიზეზოდ.

და წყნარ ქუჩაზე, აპრილის თვეში
თეთრ ვკლესიას, უმწვიდეს რწმენას
მომავლებს გასაცარი
მდინარისფერი თვალები თქვენი.

1969

სიკვამლე

ჩიტმა ჰაერში გაიხმაურა,
გამოიდარებს.
ცა მავთულებით სველით, სავსეა.

მომავონდა, — ვისაც ვესაუბრე,
იგი ახლა ალბათ გზაზეა.

ეჭაც იწვიმებდა და გაივლიდა.
ალბათ, მაშინდელივით ნელნელა წვიმდა.
მაშინდელივით ასეთია დღე...

ჩიტის ხმაურმა ცა გადაწმინდა
და ბალახებზე უბრალოდ წვეს
ყვავილის წიკვლით გაჭრილი ზებრა.

ამ ოთახიდან მე ახლა გავალ.

1963.

მე მაქვს სიჩუმე,
მაქვს სიშორე და სიშორეში
მყავს ძაღლები;
იმათ თეთრი სიცხადე და თოვლი და ღამე
არ ასვენებთ,
ღაფღაფებენ,
ღამის რტოებს ეკამათებიან.

მეგობართ ჩემო, დაღლილო,
წასულხარ ჩუმაღ...

ნეტავ თუ სადმე გიხარია,
თუ აღარ გაგონდება, რაც გაწუხებდა...
ვარსკვლავებით რომ ვთამაშობდით...

მოგწვინდა და მომაცარე...

მეც შეპნევა და ვღონდები, —
თოვლზე შეპნევა ვარსკვლავები,
აღარც ერთი აღარა მაქვს,
მხოლოდ, სიშორეში
ძაღლებია და ღაფღაფებენ.

ასე მგონია,
ფიქრი გამოვიდა თეთრ სიცხადეში
და უსახოდ შესაუბრება...
ისიც,

ვინც ფიჭვებში თავისი ფიჭვი დამანახვად
და ჩუმად სთქვა,
რომ თვითონაც თოვლის შვილია,
ისიც წაივინდა...

ეგრანულ სასაფლაოზე

ვერ ვიცილებ გონებიდან
იმ სევდიან სამზერს:
ებრაული ვარსკვლავები
ქიზით — სამი სამზე;
ებრაული საფლავები, —
აკლდამები ცალი,
იქვე „ირის იბერიკა“
ჰყვავის ლურჯი ალით.

ქვას ამოჰკვეთს ებრაელი
კეთილადნაჯ ასოს,
ჩემთვის უცნობ სიტყვათ წყობილს

ცნობილ სევდას აქსოვს.
აქ ცხოვრება კვლავ: ინებებს
ამგვარად და ამას,
სტირის ქალი ერთგულ ვაჟკაცს
და ოჯახის მამას...

იასამანთ ფერად ღრუბელს
სცვივა ნათლის წვეთი,
ქვევს კი ძველი შვეგონებით
მიჰკვეთს ფიქრის კვეთი...
და განაგებს ამ გაზაფხულს
ყველა ღმერთის ღმერთი!

იმ ჯაფხულს

ნაწვიმარ ბილიკზე წითელი ფოთლები
უკუღმა ყრია და ფიქრივით ანთია,
წეროს ფეხებივით ნატიფ ბამბუკებში
ვრილი ნიაგები თამამად დადიან.

ჩინურ კვიპაროსზე ვარდისფერ ჩიტუნას
ერთი რტო მოსწონს და ხმამაღლა უსტვენს,
არც ამ კვიპაროსთან ჩერდება ვინმე
და ამ მგალობელსაც არავინ უსმენს.



ხვალინდელი დღით

ამგვარად:

მე უნდა ვიარო წინ!
რადგანაც მეძახის სისხლი, რომელიც
მამულთ, დაღვრილა მერმისის წილ,
სისხლი — ზვარაკი უთვალავ ომების.

ცრემლო,
წუბილო,
ფერო,
მარილო!

ეს ჩვენი საწყისოც ხვალისკენ მიქრის, —
მიზნის ნამსხვრევი, ვით მარმარილო,
მკერდზე დამეცა და კრთება ფიქრი.
ახლა სიცხადე არის საჭირო,
გონების ძალით, არა განგებით,
გზათა გაგნება — ელვად გაჭრილო,
მართალი,

ნალდი ჩანგის ჰანგებით.
თხემზე ბრდღვიალებს,
იწვის შენი მზე,
აწიც გულმართლად იარე, წინ!
რახან შეგეძლო — კვლავაც შეიძელ
ყინვაა,
ქარია,
მზეა თუ წვიმს.
შევიძლია და...

(სიწმინდე გფარავდეს!)
ახლა მიზანი — დვრიცაა ეს ახლის,
გუშინდელ კრწანისელს,
დღევანდელ მარაბდელს,
ხვალინდელი დღის
ენგური გეძახის.



ოდნავ მწუთხე და მკვრივი
სევდა ჩააქრობს რტოებს,
ცაში წვეროთა მწკრივი,
როცა ყვილით გვტოვებს.
მაშინ მოწყენა ალობს,
ირთეება ყვითლად ჩერო, —
შენ ჩემო ნატვრისთვალო,
სუნთქევე და სისხლო ჩემო,
შენა ხარ ხსნა და ღმერთი
და ალესილი დანაც, —
სისხლის ყოველი წვეთი

შენთვის ძარღვებით დამაქვს.
ის არ ცივდება, ხანამ
დამაქვს ძარღვებით შენთვის, —
ჩემი არყოფნის სამანს,
იხსნის შენი მზის ღმერთი,
თუმცკი ერთი ვართ, მერვე
გვაქვს ერთი ბედისწერა,
შენს აღზევებულ ფერებს
მივემატები ფერად!
ჩემო სამშობლო — მიწავ!

გ ა ვ უ ვ რ ა

მქონდა ფრთები და...
მალლა, სულ მალლა
მივფრინავდი და თან მეშინოდა,
ოდნავი ჩქამის ან დაეჭვების:
— მართლა ფრთებია,
არ გაქრეს, ღმერთო!

მოირღვა ზეცა...

მეწვია ელდა,
მარგალიტები ჩამიქრა ფაზისს, —
რა უმიზეზოდ გეძახი დედა,
მაჟრუღლებს თბილი ცრემლები ვაზის.

ჩემს ეგრისს მივალ —
აპრილია საფლავი დედის...

გკითხულობ ჩემთვის:
— დმერთო, მე ვინ ვარ,
ამგვარი ბედის.

დადრეკილ დღეებს გადუფრენს ქორი,
კორცხელის გორაკს
ღრუბლის ჭვარტლი გალაქავს შავად,
აგუგუნდება მწუხარე ქორთ
და უფსკრულეში
საფეხურად

ჩაჭრილი

ჭავა.

თვალს გავაყოლებ ალიონის ტოტზე კონწიალს,
დანაკუწდება მწუხარ ღამის შავი ჩოხები..

და სევდის ტოტებს ტანზე მომჭრიან, —
ვიცი, ვაზსაც კი გამოსხლავენ ჩემი კოლხები.
შენ კი —

მეძახი უფრო და უფრო...

რაც გარბის წამი,
ახლოვდება შენთან მანძილი.

ნუ მიწყენ, თუკი

მე ლაქვარდი უარვყავ უღვთოდ,
რადგან მიწაში მეგულები ძვირფას განძივით.

... მოვდივარ ჯგრისს,
მსურს სიზმრები ვიხილო დედის!..

ეექ, განხეთქილების ვაშლო,

რამდენი გაგორეს,

რამდენი წელი,

ჩემამდეც რომ მოგიღწევია..

თვალნათლივ ვხედავ:

ჩემს წინ ბზინავს

შენი ლოყა ცეცხლმოდებული

და... ელამ თვალეზით

სულს მიწამლავს, ვიღაც მცონარი,

გულღრძო, მელოტი —

მეზობელი ჩემი კარისა

და იცოხნება ის ყოველდღე
შურსა და ჭორებს.
მაინც რატომ და
ვისთვის ხარობს
ხე ბოროტების,
ვერაჲინ მეტყვის?

●

ჩემო წუხილო,
მაზიარე ტკივილებს ბარემ:
ნამარანალი,
ნასახლკარი...
ამგვარად ვქრებით...
... ნიშანის წყლიან ნაჩლიქარში
აპრილის მთვარე,
ჩაყარდნილა და ერჩოლება
ჭვდილა რქებით.

იხუვ უღლისკენ გამწვევ ქედით
გიხძობს ლანდური,
შენ კი აქ დგახარ და...
უყურებ დრო, ვით საშლელი,
როგორ ყველაფერს შლის და... არის,
არის საშველიც!
ვინც არ იყო შენ:
მადლიერი თუ უმადური,

ვინ გკითხავს ნეტა,
სად მთავრდება შენი სადგური,
კალაპოტიდან სული დელავით როდის გადავა
აიღე ხელში ვინდა სკიპტრა,
ვინდა აგური,
ეს სულ ერთია,
ერთხელ ისხამს ნაყოფს ავავა!



ლენინის მავნებელი

კიდევ მრავალი მოვა და წაგა
წლები, ცხოვრების ფურცლად ქცეული.
ხომ შეიძლება ბალზამს და წამალს
ველარ გაუძლოს ბოლოს სხეულმა.

მაგრამ ეჭვი და მწარე ფიქრები
ჩამოსცილდება გულს მევსევულად,
რამე თუ ხალხის გული იქნება
დადი ლენინის მავნებელში.

გზის ოსტაზს

ექსკავატორი, როგორც ურჩხული,
მიწას დაჟანგულ კბილებით კორტნის
და ვეფერები ცრემლით, ჩურჩულით
დაფლეთილ ველს და დაგლეჯილ კორდებს.

დღევებიც, როგორც ექსკავატორი,
მიკორტნის სულს და ვივსები დარდით.
ჩემს ეჭვებსა და ჩემს სიმარტოვეს
ვეთამაშები, ვით დაბმულ ნადირს

სიცოცხლე უკვე გადაიფიქვა,
მე კი ვერ გაგჭერ ერთი ბილიკიც.
თვითონ არ ვიცი, რაღა ვიფიქრო,
გაგაღმერთო თუ გაგაქილიკო.

ისე უბრალოდ, ისე იოლად
გაგყავს გზები და არც გემშიმება, —
მე კი, მე ლამის გადამიყოლოს
გზებზე ფიქრმა და გზების ძიებამ.

შენ კი იოლად, შენ კი უბრალოდ
გაგყავს გზები და არც კი გაშინებს.
რომ შეიძლება გაქრეს უკვალოდ
ის ყველაფერი, რაც ააშენე.

მე კი გამწირა და გამიმეტა
ჩემმა ბედმა თუ ჩემმა განგებამ.
და სიზმარივით გამქრალ იმედებს
ვუმწერ შორიდან და ვითანგები.

ვრჩები საკუთარ ფიქრის ამარა,
სჩანს ამათა სულის ძახილიც,
და მიწა ჩემი წილი სამარის
მიახლოვდება მშვიერ ძაღლივით.

დუბლი-კადრი

ცერზე დგება სიჩუმე, გადაღება იწყება,
გადაღება იწყება... არის დუბლი მეათე.
სცენა და კინო-ლენტი ბრუნავს თავდავიწყებით
და დაღლილი არტისტი კვდება უკვე მეათედ...

ბოლოს ათი კადრიდან ეკრანს ერთი შერჩება,
დანარჩენი ცხრა დუბლი ბნელ სარგანში იყრება.
დაკარგული სახელიც ალბათ ასე ეჩვენება
სიჩუმეს და
ნელ-ნელა წლებს და ბალახს მიყვება

უსახელო მებრძოლებს გვანან დუბლი-კადრები,
მოჩანს ბნელი არქივი, მკვდარი ფირის სამარე-
საოცარი წუხილით და დარდით ვითანგები,
ვრჩები მწარე ფიქრების და ეჭვების ამარა...

ბრუნავს კინოლენტი და... დასასრული არა ჩანს.
არის შეცვლა დღეების, სურვილის და ქადილის.
ვინც ცხოვრების სცენაზე კარგად ვერ ითამაშა,
დავიწყების მტკერს მიაქვს დაწუნებულ კადრივით.

ისევ ძველი წუხილი, ძველი ეჭვი ისევ,
დღეები კი მიჰქრიან, დღეები კი გადიან.
ბრუნავს წუთისოფელი და სული ვერ ისვენებს,
ვაი, ჩემი სიცოცხლაც მგონი დუბლი-კადრია.



მოვაფრიალებ რიჟრაჟებით შეკერილ დროშას,
რომ გაღვიძებულ მანათობელს
შეეხვდეს ზეიმით.
მოვაშრიალებ გაზაფხულით ავსებულ ტყეებს,
რომ გამოქარულ
და ნაზამთრალ ხევში თუ მთებში
სიცოცხლის ხმაზე ახმიანდეს სიმწვანის ტვერი...
ჩვენი დღეებით
და ფიქრებით დაწნულ გვირგვინებს
მე ვადგამ მწვერვალს
სამერმისოდ მალლა აზიდულს
და ვხედავ შორით: —
ცისარტყელით მოხატულ გზებით,
ხან ნარვალებით,
ხაროებით, მინდვრებით, მთებით
ჩემი დროშისკენ ეს სამყარო
მოდის და მოდის!..
უფრო მალლა ვწევ
რიჟრაჟებით შეკერილ დროშას
და ვუფრთხილდები
მის სიწმინდეს, შეუვალობას...
წინასწარ ვიცი განჩინება მომავალ დროთა,
როცა ვუყურებ
ტრანსპარანტიტ მოფენილ ქუჩებს,
ოდეს უწყვეტად
და დაუთვლელ მწკრივად, რიგებად
მთელი მსოფლიო
ჩემსკენ მოდის, მოდის და მოდის!..

მოვაფრიალებ
რიჟრაჟებით შეკერილ დროშას.

ხეებმა ტოტზე გადაიწვინეს
ნათელი დილის მსუბუქი ტანი,
მადლით ციური შუქი ციმციმებს
და ნათლებიან გზანი და მთანი.
მოშორდა ღამის სიშავე ქუჩებს.
ვითარცა თოვლი ან როგორც ძილი

და მე დღეები მკიდია ზურგზე,
როგორც ხურჯინი — ხაფსე და მძიმე.
მოვაბიჯებ და შორით მოგძახი,
თან ბარათივით გიგზავნი ალერსს.
ჩვენს დედამიწას ერთი ოჯახიც
შეემატება ძალიან ვალე.



უცებ იგრძნო გულმა გული
და ხელეზმა — ხელეზმი.
რა უბრალოდ იყო თქმული:
„მოვალ, მოგეშველები!“..

თითქოს მყისვე ამიშენე
ოქროს კოშკი ზღაპრული...
არიგებდა გზაში ფერებს
მოჭიკჭიკე ზაფხული.

თითქოს ხევით ნაკადული
ამოსტომას ლამობდა.
ასი ჩანვი გამართული
ათას ხმაზე გალობდა.

რა კარგია თბილი სიტყვა,
ზოგჯერ თავს ვირჩევნია.
ახლა ყველაფერი მიყვარს,
ყველაფერი ჩემია!



სოფელი

დაუვიწყარო ჩემო ტკივილო,
ძარღვებში კოლხურ სისხლის თარჩიავ,
მტრედისფერო ცავ, მამლის ყივილით
ისევ თქვენ უნდა ვაღამარჩინოთ.

ვიწრო ბილიკზე მიდის ურემი,
ვალთბს ბულბული და იადონი,
ჭირი და ღვინი ასე უღვევი
და შენი თავის ბატონ-პატრონი.

დაუვიწყარო ჩემო ტკივილო,
ძარღვებში კოლხურ სისხლის თარჩიავ,
მტრედისფერო ცავ, მამლის ყივილით
ისევ თქვენ უნდა ვაღამარჩინოთ.

ღიმილივით გაფრინდა
ეგ ხალათი ჩითის,
ელექტრონის მავთულზე
შემომჯდარა ჩიტი.

სოფლის ბოლოს ანკესებს
კვლავ ისვრიან წყალში,
ხეზე აცოცებულა
პაწაწინა პაეშვი.

ყველაფერი თავიდან
მეჩვენება დაღლილს...
ჩემი ძველი გზო და
ჩემი ძველი სახლი.

ღიმილივით გაფრინდა
ეგ ხალათი ჩითის,
ელექტრონის მავთულზე
შემომჯდარა ჩიტი.



ჯეშალ ლაქლიანიძე

ს ა ს წ ო რ ი

ჩემს დანახვაზე წესთესავებმა ტირილს მოუშატეს. ბაბოს ზავილა ხმა ყრმობის დროინდელ რომელიდაც ეპიზოდს ახსენებდა ვულხედაკრეფილ პაპაჩემსა და ირგვლივ მყოფთ. თეთრი პაპა უფრო თეთრი იყო და გამხდარი. მასთან უქანასკნელი შეხვედრა ვედარ მოვიგონე, ძველი ფოტოსურათი აფარფატდა მხოლოდ... კიბეზე იჯდა, ერთ ხელში მე ვეპირე, მეორეში ჩემი ძმა. ზოლიანი შარვლები გვეცვა და უკბილო პირებით ვიცინოდით. პაპაც იცინოდა. მაშინაც თეთრი იყო. მერე, ჭირსუფლების ყურადღება ქალაქიდან ჩამოსულმა სტუმრებმა მიიპყრეს. აივანზეც სტუმრები იყვნენ, ეზოშიც და გზაზეც. უფრო დაბლა, ბაღში, — პატარა ბიჭები თამაშობდა, ჩემი ბიძაშვილიც იქ იყო... პაპაჩემის აღარ ყოფნა, ამითი გამოწვეული მწუხარება და იმ ბავშვების სიხარული ცალკე ავიტაცე, გონებაში მეყვსეულად გამართულ სასწორზე დავალაგე, ერთად შევკარი, ჭრელი გორგალი ავახვიე და რაღაცადიდი დასკვნის გამოტანა ვცადე, მაგრამ ყველაფერი ისევ განცალკევებული დარჩა... ვილაცხები მისამძიმებდნენ, — იმათაც სწყენიათ; — პაპა თბილი კაცი იყო, — უხვარდათ. ეზოში რომ

ჩამოვედი, ფერდობზე გაკვალთული რამდენიმე ბაქანი წარმომიდგა მაღლიდან. იმ ოთახიდან იწყებოდა, საღაც პაპა იწვა. იქ ყველას სახე ჭკონდა ტირილით დასიებული. მერე აივანი მოსდევდა, — აქ ჩურჩულითა და მორიდებით ლაპარაკობდნენ... ეზოში მაგიდები დაჭკონდათ: ჭურჭელს აწყობდნენ, ხმამალა საუბრობდნენ. აქა-იქ ზუმრობდნენ, სიცილს ყელში იჩრიდნენ და შიგნითვე იცინოდნენ... გზაზე მიდი-მოდიოდნენ, რალაცეებს დაარბენინებდნენ, ვილაცხები ხედებოდნენ და ემშვიდობებოდნენ ერთმანეთს. აქ უკვე სახის ყველა ნაწილით იცინოდნენ, კბილებითა და ტუჩებით... სულ ბოლო ბაქანზე, — ბაღში ყრიაშული დავგორავდა, ბაღლები ავჭალულს კენწლიდნენ. ერთი, ორი, სამი... ქანაობდნენ ფეხები მაღლა-დაბლა... მერე მოგებული, ფეხით შორს ისროდა ხორბლით გამოტენილ ნაჭრის ბურთს და აწიაწებდა წაგებულს... მოზრდილებმა ყურადღება მიაქციეს მათ ჟივილს რამდენჯერამე, — ჯერ არა უთხრეს რა, მაგრამ როცა ხმალობა დაიწყეს და ხმას უფრო აუწყეს, — ერთი აყლაყულა ბიჭი ჩაგზავნეს, — უთხარი მოსწყინდენ იქიდანო. იმანაც სერიოზულად ჩაიწყო ჯი-



ბებში ხელები და ჩქარი ნაბიჯით გაეშურა მათკენ. ჩემს ბიძაშვილთან მივიდა პირდაპირ, პატარა ვარაზთან, მხარში ჩაავლო ხელი, შემოაბრუნა და სინანულშეპარული დაცინვით უთხრა: — პაპაშენი მოკვდა, რა გიხარიან... ახა, აიცილებთ აქედან!

ვარაზმა უცხად ჩამოყარა მხრები. მოსაქნევად შემზადებული ჯოხი დაუშვა, ბალღური აღლევებით გაფართოებული თვლები დაუეწიროვდა და ნელ-ნელა სისველით აუციმციმდა. ფრთხილად გადადგა ნაბიჯი, — ზედ მიადგა. — ვიცი... სათქმელი თავათვე დარჩა. ყელში ჩაბლანდული ნასკვი ცხვირთან შეეკრა, — სხვისი თვლებით დანახული საკუთარი ნაღველი თუ ეტკინა. მომეჩვენა — ჯოხი უნდოდა დაერტყა წინ აყუდებულ ბიჭისათვის, — თითქოს ოდნავ დაიძაგრა კიდევ. ცხვირთან განასკვეული მხერა მოავლო ბიჭებს. მერე ზემოთ, პატარა ჯგუფებად გაჰნულ

ხალსს. შემოტრიალდა, მოსწყდა ადგილიდან, თავქვე დაეშვა — გაიქცა შეშინებული ბიჭების გაკვირვებით გუნდავებული მშრალი თვალყური გაიყოლა თან...

აყლაყულა კმაყოფილი ამოდირდა ქვემოდან. გზაზე ისევ ემშვიდობებოდნენ და ხედებოდნენ დამწუხრებული აღამიანები... ეზოშიც ხმადაბლა საუბრობდნენ და წინანდებურად დაარბენინებდნენ რაღაცეებს... აივანზე რამდენიმე დანალვლიანებული ნაცნობი სახე მომიახლოვდა, — მომისამჩიმრეს. ოთახში პაპას დანახვაზე, ძველი ფოტოსურათი გამახსენდა ხელახლა, ის სასწორიც გაჩნდა საიდანღაც, ზედ აუარებელი საგნები დააცვივდა. ბოლოს ყველაფერი ნელ-ნელა შემსუბუქდა, გაბუნდოვნდა, თეთრად გადაიღვარა და ჩემი ბიძაშვილის ერთადერთი მოგუდული სიტყვა დარჩა — „ვიცი...“

თეთრი წუსილი

იმ საწოლზე ვიჯექი, რომელზედაც დავიბადე. ხვალ ჩემი დაბადების დღეა. განვლილი წლებიდან ამოფხრეწილ ცხოვრების მაფლტოების დავკერას, ერთად შეეკრასა და გაყინვას ვცდილობ. ახლა იმ საწოლზე, რომელზედაც დავიბადე, პაპაჩემის დამდნარი სითეთრე მიღეულა. არაფერი სტკივა. უბრალოდ, დაბერდა.

წელან თვალი მივაშტერე მის დართვილულ სახეს. სიბერე შემეზიზნა — დამცირებდა, დაწიხვლა. არ მინდა... არც პაპაჩემს უნდა...

მგონია, ახლობელის გარდაცვალება გვიადვილებს იქით წასვლას. ეკვი შემეპარა, რომ ეს ასე უნდა ყოფილიყო. თუმცა, უეტესი იქნებოდა ამისი დაჯერება.

წუხელ იმ ოთახში მეძინა, სადაც ვავჩნდი. ყინულის ბაყაყები დამესიზმრა. ეს ბავშვობიდანვე აჩემებული ცივი სიზმარი, რომელიც ცუდად მაქვს

დაცდილი, შიშზე უფრო მაშინებს, ზემოთ მაგდებს და არაამქვეყნიურ სიბნელეში ახელილ მოძრაობაში მხვევს. სულ ორჯერ დამესიზმრნენ ისინი. პირველად ათი, თორმეტი წლისა ვიქნებოდი და მუცლის ტკივილებმა კინაღამ შემეიკლეს. მეორედ — ტუბერკულოზი შემეყარა.

ოთახი, სადაც დავიბადე, მახრჩობდა. ალბათ ასევე ვიხრჩობოდი აკვანში ხელფეხაკრული. — დღემდე ვერ ვიტან არტახებით გამოკრული ჩვილების ცქერას.

თოფს დავავლე ხელი და ბაღში ჩავედი. კატა გამოხტა სათონედან, ყირაზე გადავიდა და მიიმალა.

მარტოდ დარჩენისა მეშინია. სხვებსაც ეშინიათ მგონი, თანაც — ბევრს. ამიტომაც დადიან კინოში, რესტორნებში... ამას დასვენებას ეძახიან. მაშინ, ძილი რაღაა?

მეშინია თოვლზე დამჩნეული საკუ-

თარი ნაფეხურებისაც კი, რამდენიმე საათის შემდეგ გამოსვლის ზარი დაიწყო. რიალებს სკოლაში და ბავშვების ნაფეხურები წაშლიან მას, ბილიცი ისევ გზად იქცევა. მერე მე ამ გზაზე გავივლი და ჩემი ნაკვალევი აღარ დარჩება. ვიცოდი, რომ მეშინოდა; თანაც, არაფრისა, რაღაც არარაობაზე, გაფანტულ სირბილზე ვაგებოზდი. რამდენი ხანია, არაფერი ვამხარებია. ვიცოდი, რომ ავად ვიყავი. სიგიჟისა მეშინოდა. ბერძნები ამას ჰიპოხონდრიას ეძახდნენ, მაგრამ ისინი ვერაზას მშველედნენ თავიანთი ბრძნული განმარტებებით. მეშინოდა... ტელევიზორში ოდესღაც ნანახი რომელიღაც კინოს ნაწყვეტი მომაგონდა. იქვე გაჩნდა თვითმფრინავის ტურბინების ჩართვის წინ აღძრული ყრუ, ოდნავ შესამჩნევი წვილი, თბილისის აერომორტის ზედა ნაწილი, ჩამოხეული აფიშის წებოიანი ნარჩენი, ლამაზ გოგონას თვალწასული წინდა და კიდევ რაღაცეები. უამრავი რაღაცის კორიანტელი. დაღაგება ვერ შევძელი და ისევ შემიშინდა...

როცა ჩემი ბიძაშვილი დავმარხეთ, არ მეშინოდა. თემის კუბოც ჩემი მხრით მივიტანე ვაკის სასაფლაოზე. და კიდევ ბევრი რამ აღარ მაგონდება...

ხელი დამეწვა, თითები თოფის ლულაზე დამყინვოდა. არაფრად ჩავგაღდე. ნეტავ ამისი მეშინოდეს და იმისი კი — არა.

რამდენიმე დღეა, ენას ვერ ვატრიალებ პირში, ლიყიანივით. სიტყვებს თავს ვერ ვაბამ, ჩემს მოქცევაზე სხვების რეაგირებას ვაკვირდები. არაფერი უკვირთ — ჰქუაზე ვარ. ვეღარ მოვიგონე ჩემი წარსული. — ადრეც ასე ნაკუწებად არსებობდა თუ მთლიანი იყო. სკოლიდან აჩემებულ სიტყვები ჩამიძვრნენ ყურებში: „წერტილები, წერტილები და არც ერთი სწორი ხაზი“. ამისთვის კლასიდან გამაგდო მათემატიკის მასწავლებელმა. არ გამეღიმა ამის გახსენებაზე, არც ქვედა ტუჩი ჩამოშავარდა.

ბარდნიდა.

თითები ისევ მეწვოდა, თოვლის ფეხებივით არეულყო ყველაფერი. გახსენებასაც ვცდილობდი. ლი ადამიანები, მოჭედილი ცის ნატეხი, რამდენიმე ნახევარმთვარე, ჩემი ახლობლის ქოჩორი. რაღაც ნაწილები. ყველაფერი იწყებოდა და აღარ მთავრდებოდა. ეს ჩემი ავადმყოფობაა, მაგრამ უსასრულობაც არის. არდამთავრებულა დასაწყისით ვიყავი ცუდად. თემი მომაგონდა ისევ. მისი ჩაჭყლელი შუბლი ვეღარ მოვიშორე...

შოშიამ დაიწოინა გადაკაფულ თუთის ზეზე. გაყინულმა თითებმა და ჩანისლულმა აზრმა მოკლეს იგი. თოვლის ფეხებივით ჩამოვარდა. ფეხი ვერ მოვიცვალე. — იმ მანძილის მეშინოდა რაც ჩემი ტვინიდან გაყინულ ხელამდე იყო. თვალებიდან გამოდიოდა იგი, მრავალწერტილებად იმსხვრეოდა და წაფერფლილ შოშიასთან მთავრდებოდა. შოშია იქით აღარ იყო, აქ იყო. მაგრამ ეს არაფერს შველოდა მას. თეთრ თოვლზე პატარა შავი სხეული იდო და, როგორც მე შთამაგონეს, აღარ იყო. დანგრეული სათონის კედელზე დაღდე სულგამოცლილი ფრინველი. ვენება მომეძალა უმიზეზოდ. უფრო სწორად, წაჩხილი ნანგრევის ბრალი იყო. კირით ნაშენები მობრეცილი კედლები ჩუმად იღვნენ. ასევე ხმადაბლა ათოვდა მათ და ყოველგვ ეს შაკებს წარმოიდგენდა თვალწინ, თავიანთი ჰარამხანებით... სკოლაში ზარი დარეკეს. მომეწყინა. ამ თოვლიანი სოფელივით გამოვეკარიელდი, გამოვიფიტე და სხვაგან ყოფნა მომინდა. შორს, ტრამალეზში... თრიალეთის მთები ჩემსკენ მოექანებოდნენ, მახრჩობდნენ და იმ შოშიასავით გწრიალებდა, მოკლული თანამეგობრის შიშით რომ ჰახჰახებდა საღღაც გაღმა... ვცადე ციოსადმი ჩემი გრძნობა წარმოემდგინა. მუცლიდან იწყებოდა მთელი მისი სხეული, ერთდროულად ფერიც ელავდა წუთიერ კრთომავში. ამას ეწვნიოდა ვიღაცასთან მწოლიარე ციო, ჩვენი გაცნობის დროიდან მოყოლებუ-



ლი ცხოვრების აჩეხილი ნაფლეთები... რატომღაც ცალკე ჩანდა ცხვირი, შემდეგ თვალები, თმა... და ბოლოს, ჩემი სურვილი ყოველივეს თავიდან განმეორებისა.

ულულაზე. ფიქრთა სვლაც სიზმარში ნახი ყინულის ბაყაყებად ქცეულიყო. შოშიასთან გასრულებული თვალსაზრისით ხედდა თოვლის ფანტელზეთ იფანტებოდა. შოშია წაიფერფლა უკვე და, როგორც იტყვიან, — აღარ იყო..

წ ე რ ი ლ ი

მტყნარი სიჩუმის წივილმა გამიბრუნა ყურები. ბავშვობა გამახსენდა — მინდორში ჩასვეტილ, ფისით გათხუნულ ბოძებს მივყურადებდით ხოლმე და ვუსმენდით მავთულთა სიმღერას. მოგონება მალე გაქრა.

ბზუილი ვეღარ მოვიშორე. სიჩუმის ხმაური აუტანელ ბრავუნად იქცა. ბუზის ბზუილმა მოსვენება აღარ მომცა. ძებნა დავუწყე. ტახტის უკან გაბმულ თბობას ქსელში გაბლანდილიყო. მწერი სიკვდილის სიმღერას მღეროდა. თავდაყირა დაკიდული შავი თბობა ნელ-ნელა ეშვებოდა.

ასანთი ავიღე, ქსელით მოწნულ აბლაბუდა ტყაცა-ტყუცით ჩაიწვა. მიხსი გამგებელი მოიხრუჟა, დაპატარავდა და დანახშირდა. ბუზიც ჩაიწვა. თთახში ნატისუსალი დაბორიალდა. სარკმელი გამოვადე. რაღაც ძველი, მიხე-სებული, დიდი ხნის მივიწყებული სიხარული განვიცადე. ჩაცმა დავიწყებოდი, სარკვეში ჩავიხედე, ის სიხარული ისევ მიფერფლილ წარსულში ჩაიკარგა.

გარეთ გამოვედი. დილის სიცარიელე მაწუხებდა. ბინდბუნდად ქცეული მომავალი მტკიოდა. სიმსუბუქე გამოტილიყო საგნებზე. სიცოცხლე ისე მახსოვდა, როგორც შერჩენილი ტალახი, გუშინ რომ აგეკრო, წუხელ ვერ გაიწმინდე და დღეს ქუჩაში გამოხვედი.

გაცრეცალი დილა, გუშინ რომ ლექსი დავუწერე, დღეს მიილია და ნაცრისფრად იქცა. ტელეფონის წყრიალივით უგრძნობი ხმებით იესებოდა ჩემი სიცარიელე. ავტობუსში კინალამ ვიღაც უცნობს მივესალმე. დავცეკვი და სარკ-

მლისაკენ ვიბრუნე პირი. ვიღაცის მომცინარე სახე ამყვა ქუჩიდან. უცებ ხალხის ხმაური მიწყდა, სადღაც ჩაძვრა და ჩაიკარგა. მათი მოძრაობა და ტუჩების ცმაცუნე ვაიკუთხა, მუნჯური კინოს ჩარჩოვებში გაიბლანდა და უმისამართო ლელვად იქცა. აკვიატებული კითხვის ნიშანი გადაედო ყველაფერს და უჩინარი ძალის სიჩუმისაგან ატეხილმა ხმაურმა გამიწვილა თავის ქალაზე. ჩემი განუყრელი მაჯლაჯუნა შევიცანი. ცეკვით წამოვივინა, დაბზრიალდა, აუტანელი ყაყანი ჩაიხვია, მიმოფანტა და მხრებზე დამაწვა. შუშის ნამსხვრევებზე დაცემული კაცის ტკივილი აღვიქვი და გამაჟრიალა. სხეტლში გაბნეული მებენარა ფრუანტელი კბილებში დაგროვდა და კრიკა შემოიკრა. როცა ამის მიზეზს ვერ ჩაეწვდი, მომეწყინა. აღარაფერი მინდოდა. აღარც ის, რაც მაშინ გინდა, როცა არაფერი გასურს. არსაიდან წამოსული, შუშის ნამტვრევებზე ფესაცურებული კაცი დავინახე. მერე გამოვცარიელდი. შუშა და სისხლდაწინწყლული სხეტლი იქით გაცურდა, სადაც მანამდე იყო. მცირე ხნის შემდეგ ყველაფერი წინწყლებში მოექცა და აღისფრად შეფერადდა. უცებ ელექტრონივით გაკრთა კედის ძირში: „მე მოგონილი ვარ“. სამი სიტყვა სამზე მეტჯერ განმეორდა და წითლად შედედდა. მერე ავტობუსი ჩვეულებრივ მანქანად იქცა. სახლებმაც უწინდებური ფორმა მიიღეს. მოწყენა ნელ-ნელა გამომეცალა.

ავტობუსში ავარდნილ მტვრის გემოს ჩემს წინ მჯდომი ქალის სუნამოს სუნი ერთვოდა. გაუგებრობად ნაქცევი

ნახლართებით იქსოვებოდა დილა. განასკველ აზრთა ზრჩოლა ამ დილასავით უღიმღამო იყო.

იმ დედაკაცს შევაცქერდი... როცა ჩვენ სასურველ გოგონას დავეუფლებით, სიამაყით მივათვლით ზოლმე მას მახსოვრობაში აკინძულ სხვა დედაკაცთა რიცხვს. ეს მამაკაცთა უდიდესი სიარეგენია, რადგან ქალებმა ეს არ იციან. არ აინტერესებთ. სამაგიეროდ ისინი ცდილობენ დააწმუნონ საკუთარი თავი და სხვებიც, რომ ყოველი მამაკაცი, რომელიც კი ხანგრძლივად თავს დასტრიალებდა, გავიყვებით იყო შეყვარებული მასზე. ეს მამაკაცის სირეგენიზე ასმულ ქალთა ქარაფშუტობაა. გამოდის, რომ კაცები მხოლოდ რიცხვს აწარმოებენ, იმახსოვრებენ და ამაყობენ. ქალებს მამაკაცი კი არ აინტერესებთ, არამედ საკუთარი თავის მოტყუება უხარიათ, მერე კი ამაყობენ რეგენ მამაკაცთა (რომელნიც რიცხვს აწარმოებენ, თვლიან და ამაყობენ), სიყვარულით... და ბოლოს ჩვენ, კაცებს, წმირად გვებრალებს დაპყრობილი სილამაზე. ეს რბილი სილენჩეა, მოზელილი დოყლაპიობა და ცრემლიანი სიყუყუჩე.

ის ქალი ისევ-ისე იჯდა ჩემს წინ. თვლემდა, უცებ მომინდა, იგი ჩემი ყოფილიყო, ოჯახი გვქონოდა, ერთად გვეცხოვრა. ეს ის გრძნობაა, ხანდახან თვით ძლიერად შეყვარებულსაც რომ ჩაიჭერს წუთიერად... მერე კი, ასეთ

გოგონას ან რომელიმე ტროლიტის მოგტაცებს, ანდა, უბრალოდ, ჩვეთაწინა და წუთიერ აფეთქებას თვით, ვაჭარა სეტყვას მიაყრის, გააცივებს, ჩააქრობს და გაპყინავს.

ის მცინარე სახე, რომელიც პირველ გაჩერებაზე ამყვია, მხოლოდ ახლა ჩამომცილდა და ისევ მიფერფლილ წარსულში ჩაიკარგა. მომჩვენა, რომ რაღაც უნდა მომგონებოდა. ძველი, დიდი... თვალები ამიჭრელდა. რეტი მესხმის და მხატვება რაღაც შტრიხული, ბლანტად მოძრავი საგნები.

ისევ არაფერია. „ენის წვერზე მადგია“ გრძნობას ვილაცა ბურუსში ჰხვევს, ახშობს, აბნელებს და მართმევს. ავტობუსიდან ჩამოვედი. ლოლუები სწყდებიან შენობათა შვერილებს და ხმაურით ცვივიან. მალაზიის ვიტრინასთან შეეჩერდი. თევზის გახელილ, კრიალა თვალებს დავაცქერდი — გაყინული არსების სიცივე მოედინებოდა ჩემსკენ. შემოვბრუნდი. ჯიბიდან ფრთხილად ამოვიღე ხელი.

მუჭაში მოქცეული, ნაკუწებად ქცეული წერილი თოვლის ფანტელებად იქცა და მიმოიფანტა.

ტელეფონის გამომშრალ წკრიალსა ჰგავდა ამდილანდელი გაცრეცილი დღე. ქარი თეთრად უმღერდა გაყინულ გრძნობებს. თებერვლის თბილი ხველება აზრჩობდა ყინულის ლოლუებს და ცახცახით აფრიალებდა ყვითელ სიმშრალეს.

შ რ ე მ ი

ფერდობზე, რომელზედაც ურემი გადმოეკიდა, — გზა არ იყო. კოფოზე არავინ იჯდა. ქალებზე ლასტები ეკრა. კამჩები აჩქარებული მიდიოდნენ. მოლოდ ხანდახან შეანელებდნენ ნაბიჯს, ბალახის მოზრდილა ბლუჯას მოჰლოჯდნენ და თავის კანტურიითა და ცოხნით ისევ მიდიოდნენ. კონკილა ქანაობდა, — ხან წინ და უკან, ხანაც განდაგან... ჭრიალებდა, კოლბოხებს ედუ-

ბოდა, ბალახს ეგლასუნებოდა, მიწას ჩიჩქნიდა და მერე ისევ ქანაობდა წინ და უკან, — განდაგან. მზე ამოვიდა, — ურემს ჩრდილი წინ გაექცა. ეხლა ორი ურემი მიდიოდა: ერთი მიწაზე გაეკრა, წაგრძელდა, განახევრდა და უჩუმრად გასრიალდა; მეორე კონკილას აჭრიალებდა და ქანაობით მისდევდა. გზადაგზა ტოროლები ფრთხებოდნენ და მალა მიიწვედნენ. კუტკალიები და



რალაცა მწერები დახტოდნენ. გათელი-
ლი ბალახი რჩებოდა უკან და ურმის
ნავალს იმხნევდა.

მინდორი დიდი იყო. ყვავილებიანი
და ბალახიანი; ყვითლად ღვიოდა. სხვა-
ნაირი სიყვითლე დასდებოდა აქაურო-
ბას, აი ისეთი — მზე რომ უცნაურად
ჩადის და უღონო სხივებს მოაპნევს
ხოლმე მიდამოს. „მკვდრის მზეს“ ეძა-
ხიან ამნაირ მზეს.

ღღეს ამომავლი მზე, ჩამავალსა
ჰგავდა; თუმცა ბალახები და ყვავილე-
ბი ისევ ისე დარჩნენ. ტოროლებიც
უწინდებურად აღიოდნენ მაღლა...

კამეჩებმა რამდენჯერმე შეისვენეს.
სახარბიელო მცენარეს თუ მიაგნეს.
ხარბადა სკამდნენ, ყბები ტკაცუნებდა.
კონკილასავით განდაგან გადი-გამოდი-
ოდა. სადაც უკანასკნელად შედგნენ, —
ბალახისფრად მონეხვეს. მერე კუდები
დაატრიალეს, ფუნით ჩამოსვრილ ფე-
ხებზე გაიტკაცუნეს, ხარაბუზაც დაა-
ლეს ზედ და ისევ გასწიეს.

უკან, მოკმული ბალახი, ყვავილები
და თავმოდგმული კორკოტივით აფუე-
ბული სკორე დარჩა, რომელსაც უმაღ-
ვე ათასობით ქინქლა და აუარება უსა-
ხელო მწერი მიესია. საიდანაც ხოჭო-
ებიც გამოფუთფუდნენ, შიგ შეერივ-
ნენ, ამოიგანგლნენ, დაასორსოლავეს.
გაიტანეს და გამოიტანეს...

მინდორზე გზა არ იყო.
მზემ იაწია და ურემი მარტოდ დარ-
ჩა. კოფოზე ისევ არავინ იჯდა, ლასტე-

ბი ისევ ისე ეკრა ქალებზე და კონკო-
ლა წინანდებურად ქანაობდა წინ და
უკან, განდაგან; ჰორიზონტზე დაცე-
ვილი ღრუბლები გაკიდულიყვნენ
თხლად, ისინიც ყვითლები იყვნენ და
უწესრიგოდ მოხსულ მინდვრებსა ჰგავ-
დნენ... მერე ურემმა დაპატარაგება
დაიწყო და მალე აღარ იყო.

მინდორში, გაუთავებელი, თანაბარი
ზუზუნში ალესილი ყრუ ხმაური იღვა.
უტბად იმ ფერდობზე მეორე ურემი
გამოჩნდა. ჩარდახი ჰქონდა გადაფარე-
ბული. ბოლოლა ქალზე ჰრელი ბატკა-
ნი იყო თოკით გამობმული. კოფოზე კა-
ცი იჯდა, სახრე ეკირა და ხანგამოშვე-
ბით ყრუდ ებუტბუტებოდა ხარებს.
ხარებიც ბალახის ჰამითა და კუდების
ქნევით მოდიოდნენ. კონკილაც ქანაობ-
და წინ და უკან, განდაგან. ტოროლები
ფრთხებოდნენ და ზემოთ მიიწევდნენ
სიმღერით. ხარებმაც მონეხვეს სადაც
და ალბათ ისიც მწვანე იყო და კორ-
კოტივით თავმოდგმული. ქინქლები და
ხოჭოებიც გაუჩნდებოდნენ აუცილებ-
ლად. ბალახი თთელებოდა. კუდები ი-
ლაკნებოდნენ და ხარაბუზებს დასდევდ-
ნენ ხლართვითა და სისინით...

მინდორი დიდი იყო. გზა არ სჩანდა.
მერე ურემმა დაპატარაგება დაიწყო.
ახლა, ჩამავალი მზე ამომავალსა ჰგავდა.
ყვავილები უბრალოდ ყვითლები იყ-
ვნენ. ურემი მიდიოდა. კოფოზე კაცი
იჯდა. ხარები იცოხნებოდნენ. კონკილა
ისევ ქანაობდა წინ და უკან, განდაგან...

ლერი პარათალი

ბ რ ე ლ ი ბ ზ ა

ოთახში შემობრუნებულმა ქალმა
წვიმისგან დასველებული სახე პირსა-
ხოცით შეიმშრალა, უსიამოდ შეათვა-
ლიერა შეჭალარაგებული თმა სარკე-
ში და ნახევრადმთვლემარე ქმარს გა-
ხელა:

— ქალაქში მიდიან.
— ვინ, ქალო? — უინტერესოდ იკი-
თხა კაცმა.
— ეგენი, — უხერხულად გაიქნია
თავი, იგრძნო სახეზე როგორ წამო-
წითლდა, ამდენი ხნის დავაროვილი

ბოლმა თითქოს ერთბაშად მოაწვა ყელზე.

კაცმა იატაკზე მოფენილი ვაზეთები აკრიფა, ხენეშით წამოსწია ტახტიდან ქონმორეული ტანი და თავის თავში მტკიცედ დაჯერებული ადამიანის კილოთი თქვა:

— ცოლის ჰკუთხე რომ ივლის, მაგირა კაციას...

●
ქმარი წინ მიდიოდა, ხელში მძიმე ჩემოდანი ეჭირა და გვერდზე გადახრილი ფიგურა ისე სასაცილოდ აღიქმებოდა უკსიდან, ზინა ძლივს იკავებდა ტუჩზე მომდგარ ღიმილს. ოდნავ აკაპიწებული ფართო შარვალი და მის ქვემოთ გამოძვრთალი თეთრი, გამხდარი კანჭები, გამოუცნობი სევდით ავსებდა ქალის ათიშთიშებულ სხეულს. თითქოს შავი ბალნით დაფარული შიშველი კანი ხსოვნაში მინავლული ფიქრის ხელახალ გაღვიძებას ლამობდა და წამიერი ტკივილით გამოწვეული შეგრძნება წინ წასვლის საშუალებას არ აძლევდა...

— გამოადგი ფეხი... წავა მატარებელი! — კაცის ხმაში დაფარული სიბრაზე და რაღაცის მოლოდინით აღსავსე შიში გამოკითხოდა.

სადგურამდე ნახევარი საათის გზა ედოთ. მატარებელი იქ მხოლოდ ხუთ წუთს ჩერდებოდა და ვინაიდან ხალხი ყოველთვის საკმაოდ იყრიდა თავს, ასევე ჰქირდა. კაცი საერთოდ იშვიათად დადიოდა მატარებლთ, მით უმეტეს ქალაქში და ამდენად მგზავრობის აღიქვითი მასში ერთგვარ დაძაბულობას იწვევდა. თუ ცოლთან ერთად იყო, საოცარ უმწეობასა და უსუსურობას გრძნობდა. გამვლელთა სახეზე აღბეჭდილი იროსიული ღიმილი, რომელსაც რატომღაც ყოველთვის საკუთარ თავზე იღებდა, ყრუ ტკივილით ავსებდა აფორიაქებულ სულს და ზოგჯერ იმდენად განიცდიდა ქალისკენ მიმართულ უცხო მზერას, წამოიძახებდა:

— ზინა, მოიხედე... სად იყურებ? ქალი გუშანით გრძნობდა კაცის ხმაში დაფარულ წყენას და მოლოდინით დაძაბული სხეული ისეთნაირად მოუღუნდებოდა, პასუხის გაცემისაც ვერ ახერხებდა. პირველ ხანებში თვითუღი დაძაბება ისეთ უსიამო გრძნობას აღუძრავდა, რომ უჭირდა საკუთარი თავის დამორჩილება, თვალებგამტრებული იმდენ ხანს უყურებდა ქმარს, სანამ მოცაბცახე სხეულში ჩაღვრილი შიში არ გამოუწვევდებოდა... თითქოს ქალიც ხვდებოდა გამვლელთა სახეზე გამოძვრთალ ფიქრს და ეს უცხო მზერა რაღაც ხელშესახებ გრძნობად ესაღბუნებოდა თხელ, საზაფხულო კაბაში გამოჩვენებულ ტანს. რაღაცით გამოწვეული შიში და ჯერ კიდევ შეუცნობი სიტუბოთი შეზავებული მოლოდინი სულს უფარიაქებდა და იმ წუთში ელოდა ქმრის ხელახალ დაძაბებას:

— ზინა, მოიხედე... სად იყურებ? მაშინვე იმ თბილი საღამოს სურნელი წამოეშლებოდა გონებაში და წარმოუდგენელი სიცხადით აღსავსე სურათი თითქოს ხელახლა ლამობდა გაცოცხლებას... მაინც რა ძალა ჰქონდა მოსეირნე მამაკაცების ვნებით აღსავსე მზერას, ქალის თიფოველ ნაკვთს რომ ათვალეურებდნენ სხვისგან შეფარვით თუ მოურიდებელი, უხამსი სითამამით! ზინა გრძნობდა ამ სითამამის მიღმა არსებულ სულელურ აზრებს და სინდისის ქენჯნა სულში მაინც უტოვებდა მცირე სივრცეს, რომელიც თანდათან ივსებოდა რაღაც აზრიუწვდომი გრძნობით. თავდაპირველად თვითონაც უყვარდა თუ რატომ ხდებოდა ასე, მაგრამ მერედა მერე თავისი განყენებული არსებობის თუ სიმარტოვის დასაფარავად გამოგონილ უწყინარ თამაშად სთვლიდა ყოველივეს და ბავშვური ნებეურებით მინდობილი კიდევ უფრო მეტი სითამამითა და კეკლუცობით იძირებოდა მისთვის ჯერ კიდევ შეუცნობ საძყაროში.

„აი, ძმაო, ქალი!“ — არც ახსოვს პირველად სად ან ვისგან გაიგონა ეს სიტყვები, მაგრამ უეცრად აწეწილ სულში დაგუბებული ბოდმა, საღტესავით რომ შემოეჭდო მკერდზე და ხმის ამოდების უფლება ატ მისცა, ყოველ მოგონებაზე მთელი სიცხადით უფეთქავდა გონების რომელიღაც კუნჭულში. ცდილობდა, თვითონაც ისე მოქცეულიყო ქმართან, როგორც სხვები იქცეოდნენ; სხვებსავით თამამად ელაპარაკა ოჯახის ამბებსზე, ეკორავა მეზობლებზე, ეთხოვა ისეთი რაღაცის შესრულება, რასაც კეთილმოსურნე ოჯახის უფროსი ლამაზი მეუღლის შეხსენების გარეშეც მიხვდებოდა... მაგრამ ქმრის მოკუმულ ბაგეს, წვრილ, ცისფერ თვალებს და დაძარღვულ ხელებს რომ შეხედავდა, ყველაფრის სურვილი ეკარგებოდა. ზოგჯერ შწარე ტკივილი გაკეზვლავდა უსიამო განცდებით შეპყრობილ სხეულს, რადგან თავიდანვე შესისხლხორცებული გრძნობის დაღატად სთვლიდა ფიქრს იმაზე, უყვარდა თუ არა ქმარი...

ნელა მიუყვებოდა ატალახებულ გზას. ორივე მხარეს ჩარიგებული ოღა-სახ-ლები, სიძინდის ფოთლებზე აცემციმებული წვიმის წვეთები და კიშკრბთან მობორიანე ფერღამოგსებული ძროხები, რაღაც გამოუცნობი სევდით ავსებდა. ასე ეგონა, სამუდამოდ ტოვებდა აჭაურობას და ამ განცილით გამოწვეულ ტკივილს იმდენად ხელშესახებად გრძნობდა, რომ საღდაც შიგნიდან ამოსული ოხვრა წინ მიმავალი ქმრის სმენას მისწვდა. კაცმა მოიხედა. ზინამ თვალი აარიდა, ისეთი სახე მიიღო, თითქოს აქამდე, მთელი გზა, ღრუბლებში ჩამავალი მზის ყურებით ყოფილიყო გართული და სხვა საფიქრალი არაფერი ჰქონოდა. მაგრამ მაინც იგრძნო ქმრის გამქოლი მზერა, რომელიც დაფოკებელი ჟინით ცდილობდა სულის სიღრმეში ხელის მოფათურებას. და იმ დაფართული ფიქრების გაცხადებას, რა-

საც ქალი მხოლოდ თავის საკუთარებად თვლიდა. მერე მათ შორის მანძილი დევ უფრო გაიზარდა, ქალმა ერთგვარი შვება იგრძნო, დაძაბული კუნთები მოუღუნდა და სასიამოვნო მოთენთილობამ ისე მსუბუქად და შეუმჩნეველად შეისრუტა დაღლილი სხეულის თვითეული უჯრედი, რომ ზინამ თითქოს ერთი წუთით დაკარგა ფიზიკური არსებობის შეგრძნება... მაგრამ მხოლოდ ერთი წუთით; მაშინვე დაიძრა ცხელი, მიჩქეფარე ნაკადი და დაქსეპილი სისხლძარღვები საოცრად დაწმენდილმა, თბილმა სისხლმა აავსო.

● გონებაში ბუნდოვანად წამოუტივტივდა დღეები, რომლებიც დამუხტული იყო ფიქრითა და დაუსრულებელი შოლოდინით, რაც უქმარობის განცდას უტოვებდა და ქამიდან ქამამდე უფრო ატივხუთლად წიწწინდა თვითეულ სერვს. ის დღეები გამოსარჩევი და დასამახსოვრებელი იყო თუნდაც იმიტომ, რომ ყოველი საათი, ყოველი წუთი აახლოვებდა ახალ სიცოცხლესთან, რომელსაც მისი სხეულის შიგნით უნდა დაეწყო ფეთქვა და რომელიც ყველაზე საიშედო საფი იქნებოდა ქმარსა და ცოლს შორის. მაგრამ სწორედ ეს „მაგრამ“ ბადებდა მასში უსუსურობის ძეგრძქებას და ზოგჯერ თვითონვე რცხვენოდა საკუთარი თავისა, როცა ამ ფიქრის აუხდენლობას ქმარს აბრალებდა... აბრალებდა მხოლოდ მაშინ, როცა თავის ერთ ციკქნა სიმყუდროვეში ჩაყეტილს ერთბამად მოეძალებოდა ნატვრა დედური ინსტინქტების გამოვლენისა, რომელიც ალბათ მასში თანდაყოლილად არსებობდა. თითქოს თვალწინ ედგა თეთრხალათიანი ექიმის ლანი, რომლის დაწმულ, მაგრამ დამაჯერებელ ხმაში დაუფარავად გამოსტვიოდა ის აზრი, რომ ქალს აუცილებლად უნდა ემკურნალა... მაინც არ აკმაყოფილებდა ეს მტკიცე, საქმის ცილით გამოტანილი განაჩენი და შემცბარ გონებას

უკვე მერამდენელ ებადებოდა აზრი: ქმარი... იქნებ ქმარი, პა!...

გზის გასაყართან ქმარმა შეისვენა. ზინა ფეხს ითრევდა, ცდილობდა უსიამო გრძნობებისაგან თავის გათავისუფლებას. მისთვის თვითუფლებას. მისთვის თვითუფლებას ახლა თითქოს განსაკუთრებული მნიშვნელობა ჰქონდა; რალაცნაირად აკრთობდა ქმართან მარტო დარჩენა, რადგან თავისუფლად ფიქრის საშუალებას უსპობდა. თავდახრილი, ნელა მიაბიჯებდა, დროდადრო მსრბებზე ჩამოშლილ თმას ისწორებდა და წებოსავით აწეული ტალახზე დარჩენილ ნაფეხურებს აკვირდებოდა.

მერე წინ გაიხედა: პატარა, მოასფალტებული მოედანი შეათვალა და როცა სავაჭრო ფარდულთან შეჩერებული ქმარი დაღანდა, შვებით ამოისუნთქა.

მიესალმა სახეახვეულ გამყიდველს, მაშინვე შეიცნო გამყიდველის სახეზე გამოძრთალი სევდა; ცალი თვლით ქმარს გახედა, რომელიც ახლად ნაყიდ სიგარეტის კოლოფს უხერხულად ატრიალებდა ხელში და გახსნას ვერ ახერხებდა. ზინას ისევ წამოეშალა უსიამო მოგონება და წელანდელ ფიქრებს მორჩილებით მინებდა. მაინც რა უშნო და მოუხერხებელი იყო ყველაფერში! გაახსენდა, პირველად რომ ნახა სიგარეტი ქმრის ხელში; რა ულახათოდ ჰქონდა გაჩრილი, იშვიათად ეწეოდა და მაშინაც ყოველგვარი პეწის გარეშე. შემდეგში, როცა სხვა მამაკაცებს დააკვირდა, ერთგვარი სინანულის გრძნობა აღედრა ქმრის მიმართ.

სახეახვეულმა გამყიდველმა, რომელიც ყუთიდან ასანთის კოლოფებს იღებდა და ვიტრინაში აწყობდა, საქმეს თავი მიანება, ორივე ხელით დახლს დაეყრდნო და მოულოდნელად თქვა:

— ბიჭი მყავს ავად! — ქმარს არ უფგონია ეს სიტყვები, სადაც სივრცეში იყურებოდა შემკრთალი მხერით, ხელში სიგარეტის მოსრესილი ღერი ეჭირა და შარვლის ჯიბეში ასანთს ეძე-

ბდა. საერთოდ იცოდა ასე — რომ ვინმეს ელაპარაკებოდა, მაშინ გვერდებზე დასდებოდა საქმე, ყოველთვის ეჩქარებოდა, ყოველთვის შემკრთალი, უნდა და ეჭვიანი მხერა ჰქონდა... ზინამ წაუბიძგა, მოახედა. გამყიდველმა ისევ გაიმეორა ნათქვამი, ოღონდ ახლა უფრო ნაღვლიანად და ხმადაბლა:

— ბიჭი მყავს ავად!

— აუ, რა მითხარი ეგ!

— აპა!

— რა მოუვიდა, შე კაცო, თამაზის?

— ორი დღეა წევს, სიცხე აქვს მაღალი.

— ღმერთო კი მომკალი!.. — ზინამ მაშინვე იგრძნო ქმრის ხმაში გარეული ყალბი თანაგრძნობა, რომელიც ალბათ მოვალეობის გრძნობით უფრო იყო ნაკარნახევი, ვიდრე შინაგანი ბუნებიდან გამომდინარე აუცილებლობით. ამ ხმაში სხვისი უბედურებით გამოწვეული სიხარულის შორეული ექოც კი ენიშნა და შემცბარმა ისღა მოახერხა ეთქვა:

— წავიდეთ, ახლა, დაგვაგვიანდა...

კერ ერთმანეთის გვერდით მიაბიჯებდნენ. მერე კაცმა მიძიე ჩემოდანი მარჯვნიდან მარცხენა ხელში გადაინაცვლა და ოღნავ ჩამორჩა. ზინას ფეხი აერია; თითქოს უკნიდან უცხო მამაკაცის უხამს ნზერას გრძნობდა, რომელიც გონებაში ქალის ათქვირებული სხეულის ბოლომდე გამოშვლებას ლამობდა. მაშინვე მთელს ტანზე ცეცხლივით შემოენთო სირცხვილის თუ სიბრაზის გრძნობა და უკან მომავალ ქმარს უყვირა:

— გამოადგი ფეხი, რა ჯანდაბა მოგივიდა!..

კაცმა ნერვიულად გააქნია თავი, ჩემოდანი ისევ მარჯვენა ხელში გადაიტანა და წინ წავიდა. ზინამ თავისუფლად ამოისუნთქა, დაძაბულ გონებას მღორედ გადაეგლო მომთენთავი სიმშვიდე, თითქოს ამ შეძახებით იქარვებდა გულზე მოწოლილ ბოღმას. არც ცაზე მჯარულ წვიმის ღრუბლებს, არც ტალახზე დარჩენილ ნაფეხურების თვლას



და არც გზისპირას მოძალებულ გვიმ-
რის სველ ფოთლებს არ შეეძლოთ უკ-
ვე წამოშლილი ფიქრების გაყუჩება.
ქალი თითქოს თავისგან დამოუკიდებ-
ლად მინებდა გაუცნობიერებელი მიკ-
როსამყაროს ბრუნვას; და ეს გზა, ეს
სველი სივრცე, წინ მიმავალი ქმრის
მკრთალი სილუეტი, რომელიც მხედ-
ველობის მიღმა აღიქმებოდა ბუნდოვ-
ნად და შორეულად, ისევე ახსენებდა სუ-
ლის სიღრმეში მინავლულ გრძნობას,
ძალზე სათუთს და მტკივნეულს. მხო-
ლოდ ერთადერთ აზრს შეეთვისა ზინა:
აუცილებლად ეყოლებოდა შვილი. ეს
იმედი უადვილებდა ახლა ქმრის გვერ-
დით ყოფნას, მის ხელში უშნოდ გაჩ-
რილი სიგარეტის ყურებას და სხვა
ათას წვრილმანს, რომელიც ჟამიდან
ჟამამდე უფრო მატულობდა. ამ იმედის
გამართლება იყო ახლა ეს ზუსტ, მთე-
ლი ორი კვირით მიტოვებულ სახლიც
და გულს უკლავდა იმაზე ფიქრი, თუ რა
ელოდა იქ, უცხო ხალხში... ერთფერო-
ვან, მაგრამ მაინც ოჯახურ სამყაროში,
სადაც ყველაფერი უკვე ბოლომდე გაც-
ნობიერებული, შეთვისებული და მი-
სეული ჩანდა, არსებობდა უფრო ადვი-
ლი იყო. ნაჩვევი გარემოს დაფიქრებას
კი ალბათ თავისებური ნიჭი სჭირდებ-
ოდა, ისე, როგორც ცოლ-შვილიან
მამაკაცს — უცხო ქალისადმი გაარში-
ყების თანდაყოლილი უნარი, რაც მის
ქმარს სრულებითაც არ გააჩნდა. წარ-
მოუდგენელი ერთგულება კი, რომე-
ლიც ეჭვიანობის საფუძველს უსპობდა,
საოცრად მომაბეზრებელი და ერთფე-
როვანი ეჩვენებოდა. «ვინმეს მაინც გა-
ეარშიყოს, მამაკაცია მერე, რა მოხდა...
ღმერთმანი არ მეწყინება...» ხშირად გაი-
ფიქრებდა ხოლმე, თუმცა ბოლომდე ვერ
სწვდებოდა ამ ამბის სიღრმეს და გარ-
კვევით არც იცოდა, რას მოიმოქმედებ-
და, მართლაც ასე რომ მომხდარიყო.
ქმარი თავს აბეზრებდა გაუთავებელი
კინკლაობით, ისეთ რამეებში ჩარევით,
რაც, მისი აზრით, სულაც არ იყო მა-
მაკაცის საქმე. კაცი ზოგჯერ მთელი

მონდომებით ცდილობდა ბუნებით მო-
მადლებული უპირატესობის დამტკიცე-
ბას, რომელსაც მხოლოდ ცოლის წინა-
შე ამყდევნებდა. სხვა მხრივ აშკარად
შემკრთალი, რაღაცით შემინებელი და
ყველას მიმართ დამომობი ჩანდა, თუნ-
დაც ამ დამომობით ყველაზე უფრო მთა-
ვარი, მამაკაცური შელახულიყო... ეს
აშინებდა ქალს, სწორედ ეს იყო, კითხ-
ვის ნიშნის ქვეშ რომ აყენებდა ყველა-
ფერს და ერთხელ გარკვეულის, საქვეყ-
ნოდ გაცხადებულის ხელახლა გადა-
სინჯვისაკენ აქეზებდა...

— ზინა, დაყრუვდი თუ რა მოგივი-
და! — ქმარი სულ ახლოს იდგა და და-
ძაბული უყურებდა მისკენ მიმავალ
ცოლს. სუსტი ტანი, წვრილი კისერი
და პატარა თავი ზინას ბუნდოვნად და
უსახლოდ მოეჩვენა, გამოუფხიზლებელ
გონებას ბეჭეობის შორეული გახსე-
ნება უბრალოდ და მარტოვად მიესა-
დაგა. ქალმა ცხადად დინახა ბალიშში
თავჩარგული პატარა გოგონას სახე და
უძირო სიღრმეში დასუჭული თვალე-
ბით ნანახი ცისფერი რგოლები...

— ზინა! — არც ახლა ამოუღია ხმა.
მხოლოდ მაშინ შეკრთა, როცა ქმრის
აცხაცხებელი სხეულის სიახლოვე
იგრძნო.

— მოვდივარ, — თქვა შემცბარმა და
თითქოს ერთბაშად გათავისუფლდა
უსიამოდ მოძალებული ფიქრებისაგან.



სადგურის წინ, პატარა მოედანზე მო-
ბორიალე ხალხი, მგზავრობის მოლო-
დინით დამუხტული სამყარო, უკვე ის
ადგილი იყო, სადაც ქმარი კარგავდა
სიმშვიდეს და თავს ისე გრძნობდა, რო-
გორც წყლიდან უნებურად ამომხტარი
თევზი. ამ დროს სულ მცირე რამეც
აღიზიანებდა ცოლი ყოველთვის ერი-
დებოდა ლაპარაკს, თუნდაც იგი აუცი-
ლებელი და საჭირო ყოფილიყო იმ მო-
მენტში. კაცი ამას სხვანაირად იგებ-
და და კიდევ უფრო მეტად აღიზიანდებ-
ოდა. ახლაც, როცა მათკენ მიმავალი,

ჩამოდინდილ ტანსაცმელში გამოწყობილი ბიჭი შენიშნა, ზინამ ქმარს შეხედა, აინტერესებდა, რას იტყოდა. ბიჭი ორიოდ ნაბიჯზე შეჩერდა.

— გამარჯობა, ბიძია!

— ჭუჭყისაგან გაშავებულ სახეზე აღბეჭდილ სევდანარევ ღიმილს კაცზე არავითარი შთაბეჭდილება არ მოუხდენია. ადგილზე აცმუკდა, მერე თავი გვერდზე მიაბრუნა, არც შეუმჩნევია, როგორ გაქრა ბიჭის სახეზე ღიმილი.

— დედა უნდა ჩამევიდეს ჩემი, — თქვა ბიჭმა და კვლავ გაიღიმა. კაცს არც ახლა ამოუღია ხმა, გამგლეღთა ყურადღება რომ არ მიექცია, ორიოდ ნაბიჯი გადადგა, გვერდზე შებრუნებული ისეთნაირად გაჩერდა, რომ არც ცოლისაგან ყოფილიყო შორს და არც ბიჭთან ახლოს. ამ მდგომარეობას ყველაზე ნეიტრალურად თვლიდა და ვეღარც ატყობდა, როგორ თვალსა და ხელს შუა უსხლტებოდა ძალად მოკრებილი სიმშვიდე.

— სადაა წასული? — ჩუმიდ ჰკითხა ზინამ:

— შორს. წუხელ ჩამევიდა, ვიწვექი მე... მაკოცა და თქვა: კიდო მოვალო...

უხერხული სიჩუმე ჩამოვარდა. ქალს შიგნით რაღაც ჩასწყდა.

ბიჭმა მოიწყინა.

— თუ თქვა, მაშინ მოვა, — მიუახლოვდა, ჭუჭყიან, აბურძვნულ თმაზე ხელი გადაუსვა, წირპლიან თვალებში ჩაგუბებული სევდა გულ-მუცელში ჩაეღვარა, მთელი სხეული წვეთ-წვეთად, მისხალ-მისხალ გაეძღნენთა...

— კი, კიდო მოვალო, ასე თქვა, — სადღაც შორიდან მოესმა ბავშვის მოკუდული ხმა.

— რა გქვია, შენ? — ჰკითხა და ქმრის ბრაზმორეული მზერა იგრძნო.

— ომარია, — უბასუხა ბიჭმა.

— კარგი სახელია ომარია!

— აბა არა, დედამ დამარქვა, — თქვა და ჩაფიქრდა, ეტყობოდა, რაღაცას იხსენებდა. ქალს მაშინვე შემოესმა ქმრის შემფოთებული ხმა:

— ზინა, წამოდი... შენ გეუბნები, წამოდი ახლავე!

უღონოდ წალასლასებულ ბიჭს ნაღვლიანი მზერა გააყოლა, ჩუმიდ ამოიხზრა. ქმარი გაზეთების ჯიხურთან უცდიდა, თეთრი ცხვირსახოციტ სახეზე იფლს იშრობდა.

— მომკლა ამის თრევამ...

— რას წამოიღე მერე, — ამის თქმაზე კაცი წამოენთო, ორივე ხელი ნერვიულად გაშალა და მთელი ხმით იყვირა:

— დავტოვებ, ბატონო... დავტოვებ და ვნახავ, როგორ გაძლებ ორი კვირა! ზინას ხმა არ ამოუღია. ერთი წუთით თითქოს დავიწყებამ შთანთქა ეს აყაყანებული ბრბო, ეს აფორიაქებული ბაქანი, ჩიხში ჩამომდვარი გაზინთული ორთქლმავალი, ანერვიულებული ქმრის სასაცილო სახე და ქალის არსებაში შორეული ექოსავით გახშიანდა წედანდელი ფიქრების დაუსრულებელი წყება. ისევ წამოეძალა იმ თბილი საღამოს სურნელი და თითქოს ცხადად ჩაესმა განსაკუთრებული სითამამით ნათქვამი სიტყვები: „აი, ძმაო, ქალი!“.. ამის გახსენება რაღაც დაკარგულის პოვნად ენოშნა და ისე გაყურდა, ისეთნაირად მინებდა თავის ერთციქნა სიმყუდროვეში შექმნილ სამყაროს, რომ ვერც იგრძნო, როგორ სასიამოვნოდ მოთენთა ნებისად მიშვებულმა გრძნობამ. მხოლოდ მაშინ გამოფხიზლდა, როცა ქმრის ხმა შემოესმა და მაშინვე ჯიხურის გვერდით აბრუნებული მელოტი კაცის უხამს მზერას წააწყდა, ამ მზერამ შეაკრთო, ადგილზე აწრიალდა, რატომღაც ნაბიჯის გადადგმა ვეღარ მოახერხა. ქმარიც თითქოს განგებ იყურებოდა განზე, თუმცა ზინა გრძნობდა, რომ მთელი ყურადღება მისკენ ჰქონდა მობართული.

— რა იყო, გენაცვალე! — მელოტმა ორივე ხელი ჰაერში მოაფათურა, თითქოს ამით შეეცადა შემკრთალი ქალის დამშვიდებას — მოხდა რამე თუ?..

ზინამ მაშინვე იგრძნო, რომ მელი-



ტი მოვრალი იყო. უმწეოდ გადახედა ქმარს, რომელიც ისევ წიდანდელ პოზაში იყო გაშეშებული, მხოლოდ ნერვიულობისაგან ქვედა ყბა უთრთოდა. ეს ავის მომასწავებლად ენიშნა და ჩუმად თქვა:

— თუ ღმერთი გწამს, თავი დამანებე!...

იმევე წუთს ქმარი ადგილზე შემოტრიალდა, მელოტი კაცის წინ რაღაც არაბუნებრივ პოზაში გაიჭიმა და აკანკალებული ხმით იკითხა:

— რაშია საქმე?

— ვინაა ეს შტერი! — მელოტმა ქალისკენ გაიწია, — არ მითხრა ახლა ჩემი ქმარიაო, თორემ, დედის სულს გეფიცები, მატარებელს ჩაუვარდები...

ზინამ ფარულად შეათვალიერა ორივე: დაბალი, ჩასუქებული, მელოტი და აწოწოლი, გამხდარი ქმარი. წარმოუდგენელმა შიშმა შეიწოვა მთელი სხეული, უჩვეულო ამბის მოლოდინმა ქვეცნობიერად გაუცხოველა ინტერესი. გრძნობდა, როღაც უნდა მომხდარიყო და ეს „რაღაც“ ისე უჩქროლებდა გულს, რომ მეტის მოთმენა აღარ შეეძლო. ქმარს შეხედა, უნებურად შეასწრო თვალი მის შემკრთალ მზერას და გვერდზე მიბრუნდა. აღარ დაუნახია, როგორ გაიქნია ქმარმა ხელი და სახეში გაარტყა მელოტს. მხოლოდ ტკაცანი შემოესმა. ეს ხმა ერთბაშად შეასკდა ქალის დაძაბულ სმენას, თუმცა კარგად არ იცოდა, რომელმა გაარტყა: ქმარმა თუ მელოტმა. მერე მოიხედა და როცა ვაზონებში გადაღვარდნილი მოვრალი ადამიანის გამოყვანილებული სიფათი შეიცნო, ერთბაშად დამშვიდდა. ისეთი გრძნობა გაუჩნდა, თითქოს ეს ყველაფერი სიზმარში ხდებოდა...

— წავიდეთ. — თქვა კაცმა, ცოლს მკლავზე მოავლო ხელი. ეს ისე უბრალოდ და დამაჯერებლად გამოუვიდა, რომ ზინა შეტბა, თბილმა, სულსშემსუთავება გრძნობამ მთელი სხეული აუფსო და იგრძნო, როგორ აუჩქედდა ძარტვებში სისხლი.

ბავშვურმა სიამაყემ მოიცვა, როცა შემოჯარული ხალხის რკალი გაორღობდა და თავისუფალ ადგილზე განმართოვდნენ. იდგა ქმრის გვერდით გაყუჩებული, ხმაგაკმენდილი, ისეთი სახით, თითქოს დანაშაულზე წაასწრესო. უაზროდ დაპყრებდა ასფალტზე დაყრილ წვირალ კენჭებს და წლობით შესისხლხორციებული გუჟანით ცდილობდა ამოეცნო, რას ფიქრობდა ქმარი, თანაც რატომღაც ეუხერხულებოდა მასთან პირისპირ ღვომა ასე ჩუმად, უთქმელად... ისეთი რაღაცის გაკეთებას ცდილობდა, რაც მისი აზრით, გამოისყიდდა ყოველივე იმას, რასაც ქალი დანაშაულად თვლიდა და მის გაორებულ არსებაში არ დატოვებდა ადგილს უსაფუძვლო ეჭვებისათვის... ქმრის ფეხებთან ჩამიუხლა, ჩემოდანს მზარუნველად გადაუსვა ხელი, შემხმარბი ტალახი ფრთხილად მოაცილა.

— დასვრილა! — თქვა რაღაცნაირი დადარაჯებით და ქმარს ქვემოდან ახედდა, კაცმა სიგარეტს მოუკიდა.

— იყოს, ხელს დაგისვრის.

— არა, რატომ...

— როგორც ვინდა, — ამ ხმაში ზინამ მაშინვე იგრძნო მოვალეობამოხდილი კაცის შინაგანი თვითდაჯერებულობა; ერთბაშად წამოეძალა ჭერარგანციდილი ნეტარების დაუოკებელი ჟინი, რომელიც ალერსმოწყურებულმა სხეულმა წარმოუდგენელი სისწრაფით შეიწოვა და ქალი თავიდან შეეცადა ყველაფრის გახსენებას: „გაარტყა... მაინც როგორ გაარტყა, პა?“. — მერამდენედ იმეორებდა გონებაში, ეს აზრი ფარავდა ახლა ყველაფერს და თვითონაც ხედებოდა, რომ სწორედ ევ იყო მთავარი, — ქმარმა ხელი გაიქნია, ტკაც... და მელოტი გადაღვარდა, მაინც როგორ გადაღვარდა!?

ქმარს ხელში ეჭირა მისი თითები და ზინა უჩვეულო გრძნობით განიცდიდა ამ სიახლოვეს, თითქოს მთელს ტანში უჩუმრად გადაუდიოდა წარმოუდგენელი სითბო, რომელიც უცხო სამყარო-



დან მოვარდნილ, გაუცნობიერებელ წარმოდგენას უქმნიდა. ცდილობდა, ერთიანად ჩაძირულიყო ამ სამყაროში. ჩაძირულიყო ისე მსუბუქად, როგორც ეს სიზმარში ხდებოდა...

ჩამობნელებულ სივრცეში უკვე ლიცლიცებდნენ მბუჭტავი ნათურები, დასავლეთიდან მოვარდნილი თბილი ბორბო სახეზე ელამუნებოდა და ეს ყველაფერი გამოუცნობ ნეტარებას ჰბადებდა მასში. მოულოდნელი სიხარული, ამჟამად მის წილხვედრად მოვლენილი, ისე შეითვისა და შეისისხლხორცა ქალმა, როგორც დაბადებიდან თანდაყოლილი გრძნობა, რომელიც თავისთავად არსებობს ყოველ სულიერ არსებაში და დროთა განმავლობაში მხოლოდ დახვეწასა და სრულყოფას მოითხოვს.

როდესაც მატარებელი ჩამოვდა, ბაქანზე მომლოდინე ხალხი აწრიალდა, აირია და ვაგონის კარებს მიაწყდა, ზინამ ქმარს შეხვდა; კაცის მშვიდ სახეზე მღელვარების ნასახიც გამქრალიყო, ისეთი ბუნებრივი გამოხედვა ჰქონდა, ყველაზე მღელვარე წუთების შემდეგ რომ დაგვეუფლებოდა ხოლმე. აწრიალებული ხალხი წინ გაატარა და ცოლს წყნარად უთხრა:

— აღი.

ზინა მსუბუქად ახტა საფეხურზე, ზევიდან ხელი გადმოწია, ქმარმა იუკადრისა.

— მე თვითონ ავიტან...

ქალს გაეცინა, მინც შეაშველია, მისი და კუბეში შესვლისას ზგზღნა უთმო.

დაგუბებულ სითბოს, მკრთალ სინათლესა და მატარებლის სასიამოვნო რწევის ერთბაშად მინებდა დაღლილი სხეული, მიბინდულ გონებას ძალზე შორეულად წარმოესახა გრძელი გზა, დაწყებული სახლიდან ვაგონის უკანასკნელ საფეხურამდე. დაუსრულებელი ფიქრების ქაოსიდან ამოტივტივდა ერთადერთი აზრი, რომელიც განვლილ ცხოვრებასთან ჯიბრს და ერთგვარ შურისგებას გამოხატავდა. ამ ჯიბრის გასამართლებლად კვლავ და კვლავ იბადებოდა ყოვლისმომცველი გრძნობა, რაც არ ასვენებდა და კიდევ უფრო უფორიაქებდა სულს... „გაართყა, ..მინც როგორ გაართყა, პა!“ თითქოს მატარებლის ბორბლები გამოსცემდნენ რიტმულად ამ ხმას. ჩაშვეებულ მინას შუბლით მიყრდნობილი ქალი ხედავდა, როგორ გარბოდნენ ელექტრონის გაკუპრული ბოძები, ვაგონის ფანჯრიდან გამოსული სინათლე როგორ ფრთხილად მიცოცავდა ფოთლებით დაყურსულ ხის ტოტებზე, ღია ბაქნებზე, ჩაშვეებულ ბორცვებზე... გრძნობდა კაცის მშვიდ სუნთქვას და მომთენთავი სიხარულით გარემოცული, ნელა იძირებოდა უჩვეულოდ მოძალბებულ სიმყუდროვეში.



მეხუთე ლექსი

მოლოდინი

აღარ შემიძლია ასე ცხოვრება! გათავდა! მორჩა! დღევანდელი დღია გადამწყვეტი იქნება ჩემთვის! ძველებურად აღარ შემიძლია! როგორ?! სადამდე გავძლო ასე? როდემდე გამიჭიანურდეს სავარძელში ჩათრეული ფე-

ხების ამო ქნევა? ოთხკედელში გამოკეცილი, ცხვირის გარეთ გამოყოფა კი არა, ოღნავი შეყვირებაც ვერ გამიბეღია, თავის დასახამარებლად გამვლულთა ყურადღება კი არა, იშვიათი მზერაც ვერ მიმიქცევია! არსიდან იმე-



ლი! არავითარ ნდობა! ძე-ხორციელი
სიახლოვეს არ გამეკარება, ვიდრე სა-
კუთარ არსებას ქორივით არ ჩავაფრი-
ნდები, ვიდრე სეარძელს სხეულიდან
არ მოვიშორებ, ვიდრე ოთხ კედელს
არ ვავგლეჯ და გამარჯვებულო, მზის
სინათლეზე არ გავიჭრები! და როცა
შიშის მაგივრად, თითქო ხანალებით
ამოკვეთესო, სიცარიელე გაჩნდება ჩე-
მში, როდესაც მოულოდნელი ნახტო-
მით თავს გადავევლები და ალყას გა-
ვარღვევ, ასხელიანი ქალღმერთის მსგა-
ვსად, ათასი ხელით გამიტაცებს ყალ-
ყზე ამხედრებული, ვითარცა ქალიწი-
რი ხალიჩით გაფრენილი, გრძნეული
ქუჩა! არაფრის გულისათვის! არავითა-
რი ჭკუა არა აქვს დახმარების ხან-
გრძლივ მოლოდინს! მთავარია — ერთი
გადაწყვეტა! ერთი წამოხტომა, ერთი
გადაბიჯება! ერთი გამოქანება, ერთი
დარტყმა, ერთი გადამჭრელი იერიში!..
და ზამბარასავით მომართულმა, სავა-
რძელი შორს მოისროლე, მტაცებელი-
ვით სახელურს ეცი, მძლავრად მოქაჩე,
საფეხურებზე ბურთივით დაგორდი,
ალესილი კლანჭებით ალყაფს დაეჭიდე
და თავქუდმოგლეჯილმა ქვაფენილზე
მოითქვი სული! განა შეიძლება გათენ-
ბიდან მზის ჩასვლამდე და დაღამებიდან
მზის ამოსვლამდე მთელი ცხოვრება სა-
ვარძელში მოიკალათო? განა შეიძლება
ბაყაყივით თვალები გადმოიკარკლო და
ოთხი კედლის იქით ვერაფერს გაუ-
სწორდე, ხელ-ფეხი აფართხალო და
მანც ერთ აღვილზე დარჩე, გაქცევა
გადაწყვიტო და ისიც ყოველდღე სა-
ხელიოდ შემოინახო? ბოლოს და ბო-
ლოს რა მოგვიდა, რა მოხდა ასეთი?
ეს გამოფიტული, გატრეცილი და ჩა-
მორეცხილი ოთხიკედლი გცემს თავ-
ზარს? ამხედრდი ზეზე, წამოიჭერი და
შეიმართე! ვიდრე მზის ბრწყინვალეა
ღია სარკმელში დაკიდებულა, ვიდრე,
სუსხიანი შუადღისაგან მოსვენებულ
სხეულზე ძარღვიანი, სისხლითა და ხორ-
ციით აღსავსე მარჯვენა გერჩის, თუნ-
დაც საკუთარი შუბლით გაანგრევი
ალყაშემორტყმული კედლები, გა-
დააფრინდი ტყბილ ოცნებებში და-

კარგულ ფიქრებს და თავპირისმტრე-
ვით გადაეშვი ყოველდღიურ არეულუ-
ბაში!

დაკაუნება კარებზე. თვალისმოშტრე-
ლი ფარდა ორად იხსნება და პა-
ტარა, სასადილო მაგიდაზე საუზმე
დგება. ხელი მიახლოვდება და პირსა-
ხოცი მეხვევა, აზრი მეკარგება, ცრე-
მლი მეღვრება ცხელი სასიამოვნოდ
გადამდის ყელში...

ჩემი თავმესაფარი დაბალი მაგიდი-
სა, გაძვალტყავებული სავარძლის, სუ-
რათზე მოთამაშე დათუნიებისა და ხში-
რი აბლაბულების მიუხედავად, სრუ-
ლიად ცარიელია. ერთადერთი, სანახე-
როდ პირღია და ვიწროდ გახლეჩილი
სარკმელი რკინის გალიაშია ჩამჯდარი.
ღროთა განმავლობაში დანაოქებული,
თითქმის უკვე მოფარფატებული ოთხი
კედელი შიგადაშიგ დამსკდარა.

მაშაო ჩვენო! ყოვლისშემძლე და
არაფრისგამკეთებელი უფალო! საით
გავიქცე, რა გზას ვეწიო? ხომ არაფერია
შენთვის ოდნავი სული ჩამბერო, სა-
ვარძლიანა ხელში ამიღო და შუაგულ
მზეზე დამდგა? რა სანახაობა იქნება მა-
შინ! ყოველი მხრიდან მზერავაყრილი,
ქანდაკებასავით რომ გამოვჩნდები შემა-
ღლებზე, პირშექცეული, ღვარძლიანი
მაყურებლები ჩემზე შურით რომ აღი-
ვსებიან და ბოდმისაგან რომ გასკდე-
ბიან შუაზე! „ნუ ელეავთ, ღრმად პა-
ტივებულო გამვლელებო! სისხლი მო-
გერიათ ანთებულ თვალებზე, გახშირე-
ბული, სიბრაზეგამორეული გული ამო-
გვივდიათ ყელში! ერთიმეორეს უზო-
არებთ მოვარდნილ ბოდმას, რადგან სა-
ხეში მოვახალეთ ის შემოწვრეული
ოთხიკედლი, იღუმალი გრძნობით
რომ თან დაატარებთ ცხოვრების მან-
ძილზე! პირი შეჰკარით და აჯანყდით ჩე-
მზე! მე არ მეშინია თქვენი ვაცეცხლე-
ბული თვალების, მე არ მეშინია თქვენი
ზღვადმოქცეული ზიზღის!.. მაგრამ გე-
ყოფა ამდენი ფიქრი, გამოფხიზლდი
ოცნებისგან, აღმართე ხელი, რომ მო-
ულოდნელად გადასჭრა საძინებელი

ოთახი, რომ საბოლოოდ მოშორდე ძვალში და რბილში გამკლარ ოთხკედელს! დილა თენდება. თანდათანობით ფხიზლდება გონება და მეც, ვადასულ ლამეში, შფოთიანი სიზმრებისაგან ეცნაურები საკუთარ თავს! ვათავდა! მორჩა! აღარაფერი მერყეობისა! არავითარი ეჭვი! ვიდრე ძარღვებში სისხლი არ ამოწურულა, ვიდრე ფიქრებში სიცოცხლე არ დამთავრებულა, ვიდრე არ დაფერვლილა ათასი ცეცხლით გახურებული სული! რა გაშინებს, რა გცემს თავზარს, ზეზე წამოხტომა რომ ვერ გაგებდია, აკანკალებული თითები გასაღებისათვის რომ ვერ ჩავიფრენია, რომ ისევ ყოველდღიური და არაფრის მაქნისი ფიქრებით მზის ჩასვლას მოელოდები? გამოფხიზლდი! გამოცოცხლდი და წამოიმართე! გაპფანტე ეჭვი, გახლიჩე კარი, გადაიარე ხანმოკლე საძინებელი და აღიგავე შუაგულიდან ოთხი კედლისა!

მაგრამ იქნება განწირული ვარ? იქნებ მოსისხლე ჩამისაფრდა ჭიშკრის გადაღმა? იქნებ, ალყაფს ვინ ჩივის, კარებს ვერ მივწვდე, სავარძლიდან წამოჭიმული, მოცელილივით ძირს ვავიშხლართო, შუბლით დავასკდე, ხელფეხი ვიღრძო. იქვე შუაგულ გზაზე განოვესალმო სიცოცხლეს? იქნებ ვადასაველლოზე არ გამიმართლოს, მუხლებმა მიმტყუნოს, თავბრუ დამეხვეს, შესახვევიდან მანქანა გადმოხტეს და კალონისაგან დამსაკუბდეს გულმკერდზე? იქნებ მზემ თვალი მომჭრას, დაბრმავებული უფსკრულს ვეწიო, დღე დამიბნელდეს, ფეხი დამიციდეს, ციკაბო გზიდან გადავიჩეხო და თავმოწყვეტილი, ბაბუაწვერასაგან ჰაერში ვავფრინდე? იქნება თუ ბრბოს ვეწიე სიტყვა ჩამიწყდეს, ხმა ჩამეხლიჩოს, საერთო ენა ვერ გამოვქებნო. ან იქნებ სულაც ყრუმუნჯების მოდგმას ვადავეყარო? იქნება შიშველმა მზემ დამსუსხოს, ტანში დამცეცხლოს, მეხვიით დამკრას? იქნება ჰაერმა მომწამლოს, სიმყარაღემ მომინელოს და გულისრევამ სული ამომიხადოს? დაბოლოს, იქნებ თვალში ვიღაცას ვერ მოუხედი, იქნებ ახალბედებზე

გაბორტებულს ვადავეყარე, იქნებ რომელიმე ვადარეული კვალმის მიღვეს, შეუმჩნეველად წამოიმეპაროს, შორიახლო ჩამისაფრდეს, ხელსაყრელ ყამს თავზე დამაცხრეს და იქვე, შუაგულ გზაზე მომისწრაფოს სიცოცხლე?

ამდენს იმიტომ ცოდვილობა, რომ ეჭვი გეპარება საკუთარ თავში. ვერავითარი ტვინის ქყლეთა ვერ გადაგარჩენს, თუ გამხედლობა არ მოიკაროდე და ოთხკედელზე არ შეიმართე! თუ თავდავიწყებულ ფიქრებში დაჰკარგე აზრი, ბუზებივით რომ გეხვევიან სავარძლის გარშემო! სწრაფად! ელვისებურად აღიმართე! ნუ გეშინია! აღამიანი, რომელიც გათენებიდან მზის ჩასვლამდე ოთხკედელს ებრძვის, არ შეიძლება უძლური იყოს. აბა, ერთხელ მაინც გამოიცადე თავი და მეხვიით დაიქუხე ალყაშემონგრეულ კედლებში! სხვა გზა არ არის, სხვანაირად აღარ შეიძლება, სირცხვილია ბოლოს და ბოლოს, დათუნიები დაჯივინებენ, ოთხი კედელი გაკრისაგან, ხელფეხი წაგეპრთმევა, სული ზედმეტი ჩვარივით დაგეკიდება გულზე, ძალაგამოლუქული და უქმად მიმოქცეული სისხლი აგამყრალდება და უმოძრაოდ დაგუბებული ტვინში ავიყარდება! თავს თუ არ მოერე, შიში თუ არ დასძლიე, ისე მოტყდები, გაიცრები, დაჩლუნგდები და ვადაიღლები, სავარძელი ისე ვაგეკდება ძვალში და რბილში რომ აღარსად მოგინდება გაქცევა და ვერც გაექცევი მას. იმიტომ ვიდრე მუხლები გიჭრის, ვიდრე გახშირებული, სიბრაზეგამორეული მარჯვენა გასაღებს ებღაუპება, ვიდრე სურვილის ნაპერწკალი არ დაფერვლილა და კიდევ შეგიძლია იფეთქო, მუქარით აღიმართე დაფანტული აზრებისაგან, გამოიქეჩე ეჭვისგან თავი, სავარძელს ზურგზე ვადაფრინდი და ასო-ასო დაგლიჯე ეს ჩამორეციხილი კედლები! დამიბრუნდი დაბადებიდან ზიარებულთა ძალაგ! შემომიბრუნდი და ამიჩქროლე სისხლი!...

მაგრამ იღუმალება შიშისა მგვრის; ასიათასჯერ ვადაღეჭილი ფიქრები დამტრიალებენ გარშემო. ხან ასე მი-



ტრიალბენ, ხან — ისე, მომავალი კი ვერ დაულანდეთ და ისევე წარსულს უბრუნდებიან, ჩემთან ერთად რომ დაიბადა, ამოძრავდა, მაგრამ მიუძღურებულმა ფეხი ვეღარ აიღვა, მოულოდნელად შედგა, გაიყინა და ხეზე შემომჯდარი დათუნისასვით გამოკვეთილა თვალთა წინამე.

დროა გადავივიწყო წარსული და გამოვაცოცხო ფეხები! დროა ავა-მოძრავო სხეული და გამოეთათო ყოველდღიური წვრილმანებისაგან საათივით დაქოქილი გონება! ოცნება მოვითავო, მხრები გავშალო, წელში გავსწორდე, მზეზე გავიჭრა, ტყვიასავით გავიტყორცნო და ცხრა ქედის იქით გადავიხვეწო! მართალია ფიქრებში ვამოვიფიქტე, არაქათა გამოიმეტალა, მუხლა არ მერჩის, ძალა მელევა, სამაგიეროდ ქუჩა ამომწურავად დავხვეწე, წლების მანძილზე დაეზებირე და ახლა მზადყოფნაში ვარ შემართული! მაგრამ დამიჯერე, ვიდრე შენით არ გამოძვრები, ძეხორციელი არ შეგეწევა, გაუეთ კი ნუ იტყობები, შენ თავს ჩახედე, ერთხელ მაინც გადასწყვიტე, ერთხელ მაინც გაბედე, დააბოლოვე უთავბოლო ოცნება, გაჭანტე ეჭვი, გადაიშალე გულიდან შიში, თუ არ გინდა სიკვდილამდე ოთხ კედელში დაიგუბო თავი, თუ არ გინდა საგარძელში ამოწურული ახალგაზრდა წლებივით დარჩენილა ცხოვრებაც ერთ ადგილზე გაატარო!

დაკაუნება კარებზე. მოზღვავებული გრძობებისაგან ძლივს დავიოკე ათასი ცეცხლით მღელვარე სული. რა მომელოდა, როგორ მომექცეოდა ხელი, საგარძელზე ამხედრებულს რომ შემზლოდა? სასადილოთ იტვირთება დაბალი მაგიდა, მზერა მიშტერდება, ოთხიკედელი მეშლება, თვალისმოშტერელი და თხელი ფაფა სასიამოვნოდ გადამდის ყელში...

მთავარია კიდეც რა? მთავარია მზადყოფნაში შევიპართო, ყველაფერი მშვიდად აეწონ-დაეწონო, მომავალი ნაბიჯები გამოვიზომო, წვრილმანი ნა-

მცეციც კი გავითვალისწინო! მართალია ვიდრე ეჭვი შეპარებოდა საკუთარ თავში, ქურდულად შემომიძვრებოდა და გასაქანს აღარსად მიძლედა ხოლმე, მაგრამ სადღესოდ ყველაფერი მოვაგვარე, ურყევი ვადაწყვეტილება მივიღე და ესლა მიყუჩეთ, რეები დვატრი-ალო! რომელი გამიბედავს მტაცებლის ნახტომში ჩასაფრებულს, კბილებაველებულსა და მშვილდივით შემოქნეულს გზა გადაიჭრას და გამოსასვლელი ამომიქოლოს? ვინა! არ დაბადებულა ისეთი ძალა, მე რომ დამაბრკოლებს! ერთი დარტყმით ძირს დავცემ კედლებს, ნაკუწ-ნაკუწად გადავაქცეე ამ ღეფექტიურ დათევს! ვინმეს ეჭვი ხომ არ გეპარებათ, რომ ეს ცარიელი რახარუხია! მომითმინეთ და განვევებთ ვინცა ვყოფილვარ! მთავარია დავაწმუნდე ჩემში, მთავარია პირველი ბიძგი მივიღო, როგორც კი ოდნავ გამოცოცხლებას შევიგრძნობ, დამიჯერეთ. აქ აღარაფერი დამედგომება! ტყვიასავით ჯაჭვები რომ დამკიდოთ ოთხივე მხრიდან, ასიათასი მუქარით რომ გამსწორდეთ მოზღვავებული კუთხეებიდან, მეხივით ყიჟინას დავცემ აქაურობას და საკუთარი თავით გავიტან ალყაუმორტყმულ კედლებს!

დრო გაჩერებულა. მზერა ვამშტერდა. გაჩერებულა ფერმკრთალი ჩრდილი და ხშირი ტოტები დაკიდებულან შუაგულ მზეზე. გაჩერებულა ხეივანი და მტვერში გამოხვეული აღმართი. მანქანა რომ გაუჩინარდა და თავისი მოლანდება ისფერი კვამლი დასტოვა, ძაღლმა რომ გადაიძუნძულა და პირლია, უღრან სადარბაზოში ჩაინთქა თავი, ფრინველმა რომ შემოჰკრა ტამი და ისიც გადაიწვეწა მოზღვავებული ღრუბლების ციდან...

აღარ შეიძლება მეტი გაძლება! გათავდა! მორჩა! წამოიპართე! გაჭანტე ეჭვი, გაჭკვეთე კარი, გადაიშალე გულიდან შიში, შიში აკვიატებული და იღუბალი, სად არის ვერ მიპოვნია, საიდან მოედინება, არსაიდან რომ მოვარდება და ისევე მოუსხავალში გადაიკარება? რომ არ მინდა მისგან თავისუფლება?

თითქო ჩემი უნაწილო ერთი იყოს, თითქო მე არა ვარ არც სახე, არც ხელე-
ბი და მე ვარ შიში, მე ვარ ჩემი თავის
ბოლომდე ვერმიმწვდომი შიში.

რაც ქუჩაზე მოცნებია, რაც უთავ-
ბოლო აზრებში გამოსავალს დაეძებ,
არასოდეს შემრჩენია მღელვარება
დღეს რომ განვიციდი; ამოდის ღამე, თი-
თქო ვეცემი ორმოში და ვერ გამირკვე-
ვია გიყური ჭენებაა ეს, თუ ბნელში
გადაძახებული მისჯილი გზა, უმადლესი
ნება თუ თავისუფალი ხეტიალი ცაზე.

ჩემს წინ, ნაცრისფერ ბინდში გადა-
ვარდნილი, სახურავებით დახვევებული,
უაზროდ დასერილი, გაყოლებებზე შა-
ვი წერტილებით მიმავალი ქუჩა დაჰ-
დგარა. გამვლელები ეხვევიან გარშემო,
ხან მარჯვნივ მიარბენინებენ, ხან მა-
რცხნივ, ხანაც შუაზე უნდათ გახლიჩონ;
ღია, ფერდაკარგული საღამოს ნაცვლად
ღრმა შუალამე იპყრობს ოთხკედელს
და დათუნიები ახლა, უღრან ტყეში
ეთამაშებიან ერთიმეორეს.

სწრაფად! ვიდრე ცოცხლად ხარ, ვი-
დრე ფხიზლად ხარ, ვიდრე თვალსა და
ხელს შუა გამჭარალა ქუჩა და გამოტე-
ნილი სიზმრებისაგან სული შეგიგუბ-
დება, ჯერ კიდევ შეგწვევს ბნელს გადა-
ასწრო, გულზე შემოწოლილი ერთი

მოსძით გადაიფაძო და თავგუდობა
ჯილი ქუჩაში გაფრინდე! ოღონდ
ულად! არ დაგაღამდეს! ბალიშებს ისე
ჩააფრინდი, სავარძლიდან ისე წამოიჭე-
რი, ეს საცოდავი ზურგზე გადაყირავ-
დეს და სიცარელეში უმწეოდ ააფა-
როხხლოს ფეხები! ურდულს ისე დაე-
ძგერე, ალყაფი ისე გაგლიჯე, ორადგა-
ფატრული, ძირს წამოიქცეს და გვერ-
დზე ჩამოცურებული ყბებისაგან სა-
შვილიშვილოდ დაადოს პირი და როცა
უკანმოუხედავად გაფრინდები ცხოვრე-
ბის მანძილზე, მეჩვით ვაიტყვორცნები,
ათასი ცეცხლით იფეთქებ, როდესაც
ვერავითარი ფიქრი გორა ვერ დაგე-
დგება. ნიაგჰარივით გადაუქროლებ,
სულმოუთქმელად გასთელავ, ერთი და-
რტყმით მუხლებზე დასცემ და ქორი-
ვით თავზე გადაევლები, ფიქრებში
გამოლევული სიცოცხლე დაგიბრუნდე-
ბა! ოღონდაც სწრაფად! დრო აღარ
ითმენს! ელვისებურად წამოიჭერი, შეი-
მართე და აჩანყდი! შემოიკრიფე გამბე-
დაობა, ამოიგლიჯე მღელვარე შიში.
ვათენებისას, რაწამს მზე დაჰკრავს, ძლი-
ერი ბიძგით სავარძელი შორს მოისრო-
ლე და როგორც იქნება ბოლო მოუღე
ამდენი ხნის მანძილზე ტკბილ ოცნებებ-
ში დაკარგულ ფიქრებს!.



ბანო თათაკიშვილი

მ ე ზ ი ს ქ ვ ი ლ ე

მოთხრობა ნამდვილ ადამიანებაზე

„მეწიქვილე“ მოთხრობაა ნამდვილ ადამიანებზე, იმაზე თუ როგორ გახდნენ უბრალო მეწიქვილეს შთამომავლები სინათლის უღიღესი „წიქვილის“ — ენგურძესის მშენებლები.

მძლოლმა ჩვენი „ჩვიდმეტრონიანი“ უცებ დაამუხრტე და მწაფრმა აფეთქებამ ხეობა დააყრუა. თითქოს მიწა იძრა, ვულკანმა მთას ყელი გამოლადრაო, ისე გაიბზარა სალი კლდე და ღრუბლებამდე ამოიფრქვა გავარვარებული ქვა და ღორღი...

მოშობელი დევის ხახასავით ქმინავდა სალი კლდე, ასი ათასი ცეცხლოვანი შურდულიდან გამარბოლი ქვები ცაზე ფეხს რომ ვერ იკიდებდნენ, კისრტეხით, ზრიალ-გრიალით ენგურის ტალღებში ცვიდებოდნენ, ყირაზე გადადიოდნენ, გახელებულ გულს იკრივებდნენ, გვერდით უწევდოდნენ ვეებერთელა ლოდებს, სულ რომ იმ მდინარის გაღებულ ფსკერზე წვანან და ზეზე არასოდეს არ დგებიან.

ჩვენი „ჩვიდმეტრონიანი“ კი ხარირემივით დაფეთებული იდგა კლდეში მიცეცილ-მოკეცილ და ახლადდაბეტონებულ გზაზე, ოთხი ბრიალი თვლით გამყურებდა ბუნების საოცრებას, ათუხთუხებდა ძრავს და მოუთმენლად ელოდა როდის მიუშვებდა აღვირს მხედარი, რომ შეჭრილიყო იმ ორომტრიალში, სულ ახლოდან დაენახა მთისა და ადამიანის შეუბოვარი ორთაბრძოლა.

მეორედ რომ შეზანზარდა მთა და ხეობა, მომეჩვენა თითქოს ენგურმა — იმ შეუოკებელმა და გაღარებულმა მდინარემ შურდულის ქვების შიშით წელი შეიზნეჭა, ლოდებზე მიწვა და გაიხაბა.

კლდის ქიმზე ადამიანი გადმოდგა, ხელში მწვანე ქსოვილს აფრიალებდა, გვანიშნებდა: აფეთქება დამთავრდაო... დაიძრა. ჩვენი მანქანა.

რა მადლიანი და გამოუღეველია კალთა ბუნებისა, რა ბუმბერაზია ეს მთები — მიწას ცასთან მოციქულად რომ მიუგზავნია და ეს მდინარეები სულ რომ მოჩუხჩუხებენ, მოაგორებენ აქაჩრილ ტალღებს და არასოდეს არ შრეზიან.

საოცარია: სულ ღვანან და ღვანან ეს თავშიშველა მთები — ათოვს, აწვიმს, მუხი ეცემა, მზე თაყარა სხივებს აცხუნებს, სუსხი მკერდს უყინავს, ყვავი ჰკორტნის და ყორანი და მაინც არა აჯლდება რა.

მორბის, მოღელავს, მოღელღუნებს ანჯარა მდინარე... მიწაა მისი დედამშობელი... იგი ზრდის და აძლევს ძალას გაინავარდოს მთიდან ზღვამდე... ყველა სულდგმელი მას ეწაფება... აბა, რა ჩქნებოდა თვითონ მიწა, რომ წყალმა პირი არ დაუსველოს, გულზე ცვარანამი არ დაეპეროს... მაინც რამ დააკუბა ამდენი წყალი... სვამენ, ღვრიან, ხარჯავენ და არა აჯლდება რა... მორბის, მოღელავს, მონავარდობს!...

ენგურიც ასეთი უშრეტი და დაუღვარაია... თვითონ მთაც ბევრჯერ გადადგომია წინ, რომ შეეტოკებინა მისი თავნებობა, კლდეში ჩაეჭყვებოდა, გაეკოლა ნაკვადევი ამ კიდილისა კაცკასიონის მაღალი და ფართო შებლის ის ღრმა და მიგრებულ-მოგრებული ნაკოკია, რომელიც მყინვარებთან იწყება და შაგ ზღვამდე გასდევს ჩვენს მაღლიან მიწას.

ვერა, ვერ შეაკა ენგურის ტალღები ბუმბერაზმა მთებმა.

და აი ადამიანი... კლდის ქიმზე რომ შემდგარა და ძლივს მოჩანს, ბედავს და მოთოკვას უპირებს გაღარეულ მდინარეს... ამხელა მთამ

რომ ხერ დამორჩილა, ახლა თავისი პატარა, ნახი გელეხით უნდა დაავტობოს, უკუვუკოს, ვხა-კვალ აურისო სობოქარ ენეტრს, სულ რომ იბრძვის მთაში, ბარში, ზღვაში და ჯერ არ დამარტებულა.

აღმართს მძიმე-მძიმედ კეცავს ჩვენი „ჩვილ-მეტრონიანი“. ტვირთი იმდენი მიგვაქვს, რომ ერთ დღე სახლს ეყრფა ასაშენებლად. გზა ხან ტყეში ჩაიჭარებება ხოლმე, ხან კლდეზე ამო-ყოფს თავს, შემდეგ თავვე ეშვება, რომ მანქანამ ძალა მოიკარბოს, უკლი მოიქნის და ისევ აღმართს ჰეშინით აუკვას.

ლამაზი ჭივანი გავიარეთ, დაწყო ციცაბო კლდეები...

— შეტევეთ, — მანაშნებს მძლოლი, — იმ სიმაღლეზე კაცი არწივით რომ შემოიჭდარა, მცოცავია, ქანებს ასუფთავებს... მარჯვე კბილის ექიმოვით კლდეს აჩრბოს მოფაფალებულ ლოდებს და ძირს ყრის... ნამღვლიად გულად და მამაიკი ბუბები არიან, ფეხი რომ დავუღო, ასე მგონია ფრთებს გამოიბამენ და ვაფრინებთან... უყურე, კაცო, თითქოს ეხარში დაბოივებსო, ისე არ აღის იმ საღ-კლდეზე ის დაღოცვილი? ბონდო გეღუე არის მათი ბრავადობი... თ, ის ბონდო! მაშინ თეთნულლებ რომ ავიდა. მოგეცა ლხენა, კარგი ინეინერია, გამომგონებელი. ნისკ ერთი მანქანა გვირახს თხრის, მეორე თ, ავტო კლდის თავზეა მიბმული. ის თუ არა, რა ძალა გაჩერებდა აღმართს იმ შევეთ კლდეზე-თბილისში ლექიებს კითხვლობდა ინსტიტუტში, მავრამ არ ვაჩერდა. ჩემი საქმე იმ მთებშია, მდინარეს უნდა შევექილო, დიდი წისქვილი უნდა დავატარალო, რომ ენეტრში სინათლე დაიბადოსო.

თერზე ნი იტყვი ბონდოს მამა-პაპაც პირველი მეწისქვილეები ყოფილან, მათი დოღები სულ ბრუნავდა და ბრუნავდა, სარეკლა კაცუნებდა და კაცუნებდა, ამაშერ ყვირთულს უშვანდა და ფაფავა გულთების წისქვილი.

კლდეს გავცლიო და ტყეში შევარეთ თავი. ბონდო გელუა! მეწისქვილა, ინეინერ-გამომგონებელი, მთავსეული, მცოცავი! — ჩამწიოდა ყურში მძლოლის სიტყვები და მოგონებებში ისე ეიჭირებოდი, როგორც იმ აფეთქებული კლდიდან მოწყვეტილი ლოდები ემკურის დაუღეგარ და მღვრავ ტალღებში.

1.

გამახსენდა... ზახულის წვიმიანი დღე იყო, როცა ასოცლებითი წლის ყარაია გარდაიცვალა. თვითონ იტყოდა ასოცლებითისა ვარო, თორემ ამა ვინ იყო სოფლად მისი დაბადების მომსწრე. იგი წლისა რომ გახზარა, სწორედ მაშინ გაუკავთეთ შამადელის ტყე და აუშენებიათ ეკლესია. მანამდის მოუხათლავი ყოფილა ყარაია. მღვდელს ჯერ გაუტრეტებია იგი, მერე პირდაპირ მდინარეში შეუვლია, ცის ქვეშ

წაუცხია მიწონი და სახელად ყარაიანი დარქმევიო.

თითქოს ესეც მღვდელმა დაანათქმუნებინა, იმ დღიდან მდინარეს არ მოშორებია, მეწისქვილედ აუყვანია აზნაურ პილა ლოლუას და ამა, მას შემდეგ მთელმა საუკუნემ ვრიალ-ვრიალით ჩაიარა და ყარაია და წისქვილი თითქმის ერთ მცენებელ იქცა.

ყარაიასთან მივლივარო იტყოდა ვინმე და ეს იმას ნიშნავდა, რომ იგი წისქვილში მიდიოდა... საკმარისი იყო ვინმეს ეთქვა წისქვილიდან მოვლივარო — კითხვებს სეტყვასავით დაეპირიღენ — ყარაიამ ახალი რა ვითხარაო, მესვდებო მთა ურთაზე რომღის გამოჩნდებიაო, თხოვრი ბარად ხომ არ ჩამოსულაო... ან კიდევ ყარაიამ რამდენი ქოთანო ლობიო და კეცის მჭალი ან ჩუანო ღობი მიირთვიაო... მართლა თუ შექამა ორმოცდაათი მოხარბული ყველიანი კვერი და აშენეათე ქათმის კვერცხი, სიჭინავებებს რომ მოუთვა სინაძლეოში.

ცოლი არ ჰყავდა ყარაიას, არც არასოდეს ჰყოლია... ამა ვინ წაყვებოდა, სახლი არ ჰქონდა და ვარი, წისქვილში უღამდებოდა და უთენდებოდა, იქვე ეინდა და იქვე კამდა და სიამდა.

ტყაშამიდა არის ყარაიას ცოლი და მივლივლიო — იტყოდნენ ხოლმე სოფლის ცრუმორწმუნენი და თან თხზავდნენ ზღაპრებს ყარაიასა და ტყაშამიდას შორის „ოვლითი ენახავი და ყურლი გაუვინარია“ პავნანების შესახებ.

ზღაპრების თხზვა თვითონ ყარაიასაც ძალიან ეხერხებოდა.

— ეხევე! — შემოსძახებდა ომხიანად, მერე ფქვილით დათოვლილ წამწამებს ფართოდ გაახულდა, ისრინისფერ თვალის გუგას უცნაურად ვადაატრიალ-ვადლობატრიალებდა, წარბებს ათამაშებდა და დღობის ხრიალ-გრილი რომ დაეჩრდილა, რაც შეეძლო ხმამაღლა იტყოდა:

— წყვარამი ღამე უყვარს, მახარია, იმ საძაგელ ოჩოკოს... მე შენ ვეტყვი ფერდობზე ფეხი დაუდებია თუ სიბნელეში ვერ დავინახავს?! ზუა, კობია ის შეჩვენებული... ღამით ერთ ენარსზე ბუხს ხედავს, ისეუბნებს და უძრო რომ რობუს ისე ვადაატრება, იტყვი უხორცოა და თანაც ფრთები აბია ამ ურწუმ ყაძისსო.

არაფრისა არ ეშინია... კაცმა რომ თქვას — ან რატომ უნდა ეშინოდეს — განგებას ღონე კამეჩისა მიუთია... თავზე რკინის თმა ბლუჯა-ბლუჯა აყრია, ტანს უდადევებს წყლით იბანს, ბრკყავლები ბასრი და არწივით მოკატუებულნი აქვს, ზურგზე საჩენილი ჰკიდია, ხმას ამოიღგამს და მთა-ბარს შეაზანზარებს, ტყვია არ ეკარება და ხანჯლისა არ ერინება, მოკვლავ — გაოცობლებია.

თავის უყვარს იმ საძაგელს — მარტლწყალში მოხარბული ტანდწინწყალელი კალმახები... მერე და იცით რამდენი? ერთი გოდორა წასახეხსებულადც კი არ ეყრფა. გამწყვტიტა წელში

იმ ოხერმა, კიდეც კარგი, რომ წელაწადში ერთხელდა მაცოხავს, თორემ, მარტოხელა კაცისა რა ნაამაჯარი გაუძლებდა მის დაღებულ ხახს.

— აი, სერზე ამობურცული მიწა რომ მოსინას და სოფელი დევის ყურეს ეძახის, ორი-კორიების სასაფლაოა... დევი სოფელში არ მოვა. ორიკორია ეშმაკი, ზისნახე ცირა — ტყაშმაფა უყარს იმ უზნოსა და აყლაყუღას, ტანებით მოსდევს ხოლმე მის წაფეხურებს... შემოალაყებს წისქვილში და მამინე ჩხუბს დამიწყებს: ტყაშმაფა რომ გეწვია, საღ დამალეო... მე ვეფიცები, ვარწმუნებ, რომ დღეს წისქვილში ტყაშმაფა არ მობრძანებულა...

— მაშ, ეს კალმახები ვინ მიირთვია? — ნიშნისმოკლები მეციხოვნეა ორიკორი.

— განა მე პირი არა მაქვს, მახარია? — ვუპასუხებ მე.

— გაქვს, როგორ არა გაქვს, მაგრამ ისიც გიცი, რომ ძუნწი ხარ და შენი კუქისათვის კალმახს გერ გაიმეტებ.

— გაიმეტებ და კიდეც შეტყი? — ბევრი მომივია.

— სტყუი, კალმახი ფაქიზად არის მირთმეული, შენს ნალადვას არა ჰკავს, ასე ნახად ჰკამა მხოლოდ ტყაშმაფად იცი... სთქვი საღ დამალე, თორემ, ვფიცავ მაღალ ლმერის, მამაჩემთან მოციქულად გაგაზღვნი სპიქიოში.

— იქნებ აჯობებდა თვითონ შენ წასულიყავი, მამამენს შეილის ნახვა უფრო გაუხარდებოდა.

ორიკორი გაცოფდა... მეც ამემღერა თვალეზი. ტყაშმაფა ჩემი სტუმარი იყო. სხვენში მყავდა დამალული ის ზისნახე ცირა და აბა უსიკვდილოდ როგორ დავანებებდი ბანჯგვლიან ორიკორს.

დოლაბი ტრიალებდა და ტრიალებდა, სარეკელა რაკრაკებდა და რაკრაკებდა. ბაიასფერი სიმინდის მარცვლები მოცურავდნენ და მოცურავდნენ, დოლაბის ხახში იყრებოდნენ, დახტოდნენ, დანაფარობდნენ, იმტერეოდნენ, იმსხერეოდნენ, იფტკებოდნენ და იფტკებოდნენ...

მე და ორიკორი კი ვდგავოდით... ის ყვიროდა, მეც ვყვიროდი... მან, შებმა, რომ ვერ გამიბედა, გოდორი ისწია და თევზიანად წყალში გადაუძახა.

— მე რა მინადლევა, მაინც შენი წილი იყო — ვუთხარი და გადავიხარხარე.

ორიკორი მთლად გაცოფდა. წისქვილს სარეკელა მოაგლიჯა და ისიც წყალში ჩააგდო, ახლა დოლაბს ხელით მისწვდა. მაშინ მე კუქიდან შევიშალე, წალღს ხელი წამოვავლე და, წისქვილი რომ არ დანეგრია, თავი ორად გავუბე. შებარბაცდა ორიკორი, იოჭრილა უწმინდლურა სისხლმა და შემობილწა ტანისამოსი.

— ყარაია, თუ ვაქვაცი ხარ, გაბედე, წალღი

ერთხელ კიდეც ჩამარტყი თავში! — შემეხე და ის ხეპარე და ბანჯგვლიანი.

ერთიც გვეოფა მეოქი — თვალთ ვანჯგვლიანი... ხმა კი არ ამომიღია, ვიცოდი — წამოცდენილი ერთი სიტყვა ჩემს გავიყებს ნიშნავდა, წალღის მეორედ მოქნევა კი — ორიკორის გაცოცხლებას.

— ფუი შენს კაცობას! ეს არის ძმობა და მეგობრობა? — ძღვის ამოიღულულულა ორიკორი... შებარბაცდა და წაიქცა. წაიქცა და მიწაც აფეთქდა, ორიკორი ბუშტივით გასვდა და თვალსა და ხელს შუა გაქრა ვით მოჩვენება.

გარედ გავედი, გადასავლდებულა აუშვი და დოლაბი გავაჩერე. დადუმდა წისქვილი, არც-მარემ ამოისუნთქა. მე კი... იმ უცაბედმა სიჩუმემ გრიალ-გრიალთ ამიხანხარა ყურის ბარბანდი და დამაყრუა... შემეშინდა, სწრაფად მიუგდე წყალი ბორბალს... დაიშუილეს ტალღებმა, აგრიალდა დოლაბი, აზანხარდა მთელი წისქვილი, მიწდორ-ველმა სული განაბა და მეც სმენა დამობრუნდა... მამინათვე გამახსენდა ტყაშმაფა, სხვენზე ივავალი, კაცს კვესი გავკარი და იქაურობა გეანათე, მაგრამ, სხვენი ცარიელი დამხვდა. ძირს ჩამოვედი. მდინარეს აღმა გავხედე... საგუბართან ვუღხუღდაკრეფილი იდგა ფეხშიშველა, ტანწიორა ტყაშმაფა, ოქროს თმა გეშალა და ცხარე ცრემლებით ტიროდა.

— ოხ, ღმერთო ჩემო, იქნებ ორიკორს მისტირის ეს სათნოება წყლისა და მიწისა, — გავიფიქრე და იმ წუთშივე გაქრა ტყაშმაფა, მერე ავტო ბარე ორმოცდაათმა წელმა ჩაიარა და ჩემს წისქვილთან ერთხელაც არ გამოჩენილა იგი...

ახლა ყარაია ცოცხალი აღარ არის. მთელმა სოფელმა გამოიტორა და შამადელაში, ეკლესიის ვეგრდით მიწას მიამარტეს. ერთ კვირას დუმდა წისქვილი, არავინ ეკარებოდა მას, ჭინკების ბუღეო — დადიოდა ხალხში თეთონ ყარაიას მოგონილი და დანატოვარი ჭორი.

ბოლოს ბილა ლოლუსა შევიღმევილმა ფარნამ საიდანაც მოიყვანა ახალი მეწისქვილე და კვლავ ამხრიალდა დარში წყალი, აგრიალდა დოლაბი, აკვანდა სარეკელა.



ახალი მეწისქვილე სახით, ტანითა და ჩაცმულობით დიდად განირჩეოდა ყარაიასაგან. იგი ახალგაზრდაც იყო, ასე ოცდაათი წლისა. ცოლ-შვილი არც მას ჰყავდა. მოჰყავდა მხოლოდ ერთი მრუბე მიხვისფერი ძაღლი — მურია და გრძელწვერებიანი თხა — დარგა. პირველი წისქვილის ლაფაროსთან დაბაბ, მეორე კი —

განო თათაროვილი
მეწისქვილე

ცოტა მოშორებით, იქ, სადაც დაზამთრებამდე მუდამ მწვანე სათიბი ბიძინებდა.

ახალ მეწისქვილს წაღლივ ჰქონდა, ყამაც და ფილა თოფიც... მზეში გამოყვანილი თუ-თუნის დაწული ფოთლები — სოფელში დემემას რომ ეძახიან, მუდამ ჩუჩხელისასვით ეკიდა ლურსმანზე... ჩიბუხს კი, იმ ნიკორინით მო-ფერილს, თიხის გამოშვარა გამოირუჯულ ჩი-ბუხს არასოდეს ხელდიან არ ეშორებოდა, მისი ჩამსვებული ხის ტარი სულ კბილებში ჰქონდა გაჩრილი და აბოლებდა და აბოლებდა.

ერთხელ გამთენიის ცაში თოფი გაისროლა მეწისქვილემ, ზედ საგუბართან ზოქოსავით შევი მელა დაავარა და იმ დღიდან სოფელში ხმა ვეგრდა — ახალმა მეწისქვილემ ტყაშამდა სამუდამოდ დააფრთხო და აწი არც ოჩოკოჩი და არც კინკა სათოფედ არ მიეყარებინა იმ არე-მარესო, თოფი მაინც თოფია... ძალსა და სითამაშეს შატებს აღამაინს. და თუ ნანადირე-ვიც ნახა ხალხმა, უპ, ძალიან შორს ვავარდბა მონადირის სახელი, უფრო შორს ვავარდბა, ვიდრე ქუხალი იმავე თოფისა.

აღფეხიამ (ასეთი სახელით წარუდგინა იგი სოფელს ფარინა ლოლუამ) თავისი სხვა სიამ-სივეც გამოარჩინა წისქვილი. ჯერ იყო და ისღის კონები საიდანაც ზურგით მოათრია და გამუ-რტულ-გაჟუტყვიანებული, ას ალაგას დაკერილი სახურავი სულ ერთთავად გამოცვალა. შემდეგ წისქვილის წინ მიწა მისაწორ-მოსაწორა და აიგინა მსგავსი პატარა მოედანი კრულ-კრული კენჭებითა და რიყის ქვებით მოამანდაცა. წყალში გადაყარა ყველა ხარახურა, რაც ყარაის უნა-ხავს და წისქვილში მოუტანია — მცენარეთა განმზარო ძირხვევნები, შუშის თუ ფიფქურის ნამტერეები, სხვადასხვა ზომის ლოკოინის ნივარები, შენალოცი ნალები, საქონლის რქები, ცხენის თავის ქალა... სულ აღუღებელი წყლით მორეცხა წისქვილს ჯარგავლი კედლები და წყალს იმდენი წვირე გაატანა, რომ თევზებს თვალი აეწვით თურმე და მთელი დღე სიო-ღაღად დაფარახლობდნენ მორევი.

აღფეხიამ წისქვილს სარეკელც გამოუცე-ლა. კენაფის ათიოდე წვირილი ტოტი დაეძეა, დააღბო, გაატყავა, თოკებად დაგრიხა და ის ახალი სარეკელა ხევიძრას კოჭით მიიბა. კოჭი მოძირავი იყო. თუ მალა ასწველი — სარეკელა რახუნს შეანულებდა, მაშინ სიმინდი მარცვალ-მარცვალ ჩაყრებოდა დოღაბის ხახაშა და ფქვილიც წმინდა გამოდიოდა... დასწველი კოჭს და, — ძალუმად აკაინდებოდა სარეკე-ლა, გამოდენიდა და გამოდენიდა სიმინდის მარ-ცვალს, საღომე ღერძილად დაიფქვიდა აბა-შურა ყვირთო.

მაღე ხელმარჯვე კაცის სახელი ვაუვარდა აღფეხია მეწისქვილს. მართლაც რა არ გა-მოდოდა მისი ხელიდან — ბზის კოვებზე გი-ნდა თუ წაბლის ხისგან გამოთლილი გობებუ

ზომისა მიხედვით სამეგრელოში ნასოხს, მარ-ტაშისა და ატარის რომ ეძახიან. წისქვილის ირგვლივ ევალბადები გაყავა, მიწისქვილში გადააბრუნა და სულ ნაშყენი ეზო ეკარა, ფერდობზე ათიოდე ვაშლი დაამყრო. წისქვი-ლის წინ კი ორიოდე ჩიის ვარდი დარტო.

ყარაბა ბავშვებს მოგვიხებოდა თუ არა, მაშინათვე ზღამრებს გულისთვის პოქსნიდა ზოგჯერ ისეთ საშინელ ამბებს მოგვიყვებოდა, რომ შეშინებულები მთელი ღამე სიზმარში ებოდვდით... აღფეხია კი... ენაქუნა კაცი იყო. ხმის ამოლება ისე ეზარებოდა, რომ სარეკელა ასწვევი იყო თუ და-საწვევი, ამას ხელთ ან თვალით გვა-ნიშნებდა. სამაგიეროდ დაუზარებლად გვა-სწავლიდა ხიდან სათამაშოების გამოთლას, მი-წის გახმობას, დაუქვას, გაცრას, მოხელვას და ქოთნებისა და დოქების გამოყვანასა და გა-მოწვას, ანკესების გაკეთებას, ღურსამებოდან დანის გამოქედვას და ალესვას. ერთა სიტყვით, ისე მივეჩვიეთ, რომ ბავშვები ერთმანეთს გე-ჯიბრებოდით, თუ ეს უნდა წაელო სიმინდი დასაუქვავად, თან რაც შეიძლება მეტი ტვი-რთი მიგვეტონდა, რომ აღფეხისთან დიდხანს დავრჩენილიყავით.

სოფელში მეწისქვილის კეთილმოსურნენი დატრიალდნენ — მადლია, აღფეხიას კოლი შევართოთ. საპატარლოც გამოხახს... მაკრამ მეწისქვილემ შეიცხადა, ქვა ააგდო და თავი შეუშვარა — მავანელები სათოფედ არ მიი-კარა: ამაზე თუ ვინმე კიდევ შემაწუხა, მაშინ წისქვილსაც მივართოვებ და სოფლიდანაც ავი-ბარგებო. ამის გამო, ვინ მოსთვლის რამდენი კორი და მითქმა-მოთქმა იყო სოფელში, მა-გრამ... მიჰქროდა ცამი, ბრუნდავდა დედამიწა, ქარს მიჰქონდა ყველა კორი და მითქმა-მოთქმა სოფლისა, მეწისქვილე თლიდა და თლიდა კოვ-ზებს, ძქრწავდა დოქებსა და ქოთნებს... დო-ღაბი კი — აღფეხიას ხელთ დაკოდილი გაუ-ბზარავი მთის გრანიტი — ტრაალებდა, გრია-ლებდა, ფქვავდა და ფქვავდა სიმინდს.

ეს შემთხვევა არასოდეს არ დამავიწყდება. კვირა დღე თუნდებოდა, რომ სიმინდით სავსე ტომარა ზურგზე ავიკიდა და წისქვილისკენ გა-ვსწვი. თან ანკესები მიჰქონდა. სანამ სიმინდი ჩამოთფქვებოდა, მინდოდა მეთევზავა. ფეხ-შიშველა ეზო-ეზო მივყვებოდი საცალფეხო ბილიკს... დაცვარული ლორთქო ბაღახები მა-სველებდნენ. მსუსხავდნენ... აქა-იქ ფეხიც და-მიცდა, თავი რომ შემეკავებინა, აკაცის ტრტს ხელით მივწვდი, ხემ წვარლი ტანი ანახდად შეარჩია, ფოთლებს მძივებოვით მოსწყდა ნა-მის წვეთები და მკლავი და ლოყები დამის-ველდა... სასიამოვნო სიგრილემ მთელ ტანში

დამიარა, უფრო გამოვხებოდი, სწრაფად ავარბინე გორაკი და წისქვილს ზემოდან თავს წაადექი.

ვით ყრმა ავანში, ისე იწეა თეთრ ხილაბანდში ალფეზიას წისქვილი. თითქოს შპინარას არტახები მოუჭირესო, ისე საგულდაგულოდ იყო ჩაეტილი ღარისთავიცა და ვადასავდებულაც. მდინარე ოდნავადაც არ შხუოდა. არხში დევებუბული წყალი უკან-უკან მდორედ მიიზღაზნებოდა და თითქოს სუნთქავსო, ანაროთქლი ნისლით ვეცებოდა ამომავალი მზის სხივებს. მაღე იმ სხივებმა ნისლის მანდილი ათას ადვილას დაჩხელიტეს და ცისარტყელუბად აქციეს, დიდის ნიავმა კი სათითაოდ, ბლუჯა-ბლუჯა წაფარფატა ისინი ურთის კალთებისაკენ... შემდეგ სულ მალა-მალა ცისკენ გააქროლა და იმ მკარბ-მოკარბა...

წისქვილის კარი გამოღებულა იყო. დაჩოქილი პლფეზია კედლისაკენ იყო მიბრუნებული და რალაცას ბუტბუტებდა. ბეუტავდა თაფლის სანთელი და მკრთალად ანათებდა ალფეზიას სახეს, ნის მიერ საგულდაგულოდ გამოთლილ ბზის ნივთებს, რომელთა შორის იმ დილით ქალის სურათიც ეკიდა.

ერთ ადგილზე გაეშუღი. ყურში ჩამესმა ალფეზიას ლოცვა — ცრემლნარევი, ქვითინარევი ლოცვა:

«ცაბული, სიცოცხლეზე უტრბილესო, ცაბული, ჩემო მზეო, ჩემო მწველი და დამდაგეული, შემოვგეულე, მაკმარე ტანჯვა მარტოობისა, თან წამოყვანე, დაასვენე ჩემი დატანული სული...»

მზემ ცაზე აიწეა და თაფლის სანთელი სულ ფაფერმკრთალდა. ალფეზია წამოდგა, მუხლუბიდან მტვერი ჩამოიბერტტა. მეც ნაბიჯი გადავდგინე... ახლა შევაჩინე, რომ მეწისქვილიჩინას ვარდი მოეწყობდა და ხელში ეჭირა. მივესალმე... წისქვილში შევედი და ტომარა ძირს დავავდე. მეწისქვილემ ხელით მანიშნა სიძინდი ხემირაში ჩაყარეო, თვითონ გარეთ გავიდა, ღარში წყალი მიუშვა.

- ღერბილი გინდა თუქ?... — გაისმა ალფეზიას ჩვეული კითხვა.

მე პასუხი არ გამოცია. მივედი და თვითონვე მოვმართე სარეკელას კოჭი.

იმ დილით სათევზაოდ არ წავედი. ვიდები დოლაბის წინ და ყურში ზარბიეთ რეცდა მეწისქვილის კვენსანარევი ლოცვა, გულში ისარბიეთ მჩხელეტდა მისი ნამტრბრალევი, ცრემლამოშპრალი თვალების უსიცოცხლო ელვარება.

სანამდის ჩემი სიძინდი ჩამოიფეკებოდა, ალფეზია ბარე ათვერ მაინც ვავიდა წისქვილიდან... არა, თვალი არ მიდევნებია რას აკეთებდა იგი გარეთ. ვიდები ჩემთვის, შევეუტრბე ბზის ჩარჩოში კობტად ჩამჯდარ ქალის სურათს, შევეუტრბედი მის წინ მოლაპლაპე თაუ-

ლის სანთელს და ენით უთქმელი სევდა მიქრობდა

მეწისქვილე წრიალებდა. ერთ ადგილზე ისევნებდა, ვერძნობდი ნანობდა, ძლიერ ნანობდა, რომ მის გულში ჩაყირულ-ჩადღუღაბებულ საიდუმლოების ფარდა იმ გამოენია ეამს ოდნე გაწეული დაურჩა და მეც, ჩემდღუნებურად, შივ შევიხედე, მისა ქირის მოზიარე ვავხდი.

ის კვლავ წრიალებდა, დადიოდა და ხმას არ იღებდა... ბოლოს, ჩემს თვალში ცრემლიც რომ შენიშნა, მომიახლოვდა, მხარზე ხელი მომითათუნა, გულში ჩამიყრა და ბავშვივით აქვითინდა.

მეც აეტარდი... მან მოფერება და დამშვიდება დამიწყო...

— კარგი, გეყოფა, ზახა! ავერ სკამზე ჩამოესხდეთ... სულ ახალი თხის რძეს დაგაღვეინებ, კვიშობარიც მაქვს, შეილო! კეცზე გამოცხვარი ყველიანი პურიც, იქნებ თხილით ისიამოვნო, ნივასი ჭერ კიდევ თბილი მაწონი მიდგას. გინდა ილარჯს გავიკეთებ... არ იტირო, ცრემლი არ დამანახო, თორემ ვასკენ ეს უბედური გული... შემობრალე, ბიჭო, ამა ეს ზბის სათამაშოები სულ შენი იყოს... მეტი რა ვქნა, ქვეყნად ყველაფერი დაეკარვე, სანუღვარი არაფერი არ გამაჩნია, გარდა დამალული ქირისა და ისიც ღვთისწმებით შენ გაგიზიარე... ნუ ტირი, გაიღიმე, ზახა!..

ვარეთ ღარში აქაფებული წყალი შხუოდა, შივნით ბრუნავდა და ბრუნავდა დოლაბი, თაგაწევიტილი რაკრავებდა სარეკელა, სიძინდს ფქვავდა და ფქვავდა ალფეზიას წისქვილი.

ჩენი სკოლის ერთსართულიანი, ყვარბი დახურული შენობა ეკლესიის ფერდით გზის განაპირას იდგა. იმ სამთვლიან ვეცრბიტ ნაგებობას წინ გრძელი, რიყულეზიანი აივანი ჰქონდა. აივანზე, სახურავის ქვეშ, ფარგაღში გამოყვანილი, ალაგ-ალაგ ხელით მოქარგული კოქი ყყრდნობდა ხუთ მუხის ბოძს, რომლებიც სკოლისათვის უფასოდ შეუწირავს აზნაურ ლოლუას უდროოდ ვარდაცვლილი მეუღლის სულის შესანდობრად. ერთ-ერთ ბოძზე სკოლის ზარი ეკიდა. ის იყო ჩვენთვის ყველაფრის მბრძანებელი. სკოლის დარბაჯი ესამე, რომელიც იმავე დროს ეკლესიის მნათეც იყო, მუდამ გუმანით რეკავდა ზარს და არასოდეს არ შემცდარა. საათი მხოლოდ სკოლის გამგეს ჰქონდა — შევიცარული ვერცხლის საათი, ვერცხლისავე ძეწკით დამშვენებული.

ზანო თათარბვილი
მეწისქვილე

როგორც კი ესლამი ზარს დარეკავდა, სკოლის გამგე საათს ამოიღებდა, დახრადვდა, გაიღიმებდა და იტყოდა „Молодежь“. მერე საათს კარვად მომართავდა და ისევ შარვლის პატარა ჯიბეში ჩაიდებდა.

ჩვენც ამის შემხედვარე და გამკონე მოსწავლეებმა, სკოლის გამგეს მეტსახელად „მოლოდეცი“ შევარქვეთ და მგონი დღესაც სოფელში ამ სახელით იხსენიებენ.

იმ სამი ოთახიდან ორი საკლასო იყო და ერთი სამასწავლებლო. თითო ოთახში ერთდროულად ორი კლასი შეცადინებოდა. სკოლის მოსამსახურეთა შტატა სულ სამი კაციცაა შედგებოდა. ესენი იყვნენ სკოლის გამგე, მასწავლებელი და დარჩვი. ჩემი უბანი მჭიდროდ ამ იყო დასახლებული, ამიტომ მოსწავლეთა საერთო რიცხვიც თანამოსახლებულნი იყვნენ.

სკოლის ეზო ასე ორი დეკეტინა თუ იქნებოდა. იგი აკაციის შესრით საველედაკულოდ იყო შემოკავებული. წინ, შარავზის მხრიდან ხის დიდი კარი ეკიდა. მას მხოლოდ მშინ აღებდნენ, როცა სკოლის გამგე ან ინსპექტორი ცხენით მოვიდოდნენ. სხვა ორის კარს მარჯვნივ დატანებული ოლავე ემსახურებოდა მიმსვლელ-მომსვლელს.

სკოლის გამგე ძალიან კონტა კაცი იყო. სულ გულთუბელ-ვაკრიბლებული შარავლი ეცევა, გაქათათებული პერანგის მაღლაწეული. გახამებული საყელოზე შავი, თეთრად დაწმწკლეული ბაფთა ჰქონდა დაბნეული. ქუდს არც ზაუხლოში იტარებდა და არც ზამთარში, შვებულებაში თმას ისე მოხდენილად ივარცხნიდა, რომ პირველი შეხედრბასს უფთოდ იფიქრებდით თავზე შავი კარაქლის ქუდი ახურავსო.

იგი საოცრად თავშეკავებული კაცი იყო. ვერ გულგებდი უხაროდა რამე თუ სწენდა... ნაწილს მოაწონებდა და იქვე უამარე დარბეზასა და რჩევას მოგცემდა, დაგიწუნებდა რამეს და ისე აუღელვებლად, რამშვიდებით გავესაუბრებოდა, ავიხსნიდა რა უნდა გაგეკეთებინა, რომ შვიმი სულ გაეკრებოდა, თავმოყვარობისა. მორიდების გრძნობა დაგეუფლებოდა და ძალ-ღონეს არ დაზოგავდი ოღონდ მეორე დღეს მის წინაშე არ გაწმენდებულეყავო.

მასხოს, რაც იმ სოფელში ვსწავლობდი, გამგე მხოლოდ ერთხელ გამოვიდა წონასწორობიდან, ფარნა ლოლუსთან მოუხდა ხმამაღლი შელაპარაკება.

...დიდი შესვენება იყო. ბავშვები სკოლის ეზოში ბურთს ვთამაშობდით. უცებ სამასწავლებლოდან ხმამაღალი საუბარი შემოგვესმა. ჩვენ სულ გაცნაბეთ. გამგე მაგიალზე მუშტებს არტყამდა და ვაკვირებდით. — მართალი არ სრამდენით, ბატონო. რა ვუყოთ მერე, რომ თქვენნი ნათესავია, უცოდინარ ბავშვს ხუ-

თიან ვერ დაუტყუროთ, უფლებას არ მოგიქმნებოდათ შეურაცხყო მასწავლებელი“

ბოლოს აზნაური ლოლუა გავსწავლული ვიყავი. ლი აივანზე გამოვარდა, ხანჯალი ამოეღო და ოთხ ადვილას გაჰკრა მუხის ბოქსს — ეიმეს თავზე რომ დასჩერებოდა.

— რას სჩადიხარ, გონს მოდი, ალაშიანო, — ამშვიდებდა სახეწითლებული გამგე.

— ჩემი, ჩემი მამულის ხეა და მინდა აუთლი და მინდა ჩავთლი, მინდა ნავთს მოვასხამ და დავუწავ... სწორედ, რომ ბრალია შენსათანა უბრძანებლო კაცს ემსახუროს... ამა ესეც ასე, ესეც ასე... — ცვლავ ყვიროდა ლოლუა და რაც ძალი და ღონე ჰქონდა ხანჯლით ჩორკინდა და ჩორკინდა მუხის ბოქსს.

ჩვენთან მეოთხე კლასში ერთი, ასე თვრამეტი წლის ბიჭი სწავლობდა, ზუსტ ერქვა, რომ იტყვიან, კემჩის ღონე ჰქონდა. ცალი ხელით ჰაერში ისე ავიტაცებდა, იტყოდით ბუმბული უტყობავსო. ძალიან გულკეთილი იყო, შრომისმოყვარე, ხელში ბარი რომ მოგეცა, მთელი დღე შეუსვენებლივ იმუშავებდა და დესეტინა მიწას ვიდაბარებებდა. სწავლით კი... ეერა და ვერ გამოიჩინა თავი — პირველ კლასში ორი წელი იჯდა, მეორეში სამი, მესამეში... ჰო, ერთი ისტყვიდა, თვრამეტი წლისა ვახდა და ჯერ კიდევ მეოთხე კლასში იყო...

ფარნა ლოლუამ ძალიან რომ გაჰკირა საქმე და სკოლის გამგისა არც მუქარამ გასკრა, არც მოუვრებამ, ბუხუბ წონასწორობა დაჰკარგა... ერთი შენით... შეიყვარება და თვლისდახამსამებამში კიბზე ავირდა, მარჯვედ სწავდა გაანახლებულ აზნაურს, ბავშვივით ჰაერში აატრია, წელზე რყინის სალტესავით მოსდო მკლავები და ხელიდან ხანჯალი გაადგებინა.

ფარნა ლოლუა გონს მამინ მოვიდა, როცა ბუხუბ ოლაგუა იქით მიწაზე დაავდო და გაეცალა.

შემდეგ ამ ამბავმა მთელი სოფელი აალაპარაკა. ლოლუა გავლენიანი კაცი იყო, იქადინდა: ფარნა არ ვყოფილვარ, თუ ეს სკოლა სულ არ დავანტრეინო და მისი გამგეც ზედ არ მივყოლო... მგონი არ დასცალდა, მალე 1921 წელმა შემოაბიჯა საქართველოში,



მარტი დაიწყო... პირველი, რაც თვალში გვეცა, ის იყო, რომ დიდი საკლასო ოთახს კუთხეში ხატი არ ეკიდა. სკოლის გამგემ გავგვეცხვინა: ამეორიდან აქ არც დაინოქებთ და არც პირველს დაიწერთო... იმ დღეს ესლამიც მხიარული მოვიდა სკოლაში, ზარი ამაყად დარეკა... ვავიგეთ, რომ სკოლა ეყუესისიან ჩამოუსორბენიათ და ესლამსაც ლოცვა-კურთხევითათვის ზურგი შეუქცია.

იმ დღეს ჩემი სოფლის ცაზე თვითმფრინავიც გამოინდა. გენახათ რა ზრიალ-წრიალი



ყო სოფელში... ვინ საღ იმაღებოდა და ვინ საღ ძაღლები გაპყლად ყვედნენ და ყველადნენ, პირუტყვი ბილადა... მწელია ახლა ეს დაიჭერო, მერამ წამდილოდ ასე იყო... შორს, შავი ზღვის მხრიდან ზარბაზნის ქუხილიც გაიშა...

ბავშვები გვრჩნობდით, რაღაც დიდი ღა კარგი ამბავი ხდებოდა ამას ყველაფერს ვითხლებოდით სკოლის გავის გაბრწყინებულ თვალებში...

